

امساذه

## ગુરૂ કાન્કણાય

ଶ୍ରୀଲଙ୍କାନାଥ ମହାତ୍ମା

No VII

3 3 / 3 0 6 0, 1903

ଓଡ଼ିଆ

1903



Дозв. ценз. 21 Августа 1903 г., Тифлисъ.



## შინაარსი

68.

- |   |    |
|---|----|
| I— ნაძირალი. — თხზულება იგ. ფრანგისა, თარგმანი<br>ნ. კიფანისა . . . . .   | 1  |
| II— ხალხის მომი აცუ მიმი ჭორქანი. — ხუთ მოქმედ-<br>დებიანი დრამა ქენრის იბსენისა, თარგმანი იგ. ბო-<br>ლუმთარდებინოვისა (გაგრძელება) . . . . . | 35 |
| III— სამი. — მ. გორგისა, თარგმანი ი. ბოლუმთარდებინო-<br>ვისა. (დასასრული) . . . . .   | 59 |
| IV — ზოთა ჩუთაველი და მისი პოვება. — ს. ქვერანისა. . . . .  | 1  |
| V— ორიოდე ციტება სვანურ მისი უშსახებ. — ბლ. მღვ-<br>იგ. მარგარისა . . . . .   | 41 |

# ნამირალი

თხზულება

ივ. ფრანგასი

II

ერთს მშვენიერს, გაზაფხულის კვირა დღეს, დოროვობის საზოვადოების „საყარაულოში“ მყოფი ორი პოლიციელი საშინლად გაჰკვირდა, როდესაც საყარაულოში ვიღაც ახალ-გაზდა, შუა ტანის კაცი მიიყვანეს დამტვერიანებულა, მაგრამ რიგიანის ტანისამოსით.

— ეს ვიღაა? — იკითხა კაპრალმა და ყმაწვილი კაცი თავით — ფეხამდე აათვალიერ — ჩაათვალიერა, ლოთობისაგან გამო- ციებული თვალებით.

— კანცელარიიდან გამოჰვავნეს, ეტაპით არის წასაყვა- ნი, — უპასუხა ყმაწვილ კაცის მომყოლმა პოლიციელმა.

— მ... მ... მ..., — ჩაიძლუილა კაპრალმა და ჩააცემდა თავის წინ მდგარს თეთვის ხორცითა და წნილით. ცოტა ხნის შემდეგ თავი მაღლა აიღო და ტრფიალით დაუწყო ყურება თავისი ჯერის მომლოდინე, ლუდით სავსე ჭიქას.

ამ დროს პოლიციელმა უბიდან ქაღალდი გამოიღო და კაპრალს მიაწოდა. ეს ქაღალდი მამასახლისის ოქმი იყო; კაპ- რალმა ჩამოართვა, გაშალა, ახედ-დახედა და მოჰყვა ასაეტაპო ყმაწვილის სახელის ჩათვლით კითხვას. მაგრამ, ეტყობოდა, ძალიან გაუჭირდა ეს საქმე, რომ თითონ იმას მიშმართა:

— თქვენი სახელი?  
 — ანდრია ტემერა.  
 — საიდანა ხართ?  
 — ტერნოპოლიდან.

— ტერნოპოლიდან? ჰმ! მერე რამ გადმოგავდოთ აქეთ  
ტერნოპოლიდან! ჰა?

ტემერამ ეს კითხვა ბანზედ ააგდო, ჭუდი და პალტო  
სკამზე დასდო და საყარაულოს დაუწყო თვალიერება.

— რა მიზეზით ხართ აქ მოსული?—გაჯავრებით ჰკითხა  
მეორეთ კაპრალმა.

ტემერამ დამშვიდებით და მტკიცეთ უპასუხა:

— ეგ თქვენ არ შეგვეხბათ.

— მიპასუხეთ კითხვაზე!

— თქვენი საქმე არ გახლავთ ჩემი გამოკითხვა.

კაპრალი სიბრაზით აენთო, მაგრამ ტუჩები კი მოიკვ  
ნიტა.

— ო, ო, გეტუობათ ძალიან ატანთ ჭკუას ძალის! არ,  
მაინც, რა ხელობისა ბძანდებით?

— ეგ კი ჩემი საქმეა.—უპასუხა ტემერამ და გაიარ გა-  
მოიარა საყარაულოში. თან ფანჯრიდან, სხვა-და-სხვა სუებით  
ამწვანებულს, გიმნაზიის ბაღს გასცემოდა. ბაღის მიხვეულ  
მოხვეულ ბილიკებზე საღლესასწაულოდ დართული ხალხი მიდი-  
მოდიოდა, განურჩევლად ხნოვანებისა და სქესისა, ყველანი  
მხიარულნი, თავისუფალნი... მოისმოდა ბავშვის წერიალა  
სიცილი, ქალების ნარნარი ხმა და იმ სიცოცხლით სავსე, აღელ-  
ვებულ მცენარეთა ხმაურობასა და შრიალში, დაბურულ ფო-  
თოლთ შორის რაღაცა სანეტარო ჩურჩული... ნაღვლისა და  
დარდის ღრუბელმა გადურბინა ანდრიას ნორჩს პირზე, რა-  
ღაც სევდის ფიქრმა შეიძყო მისი გული, ტუჩები მწარედ  
დაჰკუმა და თვალები ველარ მოაშორა მზის გავარგარებულ  
სხივების ქვეშ ტურფად მობიბინე მწვანე ხავერდით მოსილს  
ზღვას.

— დიახ, ჩემო ბატონო, ვხედავ, რომ ხნოვანების მიუწვდომელი ხელავად, ძალიან ჭყვიანი ბრძანებულხართ,—შელაპარაკებდა ბოლმა მორეული კაპრალი და თან ლუდის ჭიქისა სცლიდა.— კარგი კი არ არის უდროვოდ ჭყუის ძალის დატანება, მოკლე დღე აქვს ხოლმე მაგისთანა აღამიანსა! ახლა კი ნება გაქვთ ჩვენს „დარბაზში“ მიბრძანდეთ. თქვენისთანა ჭყვიანებისთვის ჩვენ საუცხოვო დარბაზი გვაქვს მომზადებული, ხა, ხა, ხა!

ტემერა უცებ მოუბრუნდა. შეეტყო, რომ რაღაზედაც შესწუხდა.

— ბატონი ინსპექტორი ხომ მალე მოვა? — იკითხა ანდრიამ.

— როგორ არა, მალე, მალე,—დაუინვით უპასუხა კაპრალმა.

— მაშ არ შეიძლება, იმის მოსვლამდინ აქ დავრჩე? — შეეკითხა ტემერა, რადგან ყურადღება ვერ მიაქცია იმას, თუ რა კილოთი წარმოსთვეა კაპრალმა სიტყვა „მალე“.

— სულ ერთია, აქ თუ იქ,—უპასუხა კაპრალმა. მხოლოდ იქ უფრო საფრთხილო არ არის ჩემთვის და ამასთან თქვენი შესაფერი ადგილიც სწორედ იქ გახლავთ, ჩემო ბატონო. აბა, კეთილ ინებეთ და მიბრძანდით.

— მე მაინც გთხოვთ, თუ შეიძლება, აქ დამტოვოთ, — უთხრა ტემერამ.

— არ შეიძლება, ბატონო, არა,—სიტყვების გაპრტყელებით და მოკატუნებულის კილოთი უპასუხა კაპრალმა და თან გულში უხაროდა, რომ სამაგიეროს უხდიდა ამისთანა ურჩსა.

— ბატონო კაპრალო,—ჩაერია ლაპარაკში პოლიციელი, რომელიც აქამდინ ჩუმად იჯდა სტოლის ახლო,— იქ ძალიან სივიწროვეა, რვანი არიან!.. ეს ყმაწვილი შეიძლება აქ დარჩეს გახმისტრის მოსვლამდინ.

— ჰი? რაო? წამოაყრანტალა კაპრალმა,—რვანი არიან? მერე ეგ რა ჩემი საქმეა? საცა რვანი არიან, იქ მეცხრეც შეეტყვა, თუმცა, შენი ნებაა, დარჩეს აქ, თუ პასუხის მგებელი ჩვენ იქნები!

— მე ვიქნები? მე აქ რა შუაში ვარ? როგორ შემძილიან მე ტუსალის კისრება?

— ჰო და თუ არ შეგიძლიან, ნურც ეჩრები სხვის საქმეში, — მოუჭრა სიტყვა კაპრალმა, ჩამოხსნა გასაღები კედლიდან და გასწია წინ. ტემერამ აიღო ხელში თავისი პალტო და ქუდი და გაჰყვა უკან.

შესავალი დიდი არ იყო, ერთის მხრით თლილი ქვით დაგებულ ოთახში გადიოდა, მეორე მხრით — დერეფანში. ზევიდან მზის ნათელი შუქი ჩამოდიოდა თვით დერეფნის კარებამდინ... დერეფანში არავინ იყო. სუფთათ შეღებილი კედლები, ქვის იატაკი და შეთეთრებული ქერი საქმარისად კარგს სანახაობას აძლევდა ამ ვიწროს და არც თუ გრძელს, ნათელს დერეფანსა. ამ მწვანე ფოთლებით მოხატული კედლების გვერდით გამვლელი აზრადაც ვერ გაივლებდა თავში, რომ იმათს იქით იმალებოდა რაღაცა საზიზლარი, რაღაცა ყოვლად წარმოუდგენელი და უმაგავსი ადამიანთა თავ-შესაფარი!

ამიტომჩენი ტემერაც და შეიდებული მისდევდა კაპრალს; ცოტათი კი იყო ჩაფიქრებული, მაგრამ აწინდელ მდგომარეობაზე არა, დიდი ხნის წასულს, საუკეთესო წუთების ფიქრში იყო გართული. კაპრალი კარებთან გაჩერდა და დაარაკუნა. კარები მორჩილი იყო და თითქმის სრულებით შემოუჭედავი. დიდხანს არაკუნა კაპრალმა და ბოლოს გასაღები გაუყარა კარებში. გასაღებმა როგორლაც სასაცილოთ დაირაწკუნა, და კარი გაიღო. კაპრალი უკან გადგა, ტემერას მხრებში ხელები ჩაჰკიდა, წაჰკრა კინწი და თან დაატანა ლოთმა დაცინებით:

— გთხოვთ იკადროთ და მიბრძანდეთ, ჩემო ბატონო!

## II

ტემერა დარეტიანებული გაჩერდა კარებში. წყვდიადმა მოიცვა და ერთს წამს მთლათ დააბრმავა. უცებ წარმოიდგინა, რომ მის წინ ქვესკნეთს ჩასასვლელი გზა ისხნებოდა, როგორც ეს ძველ მოთხრობებში წაეკითხნა. ამ ჩამობნელე-

ბულ გამოქვაბულში ჯერ ვერაფრისა და ვერავის გარჩევა ვერ შეიძლო. თითქმ ვიღასიც უხილავი და ძალოვანი ხელი სწვდა მკერდში, შეაჩერა და შიგნით არ უშვებსო. მაგრამ კაპრალის ხილული ხელი უხილავზე ღონიერი გამოდგა: შეაგდო შიგნით ტემერა და მიუკეტა ამ ბნელი ხაფანგის კარი.

ტემერა იდგა კარებთან და გარშემო იყურებოდა; თან ყურს უგდებდა, ადამიანის ხმა ხომ არსაიდან მომესმისო, მაგრამ ამაოდ. მხოლოთ რამდენიმე ხნის შემდევ იმდენათ შეაჩვია თიალი სიბნელეს, რომ გარკვევით შეიძლო თავისი ახალი თავ-შესაფერის გარჩევა. ის იყო ჯურლმული, არა ექვსს ნაბიჯზე მეტი სიგრძით და ოთხზე—სიგანით, ერთად ერთი რკინებიანი ფანჯარით. ეს ფანჯარა იყო დატანებული სულ მაღლა, თითქმის ჭერ ქვეშ, და კიბისაკენა ჰქონდა პირი, ასე რომ მარტო კიბეზე ჩამოფარებული, სიძველისაგან დახავსებული ფიცრები მოსჩანდა. მზის სხივი არას დროს არ ხდებოდა ამ ჯურლმულს; კედლები მისი ენით გამოუთქმელ ჭუჭყით იყო შესვრილი და ძირს სინოტივეს წვეთები ჩამოსტიროდათ. ასფალტის იატაკი მთლათ დაქოჭებული იყო წყლითა, ნაფურთხითა და, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნის ფეხით მოტანილ ტალახით. კარი შიგნიდგან ისეთი სუფთა და უმანკო შეხედულობისა არ იყო, როგორც გარედან,—პირიქით, ნოტიოსაგან გაშავებულ, რკინის ჯოხებით ჯვარედინათ გადაეჭიდნათ. ასე გასინჯეთ, ჰაერის გასაწმენდათ გამოჭრილი ოთხ-კუთხიანი ნახკრეტიც კი ფიცრით იყო მიჭედილი. შეუში იდგა რკინის ვიწრო საწოლი, ნესტიანი, ჭუჭყიანი და ვინ იცის რამდენი ხნის გამოუცვლელი დამპალი ჩალით გატენილი ლეიბით. კედლის კუთხეში ასეთივე საწოლი იდგა. არც ზეწარი, არც რამე ფარატინი, არც სატუსალოს ჩვეულებრივი თივის ბალიში—არასფერი ამ გვარი არა მოიპოვებოდა-რა.

ჰაერი იდგა ამ სოროში დაგუბებული, აყროლებული, რაღაც არც კარებიდან და არც ფანჯრიდან საქმარისი ჰაერი არ შედიოდა. კარის კუთხეში იდგა სატუსალოს ჩვეულებრივი „ჭურჭელი“ ზედ ცუდად გაწყობილ თავსახურით, რომლის

ქვეშიდან ამონადენი მომაკვდინებელი სიმყრალი თათხს აესებდა და ამ ჯოჯოხეთის სოროში ნამყოფს საგნებს რაღაც ზიზღისა და შეწვენების ელფერს სდებდა, და ამ ჭურჭელის ახლოს გეორე დიდი, პირ-განიერი, თავ დაუხურავი სურა წყლის სასმელათ!

დიდ ხანს იყურებოდა ტემერა და ძალას ატანდა სიბნელეს მიუჩეველ თვალებს; ბოლოს გაარჩია ყველა ის საგნები, რომლებიც თითქო დასკინოდნენ მას თავისი სიბინძურით, თავის საზიზღრობით. გული ისე მოეწურა ანდრიას, თითქო არტაშენგბი მოუჭირესო. მყრალმა ჰაერმა სასულე შეუგუბა და ისეთ ნაირად დაახველა, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოჰყარა.

ოთახში ხმას არავინ იღებდა, თუმცა რამდენიმე კაცის მძიმე სუნთქვა კი ისმოდა, გეგონებოდათ გულზე ლოდები დაუწყვიათო.

ტემერამ დაათვალიერა მასსავით თავისუფლებას მოკლებული ამხანაგები.

კედელთან, თივის ლეიბზე გაშოტილიყო, პირში ჩიბუხით, ორმოცდა ათიოდე წლის მოხუცი, რგვლათ შემოკრევილი ჰავი წვერით, ხორც-ჩამოშვებული, მსუქანი პირი-სახით და ხისგან გაკეთებული ფეხით. დაფლეთილი პერანგი ისეთი ჭუჭყიანი ეცვა, რომ ეტყობოდა რამდენიმე თვის გაურეცხავი უნდა ყოფილიყო. ნიდაყვზე თავ-დაბჯენილი იწვა და ფეხებზე ტილოს ჭუჭყიანი ფარაჯა ეფარა. ჰატარა, ჭრელი თვალებით მშვიდათ და ოდნავ დაცინვით შესცეკეროდა ახლად მოსულს ტუსალს-ბატონს.

მოხუცის ფეხებთან ძალლივით მოკუნტულიყო ჰატარა, შავ-თმიანი ბიჭი ჰავი ჰარვლით და ჭუჭყიანი პერანგით; პერანგი ისე ულმერთოთ შემოჰულეთოდა ტანზე, რომ ნაფლეთებ შეუა აქა-იქ დაწილებული ხორცი უჩანდა; პირი-სახე ვერ დაუნახა ბიჭს ანდრიამ, ისე მაგრა ეძინა, რომ კარის ხმაურობაზედაც კა არ გაუღვიძინა.

მეორე საწოლზე იწვა შეუა ხნის კაცი, ჩასხმული, მაგარი აგებულებისა, მოპარსულ წვერით და შეკრეჭილ ულვაშებით.

ჯერ კიდევ არა უშავდა-რა იმის ძონძებს და არც ისეთი ძალიან  
 ჭუკვიანები ეცვა,—ეტყობოდა, რომ დიდი ხნის მოსული არ  
 აყო ამ სიმყრალისა და მწეხარების ბუნაგში. დაღვრემილი სახე  
 როგორლაც მოშვებოდა და თვალებ - ჩაღრმავებულს მიწის  
 ფერი დასდებოდა. გახეშებული, ბანლიანი ხელები, მის უნე-  
 ბურად, წამ-და-უწუმ საწოლის რკინებს ეჭიდებოდნენ, თითქო  
 თავისს ყოველ დღიურ სამუშაოს ასრულებსო. პირ-აღმა იწვა  
 და რაღაც გაბოროტებულ და გულ გრილ გამომეტყველებით  
 შესკეროდა პირ-და პირ ჭერსა. ერთხელაც არ შეუხედნია  
 ახალი სტუმრისთვის, მინამ ის თითონ არ გამოელაპარაკა.

იმის გვერდით, ან უკეთ ვსთქვათ, მის ფეხთით, ბალიშის  
 მაგივრად, დახვეულ მაუდზე იწვა გლეხის ბიჭი. პატარა, შავ-  
 გვრემანი სახე ჰქონდა, მშვენივრად დანაკვთული და დატკუ-  
 ცული, როგორსაც ხშირად შეხედებით გლეხკაცებში, რად-  
 გან ისინი ბუნებაში ატარებენ სიცოცხლეს და ბუნება ხომ  
 დედაა სილამაზისა. გრძელი ფუჩიფუჩა თმა ხშირად გადაჰყრო  
 და მხრებზე და შუბლზე კი რგვლიდ ჰქონდა შეკრეპილი. დი-  
 დრონი შავი, ელვარე თვალები ბავშვური სათნოებით და ცნო-  
 ბის მოყვარულობით შესკეროდნენ ახლად მოსულს ამხანაგს  
 მსხილ ძარღვებიანი და ტლან ქი ხელ-ფეხი კი უმტკიცებდა,  
 რომ ეს სანაქებო ბავშვი ფუფუნებაში არ უნდა ყოფილიყო  
 ნამყოფი: ლუკმა პურისთვის ხანგრძლივ ბრძოლისა და შრო  
 მაში გაეტარებინა ბავშვობა.

ანდრია, თაყვანის მცემელი ყოველი სილამაზისა, დიდ-  
 ხანს ვერ აშორებდა თვალს იმ მშვენიერ სახეს, რომლის შვე-  
 ნება მით უფრო ძლიერდებოდა, რომ ზედ ეწერა ბუნებრივი  
 კუუა, ცნობის მოყვარულობა და შეუხებელი წრფელი გრძნობა.

დანარჩენი მცხოვრები ამ „დარბაზისა“ იატაკზე ეყარნენ.  
 ანდრიამ სწრაფად გადავლო თვალი ამ უბედურებს; აქა-იქ  
 ეყარნენ ჭუკვიანს, დაჭოჭებულს, ჯერ ისევ შეუშრობელ  
 ნაფურთხებისაგან მოლიპულ იატაკზე. იქით, კედლის ძირში  
 მოხუცი ურია იწვა, საშინლად გამხდარი და გატეხილი სახით,  
 დამჭერარი ხელებით და ჭალარა წვერით. მოკლედ შეკრეპილი

თავი სცელ ქვაზედ ედო და გრძელი, წვრილი კისრის ძარღვები თოკებივით დასტენოდა. ღრმათ ეძინა, უკბილო პირი დაეღლო და ლორბლი წვერებზე ჩამოსციოდა. იმის ახლო იჯდა ვილაც მთვრალი გლეხკაცი, დაძონძილი, ტყავზე კალთა შემოგლეჯილი, გაქუცული ტყავის ქუდით და ცალ-ტოტა შარვლით; ქამრის მაგივრად, წელზე თოვი ერტყა; იატაკზე იჯდა და ჩუმად სლოკინებდა, თითქო ეს არის ეხლა შეუწყვეტნია ტირილიო.

საწოლის მეორე შხრით, კედლის ახლო, კარების პირ-დაპირ იწვა ჯერ ისევ ყმაწვილი, ოცდა რვისა თუ ოცდა ათის წლის კაცი, თეთვერემანი, ლურჯი თვალებით და მოკლე, ქერა თმით. წვერს ეტყობოდა, რომ დიდი ხანი აზ ენახა აჩც სავარცხელი, არც მაკრატელი და ისე ჰქონდა გაფარჩეული, როგორც ჩამოშლილი შაშვის ბუდე. იმ გვარად იყო აკონკილი და ათასნაირი ჩერებით შებარღნული, რომ იატაკზე მწოლიარე ძონების ხროვას წარმოადგენდა და მძიმე სუს ავრცელებდა ხალხით გატენილს, ჰაერდაგუბებულ ჯურლმულოში.

ანდრია ტემერა, შეწუხებული, გულ-ჩაკლული, დიდხანს შესკეროდა იმათ ტანს, იმათ სახეს და თითონაც აზ იცოდა, რა ეთქვა და რა ეფიქრნა. რამდენი მწარე, მოულოდნელი და ფარული ნაღველი სუფევდა მის თვალშინ, ამ ბნელით მოცულს, საზიზღარ გალიაში! — და მერე ესენიც ხომ ადამიანები არიან, ამისი ძმები, რომლებთაც ამისავით შეუძლიანთ გაარჩიონ და იგრძნონ სიკეთეც და სისაძაგლეც ცხოვრებისა! მერე ისინი, ვინც ესენი აქ დაამწუვდია, ამ საზიზღარ ორმოში, ისინიც ხომ ადამიანები არიან, მამები, ისინიც ხომ არჩვენ იმავე სიკეთეს და სისაძაგლეს! მაშ რათ არის ეს უცნაური უფსკრული ადამიანებთ შორის? რა არის ეს? ანდრიას თითქო კეტი დაჰკრესო, თავი ჩაჰკიდა და ხელები დაუშვა. ის იმ დროს ისეთმა ნაღველმა შეიპყრო, ისეთი საშინელი ყინვით გაეთოშა გული, თითქო ვილამაც ღრმა ჭაში ჩაჰკიდათ — და ისიც ჩაეშვა ძირში დამტერეული, დარეტიანებული. დიახ, სწორედ რომ მირში, — ფიქრობდა ანდრია თავისს გულში, — საზოგადობრიობის ძირ-

ში — და აი ესენი, ჩემს გარშემო, მაშ რანი არიან, თუ არა  
 საზოგადოების ნაშირალნი? მაშ რანი არიან, თუ არა დაწყევ-  
 ლილნი და განდევნილნი, რომელთაც შუბლზე ძევთ საშინე  
 ლი, სამარცხვინო დალი სიღატაკისა!...

## III

— საიდანა ხართ, ბატონო? — პირველად მოხუცმა ჰქითხა  
 ანდრიას.

— ტერნოპოლიდან.

— რა შეგემთხვათ ისეთი, რომ აქ დაგამწყვდიეს?

— რა შემემთხვა! ლოვოში გიმნაზია დავასრულე და ჩემს  
 ამხანაგთან მივდიოდი სოფელში, რომ ერთათ გვესწავლა. რა-  
 საკვირველია, როცა კაცს გულში ცუდი არა უძევს-რა, — არც  
 არას ცუდი მოელის. თან არაფერი არა წამილია-რა, არც სა  
 ბუთის ქაღალდები, არც „პაშპორტი“. როგორც შევსდგი სო-  
 ფელში ფეხი, დამხვდნენ უანდარმები და დამიწყეს კითხვა,  
 საიდან ვიყავ და ვინ ვიყავ. ნახეს რომ საბუთის ქაღალდები  
 არა მქონდა და წამათრიეს კანცელარიაში. იქაც გამომკითხეს  
 და ბოლოს აქ გამომისტუმრებს; ამბობენ, რომ ეტაპით მიპი-  
 რებენ აქედან ჩემს ბინაზე გასტუმრებას. აი, ეს გახლავთ ჩემი  
 დანაშაული.

— დიახ, დიახ! ჩემი დანაშაულიც სწორეთ მაგგვარია.  
 მე გახლავართ ვოლოსჩიდან — იქნება გაგევონოთ, სოფელია  
 აქ, შორი-ახლოს. ჯარში ვემსახურებოდი... იტალიაში ფეხი  
 მომავდებინეს და როგორც უვარევისი, სამსახურიდან გამა-  
 თავისუფლეს. დავბრუნდი სახლში ხის ფეხით; ვნახე, რომ  
 ალარა მებადა-რა... ან მათხოვრობა უნდა დამეწყო, ან შიმში-  
 ლით მოკვდარიყავ. სხვაფრივ ჯან-საღი ადამიანი ვიყავი და  
 მათხოვრობა მიმდიმდა; უფეხოთ ხენა-თესვის მიყოლა კი შეუ-  
 ძლებელი იყო. ავდექი და ბორისლავში წავედი. იქ უფრო  
 ადვილი იყო მაშინაზე მუშაობა. დავჭყე იქ ეს ათს წელი-  
 წადს. იმდენს ვშოულობდი, რომ პური მექამა. სიმართლე უნ-

და სთქვას კაცმა, რომ ხანდისხან ჭამასაც ვიკლებდი, რომ შავი დღისათვის გადამედო რამე... ასე ამნაირად კაპიკი კაპიკს მიემატა და ცოტაოდენი თანხა შემიგროვდა, აგრეთვე ტანი-სამოსიც... დიალაც ცოცხალი ადამიანი ყოველთვის ზრუ-ნავს მომავალზე... აკი გამიწყრა ღმერთი და გავხდი ავად... სენმა უეცრად მომწყვიტა და ჩამაგდო ლოგინად. ექვს თვეს ვიწერები ერთ ურიასთან რაღაცა ქოხში... ჩემი ბედი კიდევ, რომ ზამთარი არ იყო. მაშინ მორჩენილი ვიყავი, როდესაც პირველად თოველი დასდო. რაღა მექნა? ფული ამ ხანში სულ შემომეხარჯა, ტანისამოსი დავაგირავე... ნაავადმყოფარს ადა-მიანს ჯერ ისევ წოლა მჭირდებოდა და ურია კი სახლიდან მაგდებდა, რადგან ფულს ველარ ვაძლევდი. მუშაობის ლონე აღარა მქონდა... რა მექნა მე უბედურს?! რაღა დამრჩენოდა? ავიღე სირცხვილზე ხელი, შევიკერე თოვტრა და დავიწყე მო-წყალებაზე სიარული. ლვთის მაღლით, ის ზამთარი, როგორც იყო, გავაჩანჩალე. გაზაფხულზე ისევ მუშაობისთვის მინდოდა ხელი მომეკიდნა, რომ უეცრად დამხედნენ უანდარმები, ან აქ მოედანს იქით.—საიდანა ხარ, ბებერო?—ვოლოსჩიდან, მივუგე მე.—არ იცი, რომ ეხლა გლოხებს აკრძალული აქვთ სხვა სოფ-ლებში სიარული? ყველა სოფელში თავისი გლოხა უნდა შეინა-ხოს, ხეტიალი არ შეიძლება.

— მე გლოხა არა ვარ. ვუპასუხებდი მე, ავათმყოფობის გამო მუშაობა არ შემძლო და ამიტომ მხოლოდ ჩამდენჯერმე მოვითხოვე მოწყალება... მაგრამ რა გამოვიდა? სიტყვაც არ გამათავებინეს... ერთმა კიდევ, ღმერთმა აცხონოს, ისეთი მუ-შტი ჩამკრა კისერში, რომ თვალთ დამიბნელდა და წამათრიეს კანცელარიაში. იქ მამასახლისის მოადგილე ჩინოვნიქმა,—თი-თონ მამასახლისი არ იყო, გადაცელილიყო,—არც კი გამომ-კითხა, პირ-და-პირ მომისაჯა „მცირე სასჯელი“ ხეტიალის-თვის. გადამიწვიტეს ორი კვირით დატუსალება და შემდეგ ეტაპით სამშობლოში გასტუმრება. ის ორი კვირი გავათავე და მერე აქ გადმომიყვანეს; აქაც, აგერა პარასკევს თვე-ნახევარი შემისრულდება, რომ გვდივარ გამომწყვდეული და ეს სასჯე-

როდი როდი მიაჩინიათ! ღმერთმა კი ნუ ჰქნას ამაზე უარესი სა-  
სჯელი! ჯოჯოხეთი რად გინდა! და არც ვიცით, ბოლო  
როდის ექნება, რადგან აქ არა ჩეარობენ, აზრადაც არავის  
მოსდის!

— მაინც რა წესი გაქვთ? — ჰყითხა ანდრიამ. — გიშვებენ  
საღმე აქედან? სახეირნოთ დაღიხართ?

— ე, რის სეირნობა, შე დალოცვილო, — უპასუხა მოხუ-  
ცმა გაცინებით. — გაშვებით კი გვიშვებენ გარეთ... ყოველ დი-  
ლით დავდივართ ქალაქის დასაგველად.

— ყველანი?

— არა, აი ეს, დიმიტრი, აი ეს პატარა ბიჭი და სტე-  
ბელსკი, აი ის, ძონძებში რომ არის გახვეული, — სხვა არავინ.

— მაშ სხვები არასდროს არ გადიან გარეთ ჰაერზე?

— არა, არ გადიან; ხან და ხან აი კიდევ ეს გადის ხოლმე  
ქალაქში პურის სასყიდლათ. ეს მოხუცი ურია და ეს მგლო  
ვიარე მაგდალინა, ტოტ-ნახევრიანი შარვლით და ქურქით, —  
დღეს მოიყვანეს და ჯერ არ ვიცით, რა მოელით მავათ აქა!

ურია ეტაბმდინ კიდევაც მჯდარა ორ თვეს ბორისლავ-  
ში — ამბობს ქალალდები მომიციდაონ და ხეალ-თუ ზეგ გაისტუ-  
მრებენ. მე და ეგ კარგათ ვიცნობთ ერთმანეთსა. ბორისლავში  
ერთად ვეწეოდით ჭაპანს მაშინაზე. ეხლა კი, ვისაც ქალალდი  
არა აქვს, ერეკებიან ბორისლავიდან ეტაბით. აულიათ და ჩგეც  
დაუჭერიათ.

ანდრიამ შეხედა ურიის დალარულს, ჩამომხმარს სახეს,  
თითქო ცარიელ ძვლებზე კანი გადაუკრავთო. მისი გულის  
მძიმე ხიხინი აშკარად ამტკიცებდა, რომ დიდიხნის სიცოც-  
ხლე არა ჰქონდა; მთელი ტანის შეხედულობაც იმის მაჩვენე-  
ბელი იყო, რომ განვლილი სიცოცხლეც გაჭირვებასა და ვაეუ-  
ბაში გაეტარებინა.

— წრფელი გულისაა, — განაგრძობდა მოხუცი, — მეტათ  
გულ-კეთილი. რაც უნდა დარდი აწუხებდეს, არავის არ შე-  
სჩივლებს, სხვას კი შეიბრალებს და რითიც შეუძლიან — დაე-  
ხმარება, როგორც ღვიძლი ძმა. დიახ, ამისთანა ურიას ძეირათ

შეხვდებით, სწორეთ რომ ძეირად. მართალია ჩვენში კია გა-  
ზრდილი, როგორც ჩვენებს, ისე მაგასაც ბევრი სიღარიბე გა-  
მოუვლია, სიყრმიდგანვე შრომაში ყოფილა და ეხლა წვერითა  
და კიკინებით თუ გაარჩევთ, თორემ ვინც მაგისი ხსიათი იცის,  
თავისს დღეში არ იტყვის, რომ ურია!

— ჭამით რაღასა სჭამთ აქ? ჰეკითხა ანდრიამ და უფრო  
დააკვირდა სატუსალოს, რომელსაც თან-და-თან თვალი შეა-  
ჩინა. რკინის ფეხი დაინახა, ნახევრად კედელში შემდგარი იმ  
საწოლის წინ, რომელზედაც მოხუცი იწვა და ფეხის თავზე—  
შავი პური, რომელსაც ვაჭარი ქალები ყოველდღე ჰყიდიან  
ხოლმე დროგობიჩის ბაზარზე.

— რასა ვჭამო?—უპასუხა მოხუცმა,—პურსა.

— ცარიელ პურს?

— ცარიელ პურს.

— ცხელ საჭმელს სულ არას იძლევიან?

— რას ბრძანებთ, თქვე დალოცვილო, ცხელი საჭმელი  
აგერა თვეც არის, პირში არ გამვლებია! საიდან, რით? მო-  
გცემენ შენ 14 კრეიცერს და ეგ არის! აბა რა უნდა იყიდო  
მაგითი? ჯერ ათი კრეიცრისა პური არა გვყოფნის თი-  
თოს დღეში. ახლა თუ მარილი იყიდე, ხან და ხან პატარა  
ხახვიც—გაპერა შენი 14 კრეიცერი. აი ნახეთ, დღე გამოშვე-  
ბით ვლებულობ ამოდენა პურს,—ოცი კრეიცერი ლირს, ხან-  
და-ხან პატარა ნაჭერი მესამე დღისთვისაც გადამრჩება ხოლმე  
და მაშინ ვყიდულობ ჩემსთვის ხაჭოსა და ხახვსა. ფული რომ  
იყოს, განა არ შეიძლება ქალაქში კაცმა ცხელი საჭმელი იყი-  
დოს, მაგრამ რას იზამ, რომ ყველაფერი ძეირია და ცოტა  
რამ აბა რას გაგაძლობს? ძალა-უნებურად მარტო ხახვს თუ  
იყიდი, ბევრს მაინც მოგცემენ, რომ მთელს დღეს პურთან  
შესატანებელი გქონდეს რამე. სხვებს ეგეც არა აქვთ; აიღებს  
ვინმე ერთს პურს დილით ორ შაურათ და ერთს იჯრაზე  
ლურმას არ გადაარჩენს. ზის მერე და ელის მეორე დილას.  
აი, ეს ბიჭი კი ჩემსავით იქცევა, ეგეც ორი დღის სამყოფს

პურსა ყიდულობს ხოლმე და ეყოფოდა კიდევ როგორმე, თი ესენი რომ არ ართმევდნენ.

მოხუცმა ფეხით ანიშნა მოკუნტულ, მძინარე ვაჟკაცზე— თავისს პურს დილითვე შესჭამენ და შუადღისას მიადგებიან მაგას, თითქო მაგათი კიდობანი იყოს:—მიტრო, მოიტა პური! და ეგ სულელიც იღებს და აძლევს.

— მაშ მე პური ვინახო და ეგენი კი მშივრები ისხდნენ? წკრიალა ხმით გამოეყლაპარაკა მიტრო და მის ლამაზს სახეს სათნოების ღიმილი მოეფინა, აუგუსტუნა თვალები და მისცა მათ მეტი სილამაზე და გამომეტყველება.

— ი შე სულელო, შენა. აბა მაშინ ნახავდი, რას გეტყოდნენ ეგენი, მაგათ რომ პური პქონოდათ და შენ კი მშიერი ყოფილიყავ. ვნახავდი ერთი, გაიმეტებდნენ რასმე, თუ არა. შავ ქვას თუ მოგცემდნენ, რომ თავი გეხალა ზედა!

— თუ ეგრეა, მე მაგათ თავისდღეშიაცარასა ვსხოვდი, — გულახსნით მიუგო მიტრომა.

— შენ რაღათა ხარ აქა? მიუბრუნდა და ჰყითხა მიტროს ანდრიაშ. რისთვის მოგათრიეს აქ, ვის გაუტეხე თავი?

მიტროს გაეცინა.

— არავის,—უპასუხა ანდრიას,—პორისლავში დამიჭირეს იმიტომ, რომ პაშპორტი არა მქონდა.

— შენ თითონ საიდანა ხარ?

— დჰვინიაჩიდან. დედა ჯერ ისევ ხორველობის დროს მომიკვდა და მამა ჩემმა სმას მიჰყო ხელი. ჯერ გაჰყიდა მიწა, მერე ქოხიც დაგირავა და შარშან შემოდგომას თითონაც გარდაიცვალა. აბა რა უნდა მექნა? ჩემი სოფულელები ბორისლავში მიდიოდნენ, ავდეჭი და მეც გავყევი. მაგრამ რაზ რის მუშაობა შემეძლო? არც საქმეზე მორიგება მეხერხებოდა, არც ღონე შემძლევდა. ეგ არის წისქვილში ფქვილს თუ გადვილებდი ხოლმე ტომჩებში—ამაში ორმოცს, სულ ბევრი ორმოცდა ათს კრეიცერს მაძლევდნენ. ზამთარი, როგორც იყო, გავაჩანჩაო, გაზაფხულზე რასმე სამსახურში ვაპირებდი შესვლას, მაგრამ ამათა მტაცეს ხელი და აქ მომიყვანეს.

— და დიდიხნია, ჩაც აქ ზიხარ?

— აგრეთვა თვე სრულდება, — აუქეარებლად უპასუხა მიტ რომ თავისი წერიალა, თითქმის ბავშვურის, ხმით. — ჩვენ აქ ყველანი ბორისლავიდანა ვართ, — განაგრძო მიტრომ, — აი მხოლოთ სტებელსკი არ არის ჩვენებური.

— ეჭ, მაგან ხომ, სიმართლე რომ ვსთქვათ, თითონ აი ტეხა ჭირი, — ნაღვლიანის ღიმილით წარმოსთქვა მოხუცმა. გიმნაზია დაუსრულებია, სულყველა კლასები აქვს გავლილი, მაგრამ, საუბედუროთ, აქ (მოხუცმა შებლზე მიიღო თითი) რაღაცა აკლია. თავისს სამშობლოში მამასახლისის მწერლათ ყოფილა, მერე ვიღაცა ვექილთან, ეხლა კი სულ დაბექავებულა...

— ბაბუა, ბაბუა, — გაუწყვიტა სიტყა ზოზინით, ნამდინარევის კილოთი სტებელსკიმ, — მართალი მაინცა სთქვი, თუ ლაპარაკობ! რას ნიშნავს „ეხლა კი სულ დაბექავებულა?“ ამისენი ერთი, როგორა ვარ სულ დაბექავებული?

მოხუცმა ჩაიკინა.

— ახლა საქმე ის გახლავთ, — მიუბრუნდა ისევ ანდრიას, — რომ მაგას გულში თითქო რაღაცა შექპარვია და ჩრჩილივით უწყია ჭამა. „ნეტა თუ ამას რას ჩავდივარო? ვსწერ და ვსწერ, მაგრამ ნეტა ვისთვის რა მაქნისია?!“ ამ წერიდან ის გამოდის, რომ ხალხი უფრო სტირს და იწყევლებათ! მე კი ამისთვის იმათ ფულსაც ვახდევინებო.“ პო და ხალხის ტირილმა ეს წერა ისე თურმე შეაზიზდა, რომ აიღო და თავი მიანება. თავისი საბატონო ტანისამოსი გაუყიდნია და ეხლა ყველაფერს თითონ იწყობს თავისთვისა. აბა ერთი შეხედეთ მაგის მუნდირსა! თავისი გამოწყობილია!

— რომელი ადამიანიც თითონ ვერ დაიკმაყოფილებს ყველაფრით თავისს თავსა, — წარმოსთქვა ისევ სტებელსკიმ და თან სატუსალოს ბნელს კუთხეს მიაშტერდა, — სხვის უნდა მიპართოს. და რომელიც სხვის დახმარებას მიპართავს — ის მოვალედ ხდება.. და კიდეც უნდა გადიხადოს. მერე თუ არა აქვს, რითი გადიხადოს და არც იცის, როგორ გადიხადოს?

მოვალე კი ხდება გლეხეაცებისა, დედა-კაცებისა... რომლებიც უკავშირდებიან ბიც სტირიან და იწყევლებიან!.. ძილი არ გვკარება თვალზე, შიშის ზარსა გვვრის... სულ ტირილი და წყევლა-კრულვა გვ-სმის! მაგრამ ყველაზე საბრალონი კი ბავშვები არიან — ისეთი გამზღვები, ტიტვლები, დასივებულები... ისინი როდი იწყევ-ლებიან, მხოლოდ სტირიან და იხოცებიან; ისე იქლიტებიან, როგორც ბუზები... ორი წლის განმავლობაში, ერთს წამს ძილი არ მომკარებია, მთელი ღამები სულ ის ტირილი მეს-მოდა. იძულებული შევიქმნ, ყველაფერი მიმეტოვებია. და როდესაც ყველაფერს მე თითონ დავუწყვე კეთება, — გულზედ როგორდაც მეფონა.

— მერე როგორ ახერხებთ ყველაფერის კეთებასა? ჰკიოხა ტემერამ.

— როგორ? — და სტებელსკიმ შეხედა თავისი მოღლილი თვალებით — სულ უბრალოთ. ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც საჭირო არის ცხოვრებისთვის: ვთოხნი, წყალს ვეზიდები, სა-ქონელს ვაბალახებ. ვხარჯავ იმას რასაც, ვმოულობ. ვიცვამ იმას, რასაც თითონ გამოვიწყობ. ვიძინებ მიწაზე. მაგრამ თა-ვი და თავი ის არის, რომ ხორცი არა სჭამო და კალამს ხელი არ მოჰკიდო, რადგან ხორცი კაცს ამხეცებს და კალამი კაცის ხელში უფრო საშიშია, ვიდრე ბრჭყალები ლომისა, კბილები ვეფხვისა და შხამი გველისა.

— ი ხომ ხედავთ, — სთქვა მოხუცმა, როდესაც სტებელ-სკიმ დაამთხვრა თავისი სიტყვა, — სულ ამისთვის აზრები უტ-რიალებენ თავში. საზოგადოთ კი ჯანმრთელი კაცია. ამასთან როგორი მუშა და კეთილი! თუ ხელი მოჰკიდა რასმე, მთელს თავის ძალ-ღონეს ზედ შეალევს. ი, რა მოგახსენოთ: ბატო-ნობას თავი დაანგება და ერთს გლეხ კაცს მოჯამაგირეთ დაუ-დგა. მერე რა გამოვიდა! იქაც დიდებანს ვერ გასძლო.

— გმ! მერე როგორ გინდა გასძლო, — გულგრილად წარ-მოსთქვა სტებელსკიმ, — როცა პატრონი მდიდარია, შეუყრია მსახურები, თითონ არას აკეთებს და მსახურს-კი ერთს უბრა-ლო რამეზე სტკეცავს სილებსა!?

— აი ყველგან ეს ემართებოდა! — სიცილით სთქვა მოხუნა. — მეცოდება კი! ნასწავლი კაცია, მღვდლის ჩამომავალი. წიგნებიცა აქვს თავისთვის, კითხვას არ იშლის. თანაც კი წა-მოულია, მაგრამ პოლიციელებმა წაართვეს!

— საიდან არის მოსული?

— აკი მოგახსენეთ, სამბორიდანა მეთქი. სამბორში ეგ დიდ ხანძა სცხოვრობდა, ხმას არავინა სცემდა. ერთს დღეს შეიტყობს, რომ რეზერვის სალდათებს სავარჯიშოთ იბარებენო. ეს ამ მაზრაშია დაბადებული და ამდგარა ეგეც და მოსულა აქ სამსახურის ასასრულებლიდ. სამსახურიდან კი დიდი ხანიც არის გამოსული ყოფილა, ჯერ ისევ იმ დროიდან, რო-დესაც თითები მოსძრობია.

— როგორ თუ თითები მოსძრობია?

— აკი მოგახსენებთ, რომ მაგას თავში... რაღაცა მეთქი... მივდივარ ერთხელ ზამთარშით, — მიამბობდა თითონ, — საში-ნელი ყინვა იყოვნო. სამბორში მივდიოდი რომელიღაც სო-ფულიდან. ვხედავ გზაში, რაღაცა რკინეული გდია, ჯოხის ნა-ტეხი, თუ რაღაცა სხვაო. ეჭ, ვსთქვი ჩემს გულში, ვიღასაც დაპჟარევია, მოდი პოლიციაში მივიტან, გამოაცხადონო. აუ-ღია, ამ სულელს ის რკინა ტიტველა ხელით და შვიდ ვერს-ტე შეტს მანძილზე უტარებია.

— ათს ვერსტზე, — წყნარად გაუსწორა სიტყვა სტებელ-სკიმ, რომელიც იატაკზე იჯდა და ისმენდა ამ ლაპარაკს.

ანდრიამ სტებელსკის შეხედა. მოხუცმა კი განაგრძო, თი-თქო სულ ერთი იყო, სტებელსკის ესმოდა მისი ლაპარაკი, თუ არა.

— მიუტანია პოლიციაში და იქ სიცილი წახეთქიათ. მე-რე მოუწიდომებიათ რკინეულის გამორთმევა, მაგრამ ამაოთ — რკინა ხელზედ მიჰქორობიდა. მაშინათვე გაუქანებიათ საავად-მყოფოში, მაგრამ ვერა უშველიათ-რა, მინამ თითები არ დაუ-ქრიათ.

სტებელსკიმ, თითქო ამ ამბის დასამტკიცებლიდ, მაღლა ააშვირა ხელი, რომელზედაც სუსველა თითები დაქრილი ჰქონ-და პირველ სახსრამდა

— აფსუსი კია, ნამწავლი კაცია. უწყინარი, გულ მშვი-  
ლი. ეგეც თავისს ბინაზე უნდა გაისტუმრონ, აგერა თვეა,  
რაც აქა ზის. ამ სატანჯველში ჰყავთ აქა და ამას ხომ არ  
აკმარებენ, ყოველ დღე თოთხმეტს კრეიცერს თავისი საკუთა-  
რი ფულიდან აძლევენ, რადგან როდესაც პოლიციელებს დაუ-  
კერიათ, „ატსტავკის“ ქალალდი და ოც-და-ცხრამეტი გულ-  
დენი წაურომევიათ; აი, ამ ფულიდან აჭმევენ პურს..

— ატესტატიც წამართვეს,—დაუმარასტებელსკიმ,—სამი  
წიგნი, ოც-და-ცხრამეტი გულდენი და ატესტატი,—წაიბურ-  
ტყუნა მეორეთ, თითქო ზეპირად სწავლობსო. ბოლოს წამო-  
დგა, დაჯდა იატაჭე მიუბრუნა ანდრიას თავისი მკრთალი  
უსიცოცხლო სახე და ჰკითხა:

— Et dominus... intelligit latine? \*)

— Intelligo.

— Et germanice?

— Intelligo.

— Und sie... sie kennen die allgemeine geschichte  
vonqindely,—die hat ma nimir abgenommen,—drei bände:  
geschichte des chterthums, geschichte des llittelalters  
und die... die geschichte der neuen Zeit.

— სწავლული კაცია, ქევიანი თავის პატრონი,—თავის-  
თვის ბუტბუტებდა მოხუცი,—მაგრამ, სამწუხაროდ, კაი გზაზე  
ვერ დამდგარა! ეგრე მოსდგამს მაგის ოჯახს... განსვენებული  
მაგის დედაც მაგნაირი იყო...

\*) — თქვენ გესმით ლათინური?

— მესმის.

— ნამეცური?

— მესმის.

— იცით თქვენ... ისტორია გრძელისა, — ის წამარავეს,—სამი ტო-  
მი: ძველი ისტორია, ზუა საუკუნეების ისტორია... და ახალი დროის ის-  
ტორია.

— Et quas scholas dominus absolvit? \*) შეეკითხა  
შემდე სტებელსკი.

— მე ვიყავ ლვოვში, ფილოსოფიის განცოფილებაში.

— Ergo philosophiam majorem!\*\*) )

— არა, — უთხრა ანდრიაშ — ფილოსოფია ერთია, არც  
არის უმაღლესი, არც უმდარესი, არის მხოლოდ უფრო ნაკლე-  
ბად ყალბი და უფრო მეტად ყალბი, — თუმცა ეგეც ღმერთმა  
უწყის!

სტებელსკი უსმენდა ამ სიტყვებს გაჭიეტილ თვალებით,  
თითქო იოტისოდენათ არა ესმოდა-რა მათი; ბოლოს ჩაღუნა  
თავი და მიწვა ისევ სველს, ნაფურთხებისაგან მოლიპულ ია-  
ტაკზე.

#### IV

— ეს ურის ბიჭი კი აქაურია, — სთქვა მოხუცმა ერთის  
წამის სიჩუმის შემდეგ და საწოლზე მიძინებულ, შავ-თმიან  
ბიჭზე მიუთითა. — როგორც ეტყობა, უჯიბის ოსტატთაგანი“  
უნდა იყოს. არ ვიცი სწორედ, რისთვისა ჰყავთ აქა, ეს კი ვიცი,  
რომ ორი კვირა არის აქა ზის. მგონი ასეა, ჲა, მიტრო?

— სწორედ ხვალ შეუსრულდება ორი კვირა, — დაემოწმა  
მიტრო.

— არავინ იცის, რა მოელის, რადგან არც ერთხელ არ  
დაუბარებიათ გამოძიებაზე.

— არც ერთხელ არ დაუბარებიათ?! ორი კვირის განმავ-  
ლობაში?! — შეჰვეირა ანდრიაშ.

— არ დაუბარებიათ. ზის ასე საცოდავათ და არა ხორ-  
ციელს არ ახსენდება, რომ ხმა ამოიღოს ამისათვის. ბატონ  
ინსპექტორს კი არ ეჩქარება... აი ის ხომ — ჩვენი სახლის პატ-  
რონია — რაღა! მთელი ზამთარი აქ გაუტარებია.

\*) რომელ სკოლაში სწავლაში მდგრადდით?

\*\*) მაშასადამე უმაღლესს ფილოსოფიას სწავლობდით.

— რომელი? — ჰეითხა ანდრიამ, რადგან მეტს ვერავის  
ჰელავდა.

— აი აქა გვყავს კიდევ ერთი ვაჟ-ბატონი. აბა ერთი  
წამოდექ ზეზე, ზანტო! დაიძარ აღგილიდან, უფამურო!

მოხუცის დაძახებაზე, საწოლის ბოლოს, ბნელ კუთხეში  
რაღაცა შეინძრა და როგორც საფლავიდან, ძლიერ-ძლიერ წა-  
მოიწია, თითქო საიქიოდან მოსულმა, რაღაცა საშინელმა მო  
ჩვენებამ. ის იყო ოცდა ოთხიოდე წლის ვაჟ-კაცი, შუა ტა-  
ნისა, გატატყულ პირისახით და სწორე შუბლით. ტუჩებსა  
და ნიკაპზე ოდნავ ამოსვლოდა გინგლი.

აბურძენული გრძელი თმა შესახარ სანახაობას იძლევდა  
იმის ისედაც საშინელს და მხეცურ სახეს. დიდრონი და უმო-  
ძრაო თვალები უსიცოცხლოთ უბეჭრავდნენ. სახეზე მიწის  
ფერი ედო, როგორც ყველას, ამ სოროში მცხოვრებლებს.  
ეტყობოდა, რომ დიდი ხნის პირდაუბანელი იყო, ისე სქლად  
ედო ჭუჭყი საფეთქლებზე. თითქმის სულ ტიტველა იყო,  
რადგან ტანისამოსათ არ ჩაითვლებოდა ზედ შემოგლეჯილი  
ჰერანგი, რომელიც ოდნავ მარტო ზურგს უფარავდა. ამის  
მეტი არა ეცვა რა. ანდრია აცახუახდა სიბრალულითა და ზი-  
ზლით, როდესაც დაინახა ასე უკიდურესად გავერანებული,  
მხეცად ჭურული არსება — სიკეთით ხომ არ ჩავარდებოდა ამ  
ყოფაში! ანდრიამ კიდევ ჩაათვალიერა ეს კაცი და შეამჩნია,  
რომ ფეხები რუმბივით დასიებოდა და როგორც წყალმანკიან  
სიმსივნეს — ლურჯათ გაჭქონდა ლაპლაპი. მუცელიც საშინ-  
ლად გასიერდა, როგორც ამერიკის ველურ კაცებს მიწის  
კამიო. იმათი სურათი როდისლაც ენახა ანდრიას, სწორეთ  
სეთივე გაბერილი მუცლებით. მხოლოდ დიდრონი, ძალოვანი  
ხელები უმტკიცებდნენ, რომ მუშა კაცი უნდა ყოფილიყო,  
რაღაცა უბედური შემთხვევით მუშაობაზე ხელალებული და ამ  
უბედურობაში ჩაგდებული.

— აი ეს გახლავთ ჩვენი ბოვდური \*), უთხრა მოხუცმა, ბოვდურს ეჭახიან. ეს ეხლა ამ სახლის პატრონათ ითვლება, რადგან აქ ისეთი ჩვეულება არის, რომ ვინც უფრო მეტს ხანსა ზის სატუსალოში, სახლის პატრონობა იმას ეკუთვნის. და მაგას ხომ, მაღლობა ღმერთს, მთელი ზამთარი აქ გაუტარებია! ერთი შეხედეთ, როგორ ჩისუქდა! თვალი არა ვკრათ და! საჩვენებლად ვინახავთ, იქნება საკლავად იყიდოს ვინმემ! ეხლა ცოტასლა ვაჭმევთ,—სულ წევს და წევს; რა ქნას, რომ სიმსუქნით ფეხზე ვეღარა დგება. ეს კი რომ, რასაც ხელით მისწვდება,—გათავდა, მაგისია და მაგისი. ხელებში ჯერ ისევ დიდი ლონე აქვს, მაგრამ ევ არაფერი, მალე ეგეც მოესპობა!

ამ ხუმრობაზე ყველამ ხარხარი დაიწყო, ანდრიასა და ბოვდურის გარდა. ბოვდური ჯერ ისევ იმ ალაგას იდგა, სა-დაც ანდრიამ პირველად დაინახა. იდგა და ქანაობდა თავისს გასივებულ ფეხებზე,—იდგა და ჰეთიქრობდა, თითქო რაღისაც აპირებსო. ოდნავ პირდაღებულს, კბილები მაგრად მოეწირა; თითქო ყოველ ძალ-ლონეს იქრებდა, რომ სისრულეში მოე-ყვანა, რაც გულიდან ამოელო. ოთახს თვალს ნელ-ნელა ავ-ლებდა, თუმცა ერთს კაცს კი უფრო აშტერდებოდა; ის კი გულ-აღმა იწვა საწოლზე და სოვლებდა ამ ლაპარაკში.

— ეგ არც ქალაქში დაიძრება,—განაგრძო მოხუცმა,— არც სამუშაოზე. წინათ თითონვე ურჩიბდა და ეხლა იქნება კიდეც უნდოდეს, მაგრამ ვინ გაუშვებს.

— სწორედ რომ მე თითონ არ მინდა!—გამოელაპარაკა ხრინწიანის ხმით ბოვდური.—ფეხებზე მკიდია იმათი სამუშაო! მერე ვინ რას მომაშავებს გასამრჯელოს?

სთქვა ეს ბოვდურმა და გადააბიჯა ჯერ იატაქზე მძინარე მოხუც ურიას, მერე მსლოუკინე გლეხკაცს და ძლივს მიფრა-ტუნდა სურასთან. ბუმბულივით წამოავლო ხელი, დალია წყალი და შემდეგ გააწვდინა ხელი იმ გლეხკაცისაკენ, რომელიც სოვლებდა; გამოაცალა თვექვეშიდანპატარა ჩიბუხი, გამოუ-

\* ) ხეტი, ახმახი.

ბერტყა შიგ ჩარჩენილი, კომლში გავლილი თამბაქო, ჩაიყარა პირში და დაუწყო ნელ-ნელა ღვევი. ღვევი და თან დრო-გამოშვებით რალაცა შავს წვენს აფურთხებდა კედელსა და იატაკზე.

რომ შეასრულა ეს ძნელი გასაბედი საქმე, თავისუფლადაც კი ამოისუნთქა, გაჩერდა შეუ თთხში და დაიქნია ხელი:

— რომ დაიხოცნონ, არ წავალ სამუშაოდ! დიახ, იმათმა შეემ, მე იქ წავიდე! აქ დავილპობ თავსა და კი არ წავალ! ამ სიტყვებზე ერთი კიდევ შეაფურთხა კედელს, სწორედ მძინარე ურის პირთან.

— მერე რა მიზეზია, რომ ამდენხანს აქ გაჩერებენ? — აკან-კალებული ხმით დაეკითხა ანდრია.

ბოვდურმა ისეთი ბოროტის თვალით შეხედა ანდრიას, თითქო ამ კითხვით წყლული რამ აუშალა.

— იმიტომ მაჩერებენ, რომ მაჩერებენ, — შეუტია ბოვ-დურმა და მერე დაუმატა: — უნდათ, რომ ეტაპით გამისტუმ-რონ იმ სოფელში, სადაც მე დაებადებულვარ. მე კი ამაზე ვეუბნები, რომ არა სოფელში არ დაებადებულვარ-მეთქი. — მაშ სად დაიბადეო? — გზაში-მეთქი. — მერე ის გზა ვის მიწაზე გადისო? — არავის მიწაზე, რადგან თითონ ის გზაც მიწაზე არ არის, მე დავიბადე წყალზე, როდესაც დედა ჩემი ბორინით გადადიოდა მდინარე დნეპრზე-მეთქი. — მერე ის ბორინი სად არისო? ალბად, წყალმა წაილო, მაშ მე ჯიბეში ხომ არ ჩავი-დები-მეთქი. — ეს მაინცა სთქვი, სად მოინათლეო? — მე რა ვიცი, წადით და იმასა ჰკითხეთ, ვისაც ემბაზში ვეჭირე და ვინც დიდი სიკეთე დამანათლეს. — სად იმალებოდი მაინც? — გულად ხალხში. — რა სოფელში? — ისინი ყველგან არიან-მეთქი.

აი ამნაირად გამომკითხეს ჩემი ვინაობა. ამაზე მეტი არა უკითხავთრა, უბრძანეს, რომ აქ მოვეყვანეთ; მაღლობა ღმერთს, რომ აქ ჩამკეტეს, თითქო დაბეჭდესო, და სულელური კითხვე-ბით მაინც აღარ მაწუხებენ.

ბოვდურმა კიდევ გააფურთხა, კიდევ გაღააბიჯა მსლოცვინე  
გლეხკაცს და მძინარე ურიას, მძიმეთ მიწვა თავისს კუთხეში  
და ფეხებზე რაღაცა დაგლეჯილი ტომარა მიიფარა.

ანდრიას უფრო შეეხუთა გული, როდესაც ბოვდურის  
ნაამბობი მოისმინა. რა იყო ამ კაცის სიცოცხლე? რა უნდა  
იყოს ამისი წარსულის მოგონებანი და მომავალის იმედები?  
ერთს წამს ჩააყენა თავისი თავი იმის უსაშველო მდგომარეობ-  
ბაში და იგრძნო, რომ გონება ეფანტებიდა და მალე ჩაიხ-  
ჩობოდა ამ საშინელ უფსკრულში. რასაკვირველია, ანდრიას  
ალელვებული წარმოდგენა სინამდვილეს აქარბებდა; უხატავდა  
მას ობოლ-ოხერს, რომელსაც ყველა თავში უთაჭუნებდა;  
ობოლს, სიბავშვითვე დაჩაგრულს და მოძულებულს, რომელ-  
საც არ ღირსებია თავისს სიცოცხლეში არც სიხარული, არც  
ალერსი, არც სიყვარული.

ეს ყველაფერი იყო, მაგრამ არც ასე. ბოვდურს გამოუვ-  
ლია ბეღნიერი წუთები და სიყვარული, ჰყოლია ერთგული  
მეგობრები, ისეთივე ბეღ-შვი იბლები, როგორც თითონ,—  
მაგრამ ეხლა ეს ყველაფერი განქრა მის დაბშულ გონებაში,  
დავიწყებას მიეცა; ეხლა იმისი, თითქო მოჯადოვებული ფი-  
ქრი თამბაქოსა და ლუკმა პურს შუა-და ტრიალებდა, ამას  
იქით მისოვის აღარა არსებობდა-რა, არც წარსულსა და არც  
მომავალში. ბატონს ინსპექტორებს კი არ ეშურებოდათ მისი  
გამოშვება და ბოვდურიც იჯდა, ღმერთისაგანაც და კაცისა-  
განაც ხელალებული, იჯდა და სივდებოდა და ლპებოდა; მიი-  
ვიწყა ყველაფერი, თუ რამე უნახავს ქვეყანაზე, და ძალ ღო-  
ნის დაკარგვასთან ერთად, უფრო და უფრო მეტს სიძულვილს  
იძენდა შრომისადმი.

— ნუ თუ ცარიელი პურის მეტს არასა სჭამს? — შეეკი-  
თხა ანდრია მოხუცებულს.

— მეტს არაფერს, აგრა ექვის თვე სრულდება. და ისიც  
როგორ? თუ დილით გაგზავნა თოთხმეტი კრეიცერი პურის  
საყიდლათ, —ერთბაშათ შესჭაბს და მერე ელის მეორე დღემ-  
დინ; ან არა და აი ამ სულელ ბიჭს დაესესხება საღამოზე,—  
უეჭველია საიქიოს თუ დაუბრუნებს.

— და ასე გარეთ გაუსვლელიათა ზის ამ ჯურლმულოში?

— რაც აქა ვარ, მე ეგ გარეთ გასული არ მინახავს. არ ვიცი, წინათ როგორ იყო. ბოვდურ, წინათ გადიოდი საღმე?

ბოვდურმა ხმელათ ჩაახველა და მერე წაიბუზლუნა: — არა, არსად, მარტო ერთხელ კი ვიყავი გამოძიებაზე.

— და ამ დედი-შობილათ ტიტვლიკანამ როგორ შეუძლო ამ ზამთარს, ეს ხომ სულ არ მესმის,—სთვეა მოხუცმა.

— მე რომ მომიყვანეს, უკანასკნელი ყინვის დღეები იდგნენ. აქ რომ შემოვედი, იმისთანა სიცივე იყო, რომ ქვას გახეთქდა; ეს კი მარტოთ-მარტო იჯდა ამავე კუთხეში და ესევე ტომა-რა ჰქონდა წაფარებული. მთლათ გალურჯებულიყო და ხმას ვერ იღებდა. დავიწყე პატარა ზანს გავლა-გამოვლა, ხელები ვიფუნიტე, რაც შემეძლო, მაგრამ რომ დავატყე — ვერას მშვე-ლოდა, შევქენი ყვირილი: — თქვენ ეი ხალხნო, ვინა ხართ ქრისტიანი, ძე ღვთისა ხომ არა ვარ, რომ ასე მტანჯავთ? ასე ხომ ძე ღვთისა აწამეს ფარისევლებმა, როგორც თქვენ მე მა-წამებთ! ამაზე იმათაც, ცოტა არ იყოს, შემომიტიეს, მაგრამ მე-რე კი აგვიფუვლეს პატარა ცეცხლი, შევთბით როგორც იყო. ამას შემდეგ დღე გამოშვებით მაინც გვინთებდნენ, მინამ ყი-ნვებმა გასტანა.

— მაშ მანამ თქვენ მოხვიდოდით, სულ არ ანთებდნენ ცეცხლსა? ჰკითხა ანდრიამ და თითქო ყინვისაგან გააძიძგინა.

— ბოვდური ასე ამბობდა, ანთებდნენ, მაგრამ იშვია-თათ, როცა თითონ მოინებებდნენო.

— შენ რაღას გაჩუმებულიყავ, რატომ არ აცივდებოდი რომ დაენთოთ? ჰკითხა ანდრიამ ბოვდურსა.

— დიახ, არ ვაცივდებოდი! გაჯავრდა ამაზე ბოვდური. — თავიდან მეც ვიყვირე ხოლმე, მაგრამ ცემა-ტყება დამიწყეს, რაკი მარტო ვიყავი.

— მარტო იყავ! — გაოცდა ამის გამგონი ანდრია, — მერე დიდ ხანს იყავი მარტო?

— სრული თვე. ან არავინ მოჰყავდათ, ან თუ მოიჰყანდნენ ვისმე, მეორე სატუსალში შეჰყავდათ ჩემს ჯიბრზე.

— ექიმი, როდისმე მოდის ხოლმე?

— ერიპა! ექიმის მეტი არა გვაკლია-რა! რის ექიმი, და-ლოცვილო! მერე ვინ რა უნდა მისცეს აქ ექიმსა! მწარე და-ცინვით წარმოსთქვა მოხუცმა.

— აკი არის ეს დადგენილება, რომ ექიმმა ყოველ დღე, ან კვირაში ერთხელ უთუოთ ათვალიეროს სატუსალონი, კარ-გათ არის ხალხი მოთავსებული თუ არა?

— იქნება სხვაგან იყოს საღმე ეგ დადგენილება და დორო-გობიჩში კი სწორეთ არ არის! ან ვის რათ მიაჩნია რიმე და-დგენილება. თითონ არ არიან თავისს ბატონები!

— მაშ არავითარი კონტროლი აქ არ არსებობს?

— არ არსებობს არავითარი, მორჩა და გათავდა.

#### ▼

სატუსალოში ხმაურობა ასტყდა. ვისაც ეძინა—გაიღვი-ძეს, წამოდგნენ ზეზე; მარტო სტებელსკი იწვა თავისს ალავას და ბოვდური, იდაყვ დაყრდომილი, თამბაქოს ღევეით იბრუ-ებოდა. მოხუცმა ურიამ ანდრიას დაუწყო ლაპარაკი ჯერ ური-ულათ, მერე მის ენაზე. ურიის გვერდით, იატაკზე მჯდომარე გლეხკაცმა კი ისევ მორთო ტირილი; წაიგლო თავში ხელები და მიაწყდ მოაწყდა აქეთ-იქით. თან განუწყვეტლივ მოსთქვ-ამდა:—რა ეშმაკათ მოვეხეტებოდი ამ ოხერ დროვებიჩში! ვმჯდარიყავ ჩემსთვის ბორისლავში-ი, ან მეყიდნა იმ საცოდავი ორმოცდაათი კრეიცერის ფქვილი შვილებისათვის და წავსუ-ლიყავი-ი სახლში-ი...

— ესეც ვითომ ოჯახის პატრონია!—ხუმრობდა მოხუცი. ერთი დღე უმუშავნია ბორისლავში, აულია ორმოცდა-ათი კრეიცერი და ეხლა დღეობაზე დროვებიჩში მობრძანებულა პურის სასყიდლათ! თვალი კი არ ეცეს და თითქო სააღდგო-მოთო,—ისე არ მორთულა! შარგალი ცალ-ტოტა იმიტომა აქვს, რომ კაცს რაც მსუბუქათ აცვია, სიარული უფრო უად-ვილდება. ტყავიც სადღეობოა,—ეტყობა კალთების შეკეცა

സദമ്ഭനി ദാ ഉപാധേദാത മനുഗല്ലേജ്ഞി. അ സ്റ്റുഫർഡ റിംഗ്ബൻഡ  
ബാൾമേ ദാ ഗുലാ-ഖുബി മേഗനബർഡി അ ഗാമനുശ്വേഡൻബെൻ, കാലന്തേബി  
ഡാസ്ട്രീഗുഡൻബെൻ, മാഗാസ കു ഫാലാ-ജീഷി മന്സേലാ ഏക്സാർജ്ജേഡംഡാ, ബാല്ക്ഷി  
ഗാസലാ,—ഗാമനോണ്ട്രേജുഡാ ദാ കാലന്തേബി മാസ്കിന്ദലേബി ശേരിക്കേഡംഡാത  
ബേല്ലീ! മന്സേലാ തു അരാ എ, ഏക്ലേജിസാസ്താന് സാനുക്കേതേസി അലാഗബി  
ഗാമനുകൈമുലാ, മിസ്കുറിഞ്ഞി, ലോതിസ മനുപിജ്ജുലേബി ദാ ഉത്രാച്ചനിാത  
ബേലീ: അഥ മന്ദർഹാബന്ദിന ഡാർബാച്ചിശിനി!

അ ലൂഡാരാക്ഷേ ഗലേക്കാപി സ്റ്റിരുംഡാ, സ്വേബി ഒപ്പിനുഡന്നെൻ.

— വാിഡേ-എ, കിമൊ ശ്വേഡേബി, റാ ഗ്രേശ്വേലേബാത? മന്സേലു-  
വാമ്ഭാ സാപുറാവാത ഗലേക്കാപി,—ഡാഗ്യാരേത ചുശുശ്രേബി, മാര-  
റുന്ത-മാരറു ക്ലേശി, ഉല്ലുക്കമാഡുരുന്ത! ബന്ധ ഡാബോപ്രേബിനു ശിമ-  
മിലുനിത, തു ബോഡ സാബലിശി അ മനുഞ്ഞി!

— ബോഡാമദിന കുഡേ ഭേദ്യരി ദർനാ!—ഉതബ്രാ ശാസ്ത്രമിാനാ  
ശ്രീരി—ബിപ്പാ... ദാനുഗനബിഹിശി ഭേദിസ സാംഗ്രേഡ ചിംമന്സേലാബി, ഇം  
ഖാമംഡാ, റാമ ദലേജുവ മിസ്കുറിപാദ!

— ബിം ഹിംപ്പുവുറു, ശ്രേ എംബാകിസ ക്രേരിം, ഉദാബനന്ത നു മുരി  
പ്പുലുബി!— ചിംമന്സേലാ ഗലേക്കാപ്രി, ഹാക്കിറിഡാ താവി ദാ മന്തനന  
ഒഡേ ട്രിരിലു ഭാവിപ്പുനിതാ.

— അരാ, അരാ,— ഗാദാംപ്പുവേതിന ചിംമന്സേലുക്കാ ഏരിനി ചിംഗിനി  
ശ്രേഡേഗ,— ഫലേജുവ ചുംഡാ ഗാമിശ്വാന അജേദാനാ,— റാ ദാവുശാവു? മന-  
ബികാരേ റാമേ, തു മനുവാലി വിന്മേ? റിസ്തുവിസ മാക്കേരേബെൻ എക്കാ? റാ  
അ സിറുവുവേബിന ചിംമന്ദഗാ ഇംതാക്കിഡാന, ഗാക്കേരഡാ കാരേബ്താന റാ മിംഡന  
താവി മിപ്പേറില തുംജാരാബി, സാംഗാനാപ താരാരാ ജുജ്രൂത്രാബാശി  
നിംബാദ മന്സിബാംഡാ ദേരേതുബി ദാ ദേരേതുബിശി അർഡിലുനിനിത മന്സി-  
രിംബു തുംലിപ്പിംഗേബി.

— കാദും കാന്കു!— മന്സുരാ അ ദർനിസ ബിം സാംഗലിംഘേ തിർ-ഓമിം  
മിംഗലാരു ഗലേക്കാപ്രി, — കാദും കാന്കു, തുജുവു ബന്ധ അ ചിംഗിലുനിത  
ഭേദി ഹിംബുബിഡാന താമഡാക്കു?

— അരാ, മേ അരാ,— ഉദാബുശബി ഭോബുപ്രി, — മാന്ദ സബു സ്റ്റുഫ-  
രി ഗ്രേംഗി.

— വിനാ?— കുതബാ ഗലേക്കാപ്രി ദാ മരിസബാന്ദ ശേരിക്രാ ബിം-  
രി, ശാവി ചിംഗിബേബി.

— ეს ჩვენი ვაჟ-ბატონი ბოვდური გახლდათ! უყურე ერთი, ჯერ კიდევ იცოხნება.

გლეხეკაცი ერთს წამს ჩაჩუმდა და გულ-მოსული იცირება ბოდა იმ კუთხისკენ, სადაც ბოვდური იღეჭებოდა. მერე ადგა, ხმა ამოუღებლივ მივიდა ბოვდურთან და ისეთი მუშტი ჩასთხლიში თავში, რომ თავი კედელზე მიუხალა.

— შე მყრალო, შენა! რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ მე ნუ მესტუმრები ხოლმე! ნუ ახლებ ხელს, რაც ჩემია!..

პასუხის მაგივრათ, ბოვდურმა, რაც ძალი დაღონე ჰქონდა, წიხლი ჩაჰკრა გლეხს მუცელში, თუმცა თითონაც ისე მწარეთ ეტკინა ფეხი, რომ კიდევაც დაიკვნესა. გლეხი დატორტმანდა და ზურგით კედელს მიეყუდა.

— შენაც მოგტეხია კისერი! — დაუყვირა ბოვდურსა, — არა, ჩემს ოხერ ქონებაზე მევე მიშვრები ამასა?!

— ღმერთმა ნუ მოგიშალოს მაგისთანა ქონება საიქიოსაც, ღორი-ჭამია! — დაუყვირა ბოვდურმაც და ფეხზე ძლივსლა წამოდგა. — ერთ ჩიბუქ თაბბაქოსთვის ადამიანს თავს უტეხავ!

— თვალისაც მოგთხრი ჩემისათვის! — უპასუხა გლეხეკაცმა. — რაც ჩემია, ხელს ნუ ახლებ! გესმის თუ არა! გაისარჯე და შენც გექნება. მე ხომ არ ვეხები შენსას რასმე!

— დიახაც არ შეეხები, მინამ მე თვალს ვადევნებ, აბა ერთი თვალი გადამცდეს, როგორ დასტაცებ ხელსა! გიცნობთ, რა შეილიც ბრძანდები.

პასუხის მაგიერ, გლეხმა ხელი მოუღერა.

— რა ძალიან გენანება ეს შენი საღეჭი? უთხრა ბოვდურმა და შეუბლვირა. მაშ აპა, შენს თვალში იყოს! უთხრა და თან სახეში შეაფურთხა დაღეჭილი თამბაქო.

ჩემოედინა გლეხს აყროლებული წვენი სახეზე, წვერზე, ჩამოედინა პერანგზე, მერე იღლიებში და დააჩნია ყველგან შევი ზოლები.

მოხუცს პანკოს გაეცინა; მიტროს ჩხუბისა შეეშინდა და თავის ნაბადზე მოიკრუნჩხა.

— შე ძალოო, შენა, რა მიყავი ეს? რის ღირსი ხარ შენ ამისთვის? გულმოსულობით ხმა ჩაწყვეტილი ხივილით ეუბნეოდა გლეხი ბოვდურს და თან მუშტებს ულერებდა.

— შენი დაგიბრუნე და ზედ მეტიც გამოვაყოლე! ბოვე-  
რით უპასუხა ბოვდურმა და იმას აღარ აცადა დარტყმა, ისე  
ლონიერად ჩაქრა წისლი მუცელში, რომ გლეხმა ერთი შეპ-  
ყირა, დატორტმანდა და დაეცა იატაქზე. იმის ჩამდენი ბოვ-  
დური არხეინათ მიწვა თავისს კუთხეში და არავითარ ყურად-  
დებას არ აქცევდა გლეხის ღრიალსა და გაშეგებას.

— ეს ჩვენი „უფროისი ზედამხედველია“, — ხუმრობით  
უთხრა ანდრიას მოხუცმა პანკომ, — ისე უფრთხილდება თავისს  
კუთხილებას, როგორც თვალის ჩინს და ამ ბოვდურს სულ  
თვალების დათხრას ემუქრება, მაგრამ როგორდაც ღმერთი  
იფარავს იმას. ლვის წინაშე, ლირს კი ერთი ჩიბუხი თამბა-  
ჭო ერთ თვალიათ!

— თქვენ საიდგან-ლა ხართ, ბიძია? — ჰკითხა ანდრიამ გლეხ-  
კაცსა, მაგრამ ის იმ დროს ბრაზმორეული ისევ ლოგინზე იწვა,  
შენით აბოლებდა ზედ-ზედ ჩიბუხს და თან ჰერს მიშტერე-  
ბოდა, თითქო არც კი გაუგონია ანდრიას კითხვით.

— ეგ გახლავთ დოროულვიდან, — ხელ-ახლა მოჰყვა ხუმ-  
რობას მოხუცი პანკო. დიდი სოფელი ის დოროული და დი-  
დი ავაზაკები და ქურდებიც სცხოვრობენ შიგ, რომლებიც სულ  
იმაზე დავობენ, რომ ეს ჩემია, ეს შენია. ასე რომ ამაზე კეუა-  
ზედაც შეიშალნენ და ეხლა სულ ველარა გაუგიათ-რა, რომე-  
ლია ჩემი და რომელია შენი.

— აი დაგწყველოს ღმერთმა! ხმა ჩაიწყვიტო არა სჯო-  
ბიან, მაგდენი სისულელის ლაპარაკება! — შეუტია მოხუცს დო-  
როულველმა.

— ფურ შენს კაცობას! სიცილით უთხრა მოხუცმა პან-  
კომ, — ესეცა გშერს, გაუმაძლარო! იქნება ის შენი არ იყოს,  
რასაც მე აქ ვილაპარაკებ!.. აი ეს საცოდავიც „ჩემია“ - „შე-  
ნიაზე“ დაუქერიათ, — განუგრძობდა ანდრიას მოხუცი, — საცალა  
ვილაც ურიისაგან ტყავი უყიდნია ექვს შაურათ! ტყავი კი მა-  
ნეთიც ღირებულა. ურიას ექვსი შაური უგდია ხელში და  
მოუკურტხლავს, ამ ლვის გლახისთვის კი ურიებს უტაცნიათ  
ხელი და სატუსალოში მოუბძანებიათ.

მოხუცმა კიდევ გაიცინა, იმას მაჟყვა მიტრო და შავ-თმიანა ურია-ბიჭი, რომელსაც მოხუცმა უჯიბის სისტატი უწოდა წინათ. დოროვოველს ხმა აღარ გაუცია, მძიმეთ ქმინავდა და პირიდან ბოლს უშვებდა პირდაპირ ჭერისაკენ. ანდრია მთელი ის დრო კედელთან იდვა მოხუცის საწოლთან და ხელში თავისი პალტო ეტირა. ფეხები სტკიოდა და უცახცახებდა, მაგრამ ვერ დასძლია თავს, რომ ამ სიბინძურება და სისაძაგლეში დამჯდარიყო სადმე.

რომ ველარ აიტანა ფეხზე დგომა, დაიწყო სიარული საწოლებსა და იატაკზე მწოლიარეთა შორის, თუმცა ამნაირადაც ხუთ-ექვსს ნაბიჯზე მეტს ვერ გადასდგამდა. ტუსალების ამ საზარელი მდგომარეობის ნახვამ თავი ტყვიასავით დაუმძიმა, ათასნაირი ფიქრები კორიანტელივით დაუტრიალა თავში: ყველა ეს გაჭირვება, ეს სისაძაგლე, ეს სიბინძურე აქ, ამ ვიწრო გალიაში და ამ გალიის კედლებს გარეთ, მთელ დედამიწის ზურგზე, მთელი კაცობრიობის ძირში, სადაც ის ამ ემათ თავისს თავსაც გრძნობდა ჩაირულად, —ადამიანთა ყველა ეს ტანჯვა და ვაება თავისი უზომი სიმძიმით ლოდებივით დააწვა გულზე და თავისი საკუთარი მწარე ნალველი გადავიწყა.

და იქ კი, ამ საზიზლარი გალიის გარეთ, მხის სხივებით მოფენილს, თლილი ქვით დაგებულს ეზოში... პოლიციელნი ერთობოდნენ და ხმა მაღლა ხარხარებდნენ. ჰქონდათ ერთი სიცილი, ყიუინი, კამათი; ისმოდა ვიღაცა ურიების ყვირილი, რომლებიც პოლიციელებს ნახირთან ერთად ეზოში მოერეკნათ.

ბერკეტს გაჰქონდა ჭრიალი, ეტყობოდა, რომ ჭიდან ვიღაც წყალს იღებდა. ამის მეტი კი არც არა ისმოდა-რა, არც არა სიონდა-რა. სულ ერთი და იგივე შეჩვენებული, უნძრეველი ჩრდილი დასტრიალებდა ჭუკყიანს, ფურთხით გალიპულ კედლებს, საწოლებს და დაჭოჭებულ იატაკს.

— მალე მარც დაბინდდეს, — წარმოსთქვა მოხუცმა პანკომ და თან ჩიბუს დაუწყო ტენა. — თქვენ, ბატონო, — შეეკითხა ანდრიას, — თქვენ არ ეწევით?

— არა, არ ვეწევი. ყველაფერს შევეჩივიე, რასაც ხელი მოვკიდე, და მაგას კი როგორლაც ვერ შევეთვისე.

— მაში თქვენ ბედნიერი კაცი ყოფილხართ. მე სული ამომძერებოდა, რომ არ მაწევინდებდნენ. კვირაში მუდამ მინდება ორი ხვეული თამბაქო; ასე სჯობიან „პაჩკობით“ ყიდვასა.

ამ დროს მიტრომ მოინდომა გაგება, თუ რა ხანი იყო კიდევ დაბინდებამდინ, შედგა რკინის საწოლის თავზე, მოებლაუჭა ხელებით ფანჯრის რკინებს, დაეკიდა ოღნავ ხელებზე და გადიხედა ეზოსაკენ. მაგრამ იმ წამსვე მოისმა ტლაშუნი და მიტრომ, თითქო მდუღარე გადასხესო, უცეი გაუშვა ხელები რკინებს, დაეცა იატაკზე და დაჰკრა ფერდი რკინის საწოლს.

— ი შე ქურდ-ბაცაცო შენა, წყნარიაღ ვერ იჯდები ემანდ? კიდევ გამოიჭყიტავ? — მოისმა ეზოდან სალდათის ხმა, რომელსაც იმ დროს ფანჯარასთან გაევლო მათრახით ხელში და მიტროს ხელები რომ დაინახა რკინაზე — დაჰკრა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მიტრომ დაიკვენესა, გასწორდა და მწარეთ დახედა თავისს ხელებს, რომლებზედაც ორი პრტყელი ლურჯი ზოლი გასწოლოდა ძეხვებივით. თვალებში ცრემლებ მორეული, მაგრამ პირზე ლიმილით, მიუბრუნდა მოხუცს პანკოს: — „მალე ჩავა მზე“, მერე დაჯდა საწოლზე, მოიწმინდა მაჯით თვალები და დაუწყო ნატკენ ხელებს სულის ბერვა.

## ა

გაისმა კარებთან ხმაურობა, გასალებმა დაიწყარუნა და კარი გაიღო იმდენათ, რომ სალდათს თავი შეეყო და მზის სხივი კი ოღნავათაც არ შევიდა.

— ანდრია ტემერა! ბატონი ინსპექტორი გიხმობთ! დაუძახა სალდათმა და გაიკეტა კარი, როდესაც ანდრია გაჰყვა უკან.

ანდრიას გასვლის შემდეგ სატუსალოში ერთის წამით სიჩუქე ჩამოვარდა.

— რა პატიოსანი კაცია, საწყალი,— სთქვა პაპია პანკომ.

— ზარმაცი ვინმე იქნება, მაწანწალა, ცხვირ წინ წაი-ბუღუნა დოროულველმა გლეხკაცმა. პატიოსანი კაცები ეტა-პით არ დაჲყავთ ხოლმე.

— პატიოსანი დოროულველები ხომ დაჲყავთ ხოლმე? — ეცა პირში ყოყოჩათ მიტრო.

— აი შე ჯოჯო, შენც ფეხი გამოჲყავ! გირჩევ ეგ ხმა ჩიიწყვიტო! — შეუტია გულმოსულმა დოროულველმა.

ხელ-ახლა ჩიმოვარდა სიჩუმე, ისმოდა მხოლოთ პანკოს ჩიბუხის წევა და გულსაკლავი სლოიანი შემოფლეთილი გლე-ხისა, რომელიც ისევ კარებთან ატუზულიყო, თითქო რაღაცა სასწაულის მოლოდინში, რომ უცებ გაიღებოდა ეს დაჲყედილი კარები და გაუშვებდა პატარა შვილებთან თავისი ორმოცდა-ათი კრეიცერით.

კიდევ გაისხა კარებთან ხმაური, კარი გაიღო და შევიდა ანდრია, პალტოთი ხელში.

— რა გითხრეს, რა? ერთხმათ ჰკითხა რამდენმამე კაცმა.

— არაფერი, — ნაღვლიანათ უპასუხა ანდრიამ. — გამომეკით-ხეს და მიბძანეს ქაღალდების მოსელის მოვუცადო.

ანდრია გაჩუმდა და დაიწყო ოთახში სიარული.

დანარჩენი ტუსაღებიც ჩუმათ იყვნენ. ყველას გაახსენდა, რომ ისინიც დიდი ხანია ელიან თავ-თავიანთ ქაღალდებს და შესაძლებელია, საკუთარი დარღის მიუხედავათ, მათში ვისმე გულიც დაეწვა ამ ახალგაზდა კაცზე, რომელიც მამასახლისისა და ინსპექტორის ერთი სიტყვით, ვინ იცის, რამდენი ხნის მოლოდინში უნდა ყოფილიყო და რომელიც მათსავით მოე-შორებინათ ჩველებრივ შრომას, ნაცნობებს, მშვენიერს, თავი-სუფალს ქვეყნას და ამ საზიზღარ სოროში ჩაეგდოთ.

ეს უსიამოენი სიჩუმე პირველიდ ბოვდურმა დაარღვია. აჩრდილივით წამოიწოდა თავისი კუთხიდან, მივიდა მიტროს-თან ხელ-გაშვერილი და უქმეხათ უთხრა: — მიტრო, მოიტა პური!

— პური კი არა, შავი ქვა მიეც მაგას, შავი ქვა! უთხრა დოროულველმა.

მაგრამ ბოვდურს არ გაუგონია ეს შეთავაზება, ხელი თით-ქმის პირამდინ მოუტანა მიტროს და მეორეთ უთხრა:—მიტრო, მოიტა მეთქი პური!

— ჩემთვისაც ცოტა მაქვს, ხვალ საუზექ არ მეყოფა, მინამ ახალს მომიტანდნენ. მე კი სამუშაოზე ვარ წასასელელი!

— მოიტა პური! არ იშლიდა თავისას ბოვდური და არა-ფერს საბუთს ყურს არ უგდებდა.

— ხომ გეუბნევი, რომ ჩემთვისაც ცოტა მაქვს მეთქი.

— მე რომ ერთი ლუკმაც არა მაქვს და შშიან კი!

— სულ როდი უნდა შეგეხეთქნა დილას, საღამოსთვისაც უნდა შეგენახნა! უთხრა პანკომ.

— ჩუმათ, ბებრუხანა!.. დაუტატანა ბოვდურმა და ხელ-ახლა მიუბრუნდა მიტროს:—გესმის თუ არა, მოიტა პური!

მაგრამ პაპუა პანკომ ამ ხანათ ვეღარ აიტანა შეურაცხ ყოფა: უცებ წამოხტა ახალგაზდასავით საწოლიდან და თავისი ხის ფეხით დააბაკუნა:—შე გვერდ დამპალო, შენა,—შეუტია ბოვდურსა, —აქ რა ბატონი გამიხდი, რომ ხმა ვერ გაუცია კა-ცასა? შე უნიფერს, აბრანძულო! მიეგდე კუთხეში და ზეზეუ-ლად დალპი, მინამ მთლათ არ შეგქამონ მატლებმა!

და თან მაგრათა ჰკერი ხელი მიტროდგან და კედლისაკენ მიახეთქა.

— მკარი, მკარი ხელი, იუდის კერძო! ბუზლუნებდა ბოვ-დური.

— იუდის კერძოც შენა ხარ და ჯანაბაძინაც გზა გქო-ნია! — მოუქრა სიტყვა მოხუცმა. — რას ჩასციებიხარ ამ ბიჭსა? შენს პურსა სჭამს თუ? შიგ ცხვირში სტენავს თავის თათებსა — მიტრო, მოიტა პური.

— მე თუ ეგრე მსურს, — რას მიზამ შენა? კერპობდა ბო-ვდური.

— მე რა უნდა გიყო, სატანა! შენს ჯავრს ეშმაკი ამომ-ყრის!

ანდრიას ძალიან სწყინდა იმათი ჩხეუბი. მოხუცს დაშვი-დება დაუწყო! მერე ჯიბიდან ამოილო კარგა მოზდილა პუ-რის-ნატეხი და მიაწოდა ბოვდურს: — აპა, სჭამე, თუ გშიან.

ეს ისევ სახლიდან მომყვა და მე ეხლა პურის ჭამის გუნებაზეარა გარ!

— ეჭ, ბატონო,—უთხრა მოხუცმა პანკომ,—რათ არი-  
გებთ პურსა? თუ ეხლა არა, ერთი საათის შემდეგ, ან ხვალ  
დილით მოგშივათ და აქ პურს ძალიან გვიან იძლევიან.

— არა, არა, არ მომშივა,—უპასუხა ანდრიამ—და თუ მამ-  
შივდა კიდეც—მგონია მოვითმინო, მინამ მომიტანდნენ.

— მერე ფული კი გაქვთ, რომ იყიდოთ?

— მაქვს, მაქვს. ორმოც-და-ათი გულდენი მაქვს თანა.  
ბეთ გამოვართვი იმას, ვისთანაც მე მივდიოდი. რა მეტი გზაა,  
ცოტაოდენს დავხარჯავ იქიდან, თუმცა, სიმართლე რომ ვს-  
თქვა, ჩემი კი არ არის.

— დიახაც, ამისთანა შემთხვევაში კაცი თავისს თავს უარს  
ვერ ეტყვის,—უთხრა პანკომა.

ამ დროს ბოვდური უცნაურად და საზარლად შესცე-  
როდა ანდრიას. ხელში ჯერ ისევ იმის პური ეჭირა, არც მად-  
ლობას უხდიდა, არც არას ეუბნებოდა, თითქო ანდრიამ კარ-  
გი პურის ნატეხი კი არა, გახურებული რკინა მისცაო, ისეთ-  
ნაირად მოეღრიცა ბოვდურს სახე, ისეთი ენით გამოუთქმელი,  
მხეცური გამომეტყველება მიიღო. მწუხარება, სიხარბე, თუ  
მადლობა გამოიხატებოდა იმის სახეზე,—ამას ვერ გაარჩევდა  
კაცი. და ამასთან ტუსაღები არც იქცევდნენ ამას ყურადღე-  
ბას. ბოვდურმა კი ერთს წამს უცემირა ანდრიას, თითქო ოთ-  
ხივ-კუთხით ზომავსო და სწონის იმის ძალასო, ჩაკუმშა მარ-  
ჯვენა ხელში პური, ერთ პირის მოვლებაზე ზორბა ლუკმა  
ჩამოჰქმია, ხმა ამოუღებლივ მიძერა თავისს კუთხეში და სწრა-  
ფათ მიიმალა სიბნელეში—იქიდან მხოლოთ იმისი უმგზავსი  
ლექვა მოისმოდა.

— ღმერთო, რამდენნაირი ადამიანია ქვეყანაზე,—დაიწყო  
ისევ პანკომა.—ერთი აი, როგორც ეს ჩვენი დოროულოველი,  
ლუკმა პურისთვის ძმას თვალს მოსთხრის და მეორე კი, თი-  
თონვე რომ შიოდეს,—უკანასკნელს მეორეს მისცემს. და სა-  
გულისხმიერო ის არის, რომ, ამ გვარად მარტო კერძო პი-  
რები კი არა, მთელი სოფლები იქცევიან. ერთ სოფელში

თვალ-ვიწრო ხალხი სცხოვრობს, დავა აქვთ მიჯნებზე, ხი-  
 დებზე, ერთი ბეჭვა ბალაზზე, ეკალზე,—ერთის სიტყვით ჯო-  
 ჯოხეთია მათი ცხოვრება. გლახავს არ გაიკითხვენ, მგზავრს  
 თავს არ შეაფარებინებენ, ხელს არავის არ გაუწვდიან. წამდა-  
 უწუმ ერთმანეთს ეცემიან: ეს ჩემია! მაშ რა არის ჩემი!.. ამ  
 რიგად ეხოცებიან ზედ ამ „ჩემსას“ და ის კი არ იციან, რომ  
 ამით ბოლოს უღებენ იმ „თავისას“ და თითქო მიწაც ვეღარ  
 იტევს იმათ ამ სოფლადა. მეორე სოფელში კი სცხოვრობენ  
 მშურად, მშეიდათ, მეგობრულად... არც ჩხუბი, არც რამე  
 ჭორები, ერთი მეორეს ხელს უმართავს თუ ფულით თუ სა-  
 ქმნლით; არც გლახას დაუტარებენ, მგზავრსაც თავს შეა-  
 ფარებინებენ და ლუკმას მიაწოდებენ,—და ყველა ამასთან  
 არა ღარიბდებიან, თავისთვისაც აქვთ ცოტაოდენი და შვი-  
 ლებსაც უტოვებენ რასმე. ჩემისთანათ ვინ იცის ეს ყველაფე-  
 რი, თუმცა ბევრს ხანს კი არ მივლია მოწყალებაზე. ესეც კი  
 შემიძლიან მოგახსენოთ, რომ მთებში ბევრად უკეთესია ხალ-  
 ხი, ვიდრე ბარად.

— იქნება იმიტომ, რომ ბარად უფრო ღარიბნი არიან? უთხრა ანდრიამ.

— ეგ ღმერთმა უწყის,—უპასუხა მოხუცმა. — თითქო რომ  
 ეგეც არის და არც ეგა. იმიტომ რომ ბარად მიწაც უკეთე-  
 სია და პატრონებიც უფრო შეძლებულები, მაგრამ ხალხში  
 ისეთი მტრობაა, რომ ღმერთმა ყველა დაიფაროს. მთებში კი,  
 თუნდ სულ ულარიბესთან მიღი, ისიც კი არ გავიშვებს ცა-  
 რიელსა, უთუოდ რასმე მოგაჩეჩებს.

ბინდებოდა. მხე ჩავრდა და სატუსალოში ხომ სულ დაბ-  
 ნელდა. მოხუცი პანკო წამოდგა, იმსა მიჰყეა მიტრო და ორი-  
 ვენი სალოცავათ დადგნენ.

— ეხლა კი დროა დავიძინოთ,—ლოცვის შემდეგ სოჭვა  
 მოხუცმა.— მაგრამ ეს არ ვიცი, ბატონო, შენ როგორ-ლა მო-  
 გათავსო? ჩემს აღგილს დაგითმობდი, მაგრამ რა ვქნა, რომ  
 მოხუცი ვარ, ცალ-ფეხა...

— არა, არა, რა სათქმელია,—გაუწყვიტა სიტყვა ანდრი-  
 ამ. — ეგ როგორ შეიძლება! მე, ჯერ ერთი, არ მეძინება, მერე

არის და ყმაწვილი ფეხები მაქვს, სალი, — ამ ღამეს ფეხზე გაფა-  
თნებ და მერე ვნახოთ ღმერთი რას ინგებებს.

— ეჭ, ლაპარაკობთ თქვენცა, რალა! ეგ სათქმელათ აღ-  
ვილია და საქმით კი არა, — უპასუხა მოხუცმა. — აი, დოროულ-  
ველო, თქვენ რომ დაუთმობდეთ ადგილს ამ ბატონსა!

— ბატონებისთვის ჩევნ აღგილი არა გვაქვს, — წაიპუზ-  
ლუნა დოროულველმა. — ბატონის საქმეა ბატონობა და არა  
სატუსალოში ჯდომა. და თუ აქაც არ იშლიან ხეტიალსა,  
ურჩევნიან ტახტს ქვეშ შეწვეს, იქ უფრო თავისუფლად გაი-  
შელართება და გადასავარდნიც არ არის!

მწარეთ მოხვდა გულზე ანდრიას ეს მკვაბე სიტყვები,  
მაგრამ იმისთვის ხმა არ გაუცია; მოხუცს ხელმეორედ სთხოვა,  
არ შეწუხებულიყო, რომ თითონ მოთავსდებოდა როგორმე...

უცებ მიტრომ დასწია ხელი კალთაზე და წახსურჩულა:  
— თქვენ, ჩემო ბატონო, პატარა ხანს კიდევ იარეთ და მე კი  
დავიძინებ, როდესაც დაიღლებით და ძილი მოგერევათ, გამა-  
ღვიძეთ — მე ავდგები და თქვენ ჩემს ალაგას დაიძინეთ.

— კარგი, ძმობილო, ღმერთი გადაგიხდის, — უთხრა ან-  
დრიამ. — აპა ეს ჩემი პალტო დაიხურე, რაღგან ღამე აცივდება  
და მე კი, თუმცა მსუბუქია, მაინც მიჟირს ხელში ქერა.

ყველანი დაწვნენ, ზოგი გახდილი, ზოგი გაუხდელი,  
მხოლოთ ანდრიამ, — სიფთხილით, რომ ფეხი არავისთვის წა-  
მოედო ამ სიბნელეში, — დაიწყო მოჩვენებასავით ნელა სია-  
რული და თანაბრად აბაკუნებდა წალებს ქვის მოლიპულ ია-  
ტაკზე.

#### ნ. უიფანისა.

(დასასრული იქნება)

# «ხალხის გზები»

აუ

## ეკიმი შეოცხი

ხუთ-მოქმედებისა დრამა ჸუნრის იბსენისა\*)

მოხველება მიოთხვ.

(ქველებური ზალა გორსტერის სახლში. სცენის სიღრმეში და კარები დერეფანში გადის. მარცხნივ საში კარგბა. მათ შირდაპირ შეაში ამაღლებული ადგილი. ზედ ჟარარა მაგიდა სდგას, მაგიდაზედ თრი სანთეჭი, გრაფინი, ჭიქა და ზარა. ზალა განათებულია ფანჯრებსა და ფანჯრებს შეა მიკრულ კანდელიაბრებით. მარცხნივ მაგიდა და სკამი, მაგიდაზედ შანდალი სანთეჭით. იქვე ჟარჯვინივ კარებია და კარებთან რამდენიმე სკამი. სხვა და სხვა წილების საუჩი. რამდენიმე ქალი და ბავშვები. სალი თან-და-თან ემსტება).

ბირგელი მოქადაქე (თავისს მეზობელს შიჭმართავს). ია, ლამისტად, შენც მოსულხარ?

მეორე. კვლავ როდის დავკლებივარ კრებებს, რომ ეხლა დავკლებოდი?

მესამე. უსათუოდ სტენას აპირებთ?

მეორე. რასაკვირველია; თქვენა?

\*) ი. „მოაშის“ გვ-VI №-ზე 1903 წ.



- მესამე.** მეცა. იმ ოხერ ივანსენს საყვირი მოუტანია.  
**მეორე.** ყოჩალ, ივანსენ, ყოჩალ (ამ ჯგუფში იცნიან).  
**მეოთხე.** (მიუახლოედება). არ იცით ეს ხალხი რად შეკრებილა?  
 რაზედ უნდა იღაპარაკონ?  
**მეორე.** ექ. შტოკმანშა ბურგომისტრის წინააღმდეგ უნდა  
 იღაპარაკონს.  
**მეოთხე.** მერე ბურგომისტრი ხომ ძმაა ექიმისა?  
**შირველი.** რა უყოთ მერე, რომ ძმა? აღმათ, არ ეშინიან ძმისა.  
**მესამე.** რატომ არ ეშინიან? „სახალხო მოამბეში“ აცხადებ-  
 დნენ, ექიმი სტყუისო.  
**მეორე.** ჰო, როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაში კი ის უნდა  
 სტყუოდეს. სახლი ამ ყრილობისთვის არც ასსოცია-  
 ციამ და არც კლუბში დაუთმო.  
**შირველი.** აბანოების ზალაც კი არ დაუთმეს.  
**მეორე.** ეგ ხომ ეგრე უნდა ყოფილიყა.  
**მეხუთე** (მეორე ჯგუფიდგნ). მაშ ხმა ვის სასარგებლოთ უნდა  
 მივცეთ, ვინ იცის?  
**მეექვსე.** (იმ ჯგუფიდგნ) როგორც ასლაქენი მოიქცევა ჩვენც  
 ისრე უნდა მოვიქცეთ. ამას რაღა ლაპარაკი უნდა.  
**ბილინგი.** (ბორიფელით სელში ხალხს მთაპობს და მთდის) უკა-  
 ცრავათ, ბატონებო! ნება მიბოძეთ გავიარო. მე  
 „სახალხო მოამბის“ რეპორტერი გახლავართ. (გზას  
 მისცემის) გძაღლობთ!  
 (დაჭდება მარცხენა მაგიდასთან)  
**მუშა ქაცი.** ეს ვინ არის?  
**მეორე.** რა დაგემართა, არ იცი? ეს ის ბილლინგია ასლაქ-  
 ენის გაზეთში, რომ მუშაობს. (გთხისტენს მარჯვენა  
 კარებიდგნ გამოჭევას ჭ. შტოკმანისა და პეტრა (უკან  
 ეიდითა და მორტენი მისდევენ).  
**გრასტერი.** ჩემის აზრით, ეს უფრო კაი ადგილია, თუ ვინი-  
 ცობაა რამე მოხდა, აქედა შეუმჩნევლად შეიძლება  
 გასვლა.  
**ქ. შტოკმ.** განა შეიძლება რამე მოხდეს?

გორსტერი. რა ვიცით, — ამისთანა ბრძოსაგან კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს. თქვენ კი ნუ შეგეშინდებათ.  
შეტრა. რა გულკეთილობა გამოიჩინეთ, რომ მამას ზალა ათხოვეთ.

გორსტერი. რაკი ყველამ უარი უთხრა...

შეტრა. (ჯდება) დიდი გაბედულობა კი უნდოდა, რომ ეგრე მოქცეულიყო კაცი.

გორსტერი. ამას რა გაბედულობა უნდოდა!

(გთხოსტერი და ასლაქესნი ერთს დროს შემთვდენ, მაგრამ სს. და სს. გზით მოჰქონდენ ხალხს)

ასლაქესნი (გორსტერს მიუსდოდება). განა ექიმი ჯერ არ მოსულა?

გორსტერი. ამ ითახშია.

(შემთხვევაში კარებთან არეულობა და წონქოლია)

გოფსტრადი (ბიღდინგის მიუბრუნდება). უყურეთ, ბურგომისტრიც მოვიდა.

ბიღდინგი. მართლა ბურგომისტრია!

(ბურგომისტრი მოდის და ხალხს, რომელიც გზას აძლევს, აქეთ-იქით თავს უქრავს. მარცხნივ განერდება. ცოტა წნის შემდეგ მარჯვენა კარებიდგან ეჭ. შტაკმნი გამოვა. შევი სერთუე არევა და ოეთრი გალსტუხა აქვს გაეთუბულია რამდენიმე კაცი ტაშს დაჭრავს, უმეტესობა კი უსტევს და უსისინებს. სიჩუმე.)

ქ. შტოქმ. (ნახევარის ხმით) ხომ კარგათ ჰერძნობ თავსა, კატო?

ქ. შტოქმ. არა მიშავს-რა, (ჩუმათ) მხოლოდ შენ ნუ აღელვდები, ტომას.

ქ. შტოქმ. ნუ გეშინიან, მე შევძლებ თავის შეკავებას (სათს დახედავს, ამაღლებულ ადგილზე აუა და ხალხს თავს უქრავს) საათის მეოთხედი გადავაცდინეთ კიდეც დანიშნულს დროსა და ამიტომ ვიწყებ (ხელთნაწერს ამოადგებს).

ასლაქესნი. მე მგონი კარგი იქნებოდა თავმჯდომარე ამოგვერჩია.

ექ. შტოგმ. თავმჯდომარე რა საჭიროა?

რამდენიმე ხმა. თავმჯდომარე, თავმჯდომარე!

ბურგ. მეც ეგრე მგონია. კარგი იქნებოდა ჯერ თავმჯდო-  
მარე ამოგვერჩია და მერმე შევდგომოდით საქმეს.

ექ. შტოგმ. ეს ხალხი მე ლექციისათვის შემიკრებია და აბა  
რა საჭიროა აქ თავმჯდომარე?

ბურგ. შეიძლება ექიმ შტოკმანის ლექციამ კამათი გამოი-  
წვიოს.

რამდენიმე ხმა. თავმჯდომარე, თავმჯდომარე!

გრფსტადი. უმეტესობას თავმჯდომარე უნდა.

ექ. შტოგმ (თავს იკავებს). კარგით; ასრულდეს უმეტესობის  
სურვილი!

ასლაკსენი. მე ჩემის მხრით პ. ბურგომისტრი დამისახელებია.

სამნი ჯგუფიდან. (ტაშის კერით) ვაშა, ვაშა!

ბურგ. სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, რომლებიც უმეტესობამ,  
ეჭვი არ არის, იცის და კარგათაც ესმის, მე იძულე-  
ბული ვარ უარი გამოვაცხადო; მაგრამ, საბედნიეროდ,  
ჩვენ შორის იმყოფება ისეთი პირი, რომელზედაც  
იმედი მაქვს სუყველანი გაეჩერდებით. მე მესაკუთ-  
რეთა ასოციაციის თავმჯდომარეზედ მოგახსენებთ,  
პ. ასლაკსენზედ!

ბეგრინი. გაუმარჯოს პ. ასლაკსენს! ვაშა, ვაშა!

(ექ. შტოგმანი თავის ხელონაწერს აიღებს და ჩამოეჭა).

ასლაკსენი. როცა ჩემი თანამოძმენი — მოქალაქენი მოვალეო-  
ბის აღსასრულებლად მიწოდებენ, მე არ შემიძლიან  
უარი ვსთვევა.

(ტაშის კერა და ვაშას ძახილი. ასლაკსენი შეგა მაღლა),

ბილეჭინგი (სწერავს). აღნიშნოთ... „ერთხმათ ამორჩეულ  
იქმა პ. ასლაკსენი“.

ასლაკსენი. მოწყალეო ხელმწიფენო, როგორც თავმჯდომარემ  
დღევანდელის კრებისამ, მე მინდა რამდენიმე სიტყვით  
მოგმართოთ. მე, ბატონი ბო, ჩუმი და მშევიღობია-  
ნობის მოყვარული კაცი გახლავართ; მგონი, ყველამ

იცის, რომ ყველგან და ყოველთვის ჩემი დევიზია:  
გონიერი ზომიერება... და... ზომიერი გონიერება.  
ამაში, იმედი მაქვს, ვინც კი მიცნობს, ეჭვს არ  
შეიტანს.

**ბეგრინი.** პო, მართალია, მართალია!

**ასლაგენია.** იგივე გონიერება და ზომიერება ემსახურებიან,  
რასაკვირველია, საზოგადოების ინტერესებს... ამი-  
ტომ მე მიგმართავ ჩვენს პატივცემულ მოქალაქეს  
უმორჩილესს თხოვნით ზომიერებას არ გადასცდეს.

**ხმა.** გაუმარჯოს მესაკუთრეთა ასსოციაციას!..

**რამდენიმე ხმა.** ეს ვიღა ღრიალებს! ჩუმად, ჩუმად!

**ასლაგენია.** გთხოვთ, ბატონებო, ნუ მაწყვეტინებთ! ხომ არა-  
ვისა სურს რაიმე შენიშვნის მოცემა?

**ბურგ.** ბ. თავმჯდომარევ!

**ასლაგენია.** სიტყვა ბ. ბურგომისტრს ეკუთვნის.

**ბურგ.** იმ მიზეზისა გამო, რომ ექ. შტოკმანის ახლო ნათე-  
სავი გახლავართ, რაიც, იმედი მაქვს, ყველამ უწყის,  
მე ვარჩევდი სრულიად არ მელაპარაკნა დღესა, მაგრამ  
მოვალეობა ჩემი ქალაქისადმი და მთლად მის ინტერე-  
სებისადმი მაიძულებს შევნიშნო. მე დაბეჯითებით  
შემიძლიან ვსოდება, რომ არც ერთს თანადამსწრეს  
არა სურს ჩვენი აბანოების და მათ სანიტარულ  
მდგომარეობის შესახებ ტყუილი და გადაჭარბებუ-  
ლი აზრები იყვნენ გავრცელებულნი.

**ბეგრინი.** რასაკვირველია, არა გვსურს, არა! ჩვენ პროტესტს  
ვატხადებთ.

**ბურგ.** ამისდამიხედვით მე გთხოვთ ექ. შტოკმანს ლექციის  
წაკითხვა და ამ საგანზედ ლაპარაკი აუკრძალოთ!

**ექ. შტოკმ.** (ადშფოთებული) როგორ? მე აღმიკრძალოთ? რა  
გინდათ მაგითი სთქვათ, მოწყალეო ხელმწიფევ?..

**ქ. შტოკმ** (ახველებს). ჰმ .. ჰმ!..

**ექ. შტოკმ.** (თავს იჭერს) მაშ ლექციის წაკითხვის ნებას არ  
მაძლევთ?

**ბურგ.** ჩემს წერილში, რომელიც „სახალხო მოამბე“-ში იყო მოთავსებული, პატივცემულ საზოგადოებას მე სავ-სებით გავაუნჯ საქმის ნამდვილი მდგომარეობა და ამიტომ მგონია, რომ გონიერნი მოქალაქენი იმას დაჰკმაყოფილდებიან. ამ წერილიდან ყველა გაიგებ-და, რომ ჩვენი აბანოების უფროსი ექიმი თავისს წერილში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ურწმუ-ნოდ ჰყოფს, სცდილობს ისედაც შევიწროებულ ღარიბ მოქალაქეთ ასი ათასი კრონის ხარჯა მოუ-მატოს კიდევ.

(ევითა და სტენა)

**ასლაგენია** (ზარას დარაწერებს). ჩუმად, ბატონებო, ჩუმად! მეც ბ. ბურგომისტრს ვეთანხმები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ექიმი თავისს აგიტაციით სულ სხვა მიზანს ემსახურება. აბანოებზედ ლაპარაკობს, მაგრამ რევო-ლიუციის მოხდენა სურს და აწ ცნობილის აღმინის-ტრაციის დამხობას ელიმება. ექიმის პატიოსნებაში ეჭვი არავის შეუძლიან შეიტანოს — ამ საგნის შესახებ ორი აზრი შეუძლებელია. მეც ხალხური თვითმარ-თველობის მომხრე ვარ, მაგრამ ერთის პირობით კია, რომ ეს თვითმართველობა მოხარკე ხალხს მძვირად არ დაუჯდეს. ამ შემთხვევაში კი ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მე არ შემიძლიან ბ. ექიმს მხარი დავუჭირო. ოქრო რა არის და იმაზედაც კი შეიძლება კაცმა სთქვას ძირიად მიჯდება და არ მინდაო. ჩემი აზრი ეს გახლავთ!

(ხანგ ძალივი აპლიდისმენტები და კაშას ძახილი)

**გოფატადი.** მეც მინდა გავაცნო პატივცემულ საზოგადოებას ჩემი აზრი. პირველად ექიმის აგიტაციამ ბევრნი გაიტაცა და მეც ვსცდილობდი, რამდენადაც კი შე-მეძლო, მხარი დამეჭირა მისთვის, მაგრავ ბოლოს, როცა გამოაშეკრავდა, რომ ბ. ექიმს შეცდომაში შევეყვანეთ ტყუილის ცნობებით...

ექ. შტოქმ. ტყულის ცნობებით?..

გოფსტადი. თუ ტყული ცნობები არ მოჰყავდა ბ. ექიმს, საკმარისად მაინც არ ჰქონდა დასაბუთებული და დასკვნა, ლაპარაკი არ უნდა, აჩქარებული იყო. ეს ცხადათ ლამტკიცა ბ. ბურგომისტრის წერილმა. ჩემი მიმართულება ყველასათვის აშკარაა, მე მგონი. ყველამ კარგათ იცის „სახალხო მთამბე“ რა მხრით და როგორ ეხება პოლიტიკის კითხვებს: მაგრამ ზოგიერთა გამოცდილ პირთაგან გამიგონია,— აღგილობრივ ინტერესებს ფრთხილად უნდა ეხებოდეს პრესაო...“

ასლაგაშვილი. მე სრულიად ვეთანხმები ბ. გოფსტადს.

გოფსტადი. იმ კითხვაში-კი, რომლის გულისოფისაც მოუწოდებივართ დღეს აქა, მე მგონი ექ. შტოქმანს არავინ ეთანხმება და პირიქით ყველა. იმის წინააღმდეგია. მაშ რაში მდგომარეობს, ბატონებო, რედაქტორის უმთავრესი მოვალეობა? განა იმაში არა, რომ მკითხველ საზოგადოებას ძნარში ამოუღეს და იმასთან ერთად განვლოს ეს ძნელი ასპარეზი? განა რედაქტორს ვალად არ ედება, რომ თავისს მომხრეებს მხარს უჭერდეს და ექმადებოდეს? მე მგონი, არა ვსცდები, ბატონებო?

ბეგრინი. არა, არა, გოფსტადი მართალს ამბობს!

გოფსტადი. რასაკვირველია, ჩემთვის აღვილი არ იყო იმ კაცისთვის ზურგი შემექცია, რომელთანაც ასე ხშირად დავიარებოდი ამ უკანასკნელს დროს და თითქმის უკველ დღე სტუმრათ ვიყავი ხოლმე იმასთან! აღვილი არ იყო მოვშორებოდი იმ კაცს, რომელსაც დღევანდლამდის მთელი ქალაქი პატივსა სცემდა და უყვარდა; მოვშორებოდი მეთქი იმ კაცს, რომლის ნაკლულევანებას მხოლოდ ის თუ შეადგენს, რომ ის უფრო გულის თქმას მისდევს, ვიდრე ლოლიკს და მსჯელობას.

დამდენიმე ხმა. მართალია, გაუმარჯოს ექ. შტოქმანს!

**გოფსტადი.** მაგრამ ჩემმა ქალაქისადმი მოვალეობაშ იძულებული გამხადა, ამისთანა კაციან კავშირი შემეწყვიტა. გარდა ამისა მე სხვა მოსაზრებითაც ვხელმძღვანელობ: მე მინდა ბ. ექიმი როგორმე ივაცდინო იმ ბოროტ გზას, რომელსაც ის ამ უკანასკნელ დროს შესდგომია და არას გზით არ უნდა გადაუხვიოს. და თუ მე ამ აზრით ვხელმძღვანელობ, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მე ექიმის წვრილ შვილი მებრალება.

**ექ. შტოგმ.** გთხოვთ მხოლოდ წყალზედ და მის მილებზედ ილაპარაკოთ!

**გოფსტადი.** მაგის ოჯახის და წვრილ შვილის სიბრალული, თორებ...

**მორტენი.** დედა, ჩვენზედ ლაპარაკობს ძია?

**ქ. შტოგმ.** ტს!

**ასლაგენი.** თუ თქვენი ნებაც იქნებოდა შევდგომოდით ბარებ ბ. ბურგომისტრის წინადადების კენჭის ყრას.

**ექ. შტოგმ.** საჭირო არ გახლავთ! მე დღეს იღარ მინდა თქვენ მოშხამულ წყალზედ ლაპარაკი. მე სულ სხვა რამე მაქეს სათქმელი.

**ბურგ.** (ნახევარის ხმით) ეს სხვა რაღაა, სხვა რაზედ უნდა ილაპარაკოს?

**მთვრადი.** (უმთავრეს შემთხვევად კარებში) მეც მოხარკე ვარ და მაშასადამე მეცა მაქეს აქ ხმა მე დარწმუნებული ვარ, რომ...

**რამდენიმე ხმა.** ჩუმად, ჩუმად!

**მეორე ხმა.** მთვრალია, გაიყვანეთ!

(მთვრადი კაცი გაჭერათ).

**ექ. შტოგმ.** ნებას მაძლევთ ვილაპარაკო?

**ასლაგენი** (ზარას რეგაფს). სიტყვა ექ. შტოკმანს ეკუთვნის, ბარონებო!

**ექ. შტოგმ.** აბა გეცალნათ და ჩემთვის ამ რამდენიმე დღის წინათ დაგეცით პირში ბურთი! მე გაატორებულ, ლომსავით დაგიწყებდით ბრძოლის და არა მგონია

რომ დაგეძლიერ. მაგრამ ეხლა კი, ეხლა ჩემთვის  
სულ ერთია. მე ეხლა უფრო ღიღს საგანზედ მინდა  
მოგელაპარაკოთ (ხალხი უახლოედება. მარტენ გალი  
წინ გამოდის. ექიმი განაგრძობს) ღმერთო, რაზედ არ  
გავითქმირე ამ უკანასკნელ დღეებში, რა აზრმა არ გა-  
მიელვა თავში და რა ფიქრებმა არ გამიტაცეს? ბევრი  
ფიქრით თავს ბრუ დამტხსა...

**ბურგ.** (მნიშვნელობად ხახველებს) ვე!

**ექტოგმ.** ეხლა კი ბურუსიდამ გამოველი და აშკარად წარ-  
მომიდგა თვალ წინ საქმის ვითარება. ის სწორედ  
ამისთვისა მხედავთ კიდეც დღეს აქ და ამ გარე-  
მოებაში... მოქალაქენო! ის აღმოჩენა, ის გამოკვ-  
ლევა, რომელზედაც დღეს აქ უნდა გველაპარაკნა,  
სრულიად უმნიშვნელო და ფუჭია შედარებით იმას-  
თან, რაც ეხლა მინდა გაუწყოთ. ისა, რომ ჩვენი  
წყალი მოწამლულ მოშეამულია და ნიადაგი, რო-  
მელზედაც ვკხოვრობთ შხამითა და საწამლავით არის  
გაუღენთილი...

**ბეგრინ.** (ჰევირიან) აბანოებს ნუ ეხებით! ჩვენ ყურს არ დაგი-  
გდებთ! კრინტი არ დასძრათ მაგაზედ!

**ექტოგმ.** უკვე გითხარით უფრო უდიდესი რამ აღმოვაჩი-  
ნე ამ დღეებში და იმაზედ მინდა გელაპარაკოთ მე-  
თქი! მთელი ჩვენი ცხოვრების წყაროები სრულიად  
მოწამლული არიან და ჩვენი საზოგადოება დამპალ-  
აყროლებულ ნიადაგზედ არის აღმოცენებული.

**რამდენამე ხმა.** (გაგვირკვებული, ნახევრის ხმით) რას ლაპარაკობს?

**ბურგ.** ეგ ინსინუაციაა!...

**ასაჯაქსენი** (ზარსაქენ გააწიდებს ხელს). უმორჩილესადა ვსოხოვ  
ბ. ორატორს ლაპარაკში ზომიერება დაიცვას!

**ექტოგმ.** ჩემი სამშობლო ქალაქი მე ისე მიყვარდა, რო-  
გორც კი შეიძლება, რომ კაცს სამშობლო უყვარ-  
დეს. სულ ყმაწვილი ვიყავ ჯერა, როცა სხ. და სხ.  
გარემოების ძილით ჩვენს ქალაქს განვშორდი. სი-

შორე, მოგონებანი და იღუმალი მისწრაფება სამშობლოსადმი სუყველა ეს ფეროვან სურათებათ მიხატავდა ჩემი სამშობლოს ყოველ კუთხეს და იქ მცხოვრებლებსაც (აპლადის მენტები და გაშის ძახილი) მას შემდეგ, როცა არა ამდენიმე მწარე წელიწადი გავატარე შორს და სასტრიკ ჩრდილოეთში, შევხვდებოდი თუ არა იქაურ ხალხს, გაშენებულთ ქვიან და უმოსიალო ადგილებზედ, ხშირად გავითიქრებდი ხოლმე: ამათ ჩემსავით ექიმი კი არა, ბეითალი სკირიათ-მეთქი.

(ისმის ჩიებიდა).

**ბილიანგი** (კაჭაშის კადასდებს). ლმერთი გამიშყრეს, თუ როდისმე გამეგონოს ამისთანა არა არა!

**გოფსტადი.** პატივურემული გლეხობის ეგრე შეურაცხება...

**ექ. შტოქმ.** მოითმინდეთ! არა მონია ვისმეს შეეძლოს სთქვას, რომ იმ გადავარდნილს და გადაყრუებულს ჩრდილოეთში ერთი წუთიც მიინც დამვიწყებოდეს როდისმე ჩემი სამშობლო ქალაქი. მე დიდი ხანი ვიფიქრე მასზე და ამ ფიქრის შედეგი ხომ ჩვენი აბანოები არიან (აპლადის მენტებით და პროტესტებით ჟაწევეტინებენ) როცა საქმე იქამდის მივიდა, რომ მე ჩემს სამშობლო ქალაქში შემეძლო დაგბრუნებულიყავ, იქამდის ბედნიერიად ვიგულებდი თავს, რომ მეგონა სხვა აღარა მდომებია რა ჩემს სიცოცხლეში და არაფერი სურვილი არა მქონია-მეთქი, ერთი სურვილი მქონდა მხოლოდ, ერთი მისწრაფების საგანი—როგორმე სარგებლობა მომეტანა ჩემი თანამემამულებისათვის და სამშობლო ქვეყნისთვის.

**ბურგ.** (სივრცეში გააუკრება) საკვირველი ხერხი კი ამოურჩევია მაგისტრების... ჰმ!..

**ექ. შტოქმ.** ჩემს თავს ბოლოს დრომდის სრულს ნეტარებაში ვგრძნობდი; მაგრამ გუშინ დილით,—არა, ამ საში დოის წინათ უცბათ თვალთ ამეხილა და აშკარად

დავინახე ადგილობრივი შმართველობის გონებით  
სიგლახე და უკან ჩამორჩენა...

ასლაგსენი. (ზარას ჭრებას) ჩემი უფლებით...

ქ. შტოქმ. ეგ წვილმანობაა თქვენის მხრით, ბ. ასლაქსენ,  
რომ სიტყვებზედ შიქურთ! მე იმის თქმა მინდოდა,  
რომ ადგილობრივი მთავრობის ნამოქმედარი ჩვენი  
აბანოების შესახებ აშკარად დავინახე მეთქი. მე მძაგს  
ეს მთავრობა, რომლისაგანაც ცოტა ტანჯვა და ვა-  
ება არ გამომიელია. ისინი ნორჩ ბუჩქნარში შეშ-  
ვებულ თხებს წააგვანან, რომელნიც რასაც სქამენ,  
ხომ სქამენ და რაც არ უნდათ—სტკეპნიან და ანა-  
დგურებენ. გარდა იმისა, რომ ყველგან და ყოველ-  
თვის ვნების მეტი არაფერი მოაქვთ, სხვებსაც ხელს  
უშლიან, რომ საზოგადო საქმეს ემსახურონ და შეძ-  
ლებისა დაგვარად სარგებლობა მოიტანონ. ოო, რომ  
შემეძლოს როგორმე მაგათი ალაგმა, როგორც გარეულ, მავნე  
მხეცებს ულეტავს ხოლმე ხალხი! (სახლში დიდი ღეღვა  
და შმაურობა).

ბურგ. ბ. თავმჯდომარევ, ნუ თუ მაგისთანა ლაპარაკის  
ნებას მისცემთ ექიმს?

ასლაგსენი. (ზარას ჭრებას გააწოდებას ხედს) ბ. ექიმო!..

ქ. შტოქმ. მე ჯერ ეხლაც ვერ შემიგნია, ეგ ვაუბატონები  
ასე გვიან რად გავიცანი? განა ყოველ დღე თვალ  
წინ არ მედგა ისეთი მშვენიერი მაგალითი, როგორიც  
ჩემი ძვირფასი მა პეტრეა,—კუუ მოკლე, გაუნათ-  
ლებელი და ხეპრე ყოველის მხრით...

(სარჩარი, ხმაურობა, სტრენა; ქ. შტოქმანისა ახველებს);

ასლაგსენი გამწარებული ზარას რეგავს).

მთვრიალი (ზალაში დაბრუნდება). თქვენ ჩემზედ ლაპარაკობთ?  
მართალია, მე პეტერსონი მქვიან, მაგრამ ღმერთი  
გამიწყრეს, თუ...

გაბრაზებული ხმები. გაიყვანეთ მთვრალი, გაიყვანეთ მთვრალი!  
 (მთვრალს ისევ გააკდებენ).

ბურგ. ვინ არის ეს მთვრალი კაცი?  
 ერთი ჯგუფიდან. არ ვიცნობ, ბ. ბურგომისტრო.

მეორე. ეგ აქაური არ უნდა იყვეს.

მესამე. მგონი ხე-ტყითა ვაჭრობს, იმაში...  
 (დანარჩენი ადარ ისმის)

ასედაგსენი. ეგ კაცი, როგორც ეტყობა მთვრალი უნდა იყვეს.  
 განაგრძეთ, ბ. ექიმო, მხოლოდ გთხოვთ ზომიერებას ნუ გადაჭესცდებით.

ექ. შტრაჟმ. კარგით, მე თქვენს მთავრობას აღარ შევეხები.  
 თუ ვინმე ჩემი სიტყვებიდან იმ დასკვნას გამოიყანს,  
 რომ მე დღესვე მინდა მათი გაწყვეტ-განალგურება და  
 მათი აღვა დედამიწის ზურგიდან, ძალიან შესცდება.  
 იმედი მაქვს, ეგ ვაჟბატონები თითონ, თავიანთის ფე-  
 ხით უახლოვდებიან იმ საშინელს ხრამს, სადაც  
 ადრე თუ გვიან უნდა გადასუფივრდნენ, რადგან მაგა-  
 თი ბოლო ეგ არის. მაგათ მოხაშორებლათ არც  
 ექიმია საჭირო და არც აპერაცია! ეგნი სხეულის  
 იმ დაშავებულს ადგილს წააგვანან, რომელიც თა-  
 ვისით, შინაგანი პროცესით ბალლამათ იქცევა ხოლმე  
 და დაიღვრება. ეგეც რომ არ იყოს, მარტო ეგნი  
 არ არიან საშიში საზოგადოებისათვის; მარტო ეგნი  
 არა სწამლავენ ჩენს სულიერს ცხოვრებას და ნია-  
 დაგს; მარტო ცეკვი არ არიან ჩენში ქეშმარიტების  
 და თავისუფლების მტერნი!

სუკეცა მხრადან. მაშ ვინ არიან? ვინა? გვითხარით, ვინ არიან?

ექ. შტრაჟმ. რასაკვირველია, გეტყვით ვინც არიან! გეტყვით  
 იმიტომ, რომ ეგ არის სწორედ ის დიდი აღმოჩენა,  
 რომელზედაც წელან გელაპარაკებოდით. (ხმას ა-  
 მაღლებს) სუკველაზედ უფრო საშიში და საძაგლი  
 მტერი ქეშმარიტებისა და თავისუფლებისა ჩენში  
 გახლავთ შეერთებული უმეტესობა. დიალ, ის და-

წყევლილი შეერთებული, ლიბერალური უმეტესობა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მომავალი იმას ეკუთვნის! ესლა კი გავათავე.

(საშინელი არეულია. უფრიდი, ფეხებით ბრახუნა, სტეპნა. რამდენიმე ხნიერი გაცი ჩუმად გადასედავს ერთმანეთს ეტებით, რომ ესიამჭვნათ. ქ. შტოგამისას წამოდგება ადელეგებული. ეალითი და მთრტენი შექართ მიუახლოფა- დებაან მოსწავლე ბავშვებს, რომლებიც ჰევირიან და ხმაუ- რობენ. ასლაგსენი ზარას რეგავს და ხალხს აშვიდებს; გთვისტადი და ბიჭლანიგი დაპარაკდებინ, მაგრამ საერთო ეფირიდშა მათი ხმა ადარ ისმის. თან-და-თან წენარდება საზოგადოება).

ასლაგსენა. იმედი მაქვს, ექიმი შტოკმანი საწყენ სიტყვებს უკან წაიღებს.

გთვისტადი. სიმართლე ყოველთვის უმეტესობის მხარეზეა.

ბილდინგი. კეშმარიტებაცა, რასაკირველია!

ქ. შტოგმ. უმეტესობა არასოდეს არ არის მართალი! დიალ, არასოდეს! ეგ ცრუ აზრი, სამწუხაროდ, ყველასაგან არის მიღებული და ამიტომ ყველა გონიერი, თავი- სუფალი კაცი უნდა ებრძოდეს მაგ ცრუ აზრსა. ვინ შეადგენენ მხარეში უმეტესობას? განათლებულნი თუ რეგვენნი? მე მგონი, ყველა უნდა დამეთანხმოს, რომ რეგვენი, გაუნათლებელი ხალხი საშინელ უმეტესო- ბას შეადგენს არა თუ ერთ რომელსამე სახელმწიფო- ში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზედაც. და განა მართებული იქნებოდა, რომ რეგვენი სათავეში იჯდეს და გონიერ ხალხის ბედ-ილბალს განაგებდეს? (ხმაუ- რობა, უფირიდი) მართალია, თქვენ შეგიძლიანთ თქვე- ნი ღრიალით დაჭვაროთ ჩემი ხმა, მაგრამ ჩემი აზრის უარპყოფა კი არ შეგიძლიანთ. უმეტესობას, სამწუ ხაროდ, ძალა აქვს, ძალა მხოლოდ და არა სიმართ- ლე! მართალნი მე და აამდენიმე სხვა კაცი ვართ. სიმართლე ყოველთვის უმცირესობას ეკუთვნის!

(დიდი ხმაურობა)

გოფსტადი. აა, მაშ, როგორც ეტყობა ექ. შტოკმანი ამ უკანასკნელ დროს გაარისტოკრატებულა!

ექ. შტოკმ. მე წელანვე გითხარით,— მეტს სიტყვას აღარ დავხარჯავ და არაფერს ვიტყვი იმ კკუთ და გონებით დაცემულ ხალხზედ, რომელიც ჩვენზედ უფლებენ მეთქი. ცხოვრებას მათთან საჭმე არა იქნეს. მე მინდა ვილაპარაკო იმ რამდენსამე ნათელ პირზედ, რომელნიც ყოველ ახლად დაბადებულ კეშმარიტებას, თუ მცნებას მალე შეიგნებენ ხოლმე. ამისთანა პირნი საზოგადოების მოწინავე რაზმს შეაღენენ და ყოველთვის ისე შორს არიან ხოლმე წასულნი, რომ თქვენი შეერთებული უმეტესობა ძალიან ჩამორჩება ხოლმე იმათ. და აი, ეს პატარა გუნდია, რომ იბრძეის ყოველ ახლად დაბადებულ კეშმარიტებისათვის, იბრძეის, რომ დასჯაბნოს ბრბო.

გოფსტადი. მაშ ეხლა რევოლუციონერია ექიმი?

ექ. შტოკმ. დიალ, გეფიცებით, ბ. გოფსტად, რომ მე მართლა რევოლუციონერი გახლავართ! მე წინ ავუდგები იმ ცრუ აზრს, რომ სიმართლე და კეშმარიტება უმეტესობას ეკუთვნისო. რა კეშმარიტებით და რა მცნებითა სცხოვრობს თქვენი უმეტესობა? კეშმარიტებით, რომელიც საუკუნესავით დაბეჭავებულია, გახრწნილი და იმოდენად გაცვეთილია, რომ ძლიერ გაარჩევთ მას სიცრუისაგან (ზოგიერთი იცინან) დიალ, თუ გინდათ დამიჯერეთ, თუ გინდათ — ნუ და კეშმარიტება მათუსალა არ წააგავს, როგორც უმეტესობისა ჰგონია. ნორმალურ მდგომარეობაში კეშმარიტება სულ ბევრი-ბევრი ჩვიდმეტ, თვრამეტ წელიწადს სცხოვრობს, თუ გაჭირდა — ოცსა და ხანდისხან ცოტა მეტსაც. ამ ხანში კეშმარიტება უკვე იქამდის არის ხოლმე ჩამომხმარი, რომ ჩინჩხს წააგავს და აი სწორედ ამ დროს კი შეიგნებს ხოლმე მას თქვენი უმეტესობა და ხმარობს, როგორც კარგ საზრდოს.

მე კი, როგორც ექიმი, გეტუვით, რომ ეს საზრდო არა თუ მარგებელი არ არის აღამიანისათვის, პირ-იქით, მაენებელია. უმეტესობის სუკველა მცნება იმ დაობებულსა და მწარე ლორს წააგავს, რომელიც ასე გავრცელებულია საზოგადოებაში.

**ასლაქესენი.** მგონი, პატივცემული ორატორი თავისს საგანს ძა-ლიან გადასცდა.

**ბურგ.** მეც ბ. თავმჯდომარის აზრს ვუერთდები.

**ქ. შტოქმ.** შენ, მგონი, კკუაზედ შეშლილხარ, პეტრე! მე ისევ ჩემს აზრს ვადგევარ, რომ დაწყევლილი შეერთე-ბული უმეტესობა სწამლავს ჩვენს სულიერ ცხოვ-რებას და ფეხ ქვეშ ნიადაგს გვილპობს მეთქი.

**გოფსტადი.** მაშ, როგორც გეტუნბათ, ამ დიადს უმეტესობას იმაში ამტკუნებთ, რომ სახელმძღვანელოდ მხოლოდ ცნობილს და მიღებულ აზრებს იღებს ხოლმე?

**ქ. შტოქმ.** ბ. გოფსტად, ცნობილს და უკვე მიღებულ აზრებ-ზედ თუ კეშმარიტებაზედ ნუ ილაპარაკებთ! ეს ცნო-ბილი და მიღებული აზრები, რომლებსაც შეივნებს ხოლმე ბრძო, ის აზრები არიან, რომელნიც უკვე მიღებულნი ყოფილიან ჩვენ მამა-ჰაპათა დროს მოწი-ნავე რამდენიმე პირთაგან. ჩვენ, მოწინავენი აწმ-ყოში, მათ აღარ ვიღებთ, აღარა გვწამს; ჩვენ სხვა ახალ კეშმარიტებას ვეტრფიალებით და ბრძოს კი ძველი კეშმარიტება და მცნება ეხლა შეუგნია და ახლებათ მიაჩნია. მე მგონი, სხვა ამისთანა მართალი აზრი აღარ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას არ შეუძლიან ამისთანა მცნებებით ისაზრდოოს და საღათ იცხოვროს.

**გოფსტადი.** კარგი იქნებოდა, რომ ფუჭი ლაპარაკისა და სიტ-კვების რახა-რუხის მაგიერ რამდენიმე მაგისთანა დაძველებული აზრი დაგესახელებინათ; ეს უფრო საინტერესო იქნებოდა.

(სალხი აზრს უწინებს გოფსტადს)

ექ. შტოქმ. მე სად შემიძლიან ყველა ამ სისაძაგლის ჩამოთვლა; ამ უამათ მე დაგისახელებთ ერთს, ყველისაგან მიღებულს კეშარიტებას, რომელიც ნიმდვილად კი სიცრუეა და რომელსაც ბ. გოფსტადი თავისი „სახალხო მოაბბით“ ჰქადაგობს და რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს...

გთხოსტადი. მაინც?

ექ შტოქმ. მე იმ აზრზედ მოგახსენებთ, ბ. გოფსტად, რომელიც ოქვენ ჩვენი მამა-პაპისაგან სამკიდროთ მიგრლათ და რომელსაც დღეს თითქმის დაუფიქრებლივ ჰქადაგებთ ყველგან და ავრცელებთ ხალხში,—იმ აზრზედ, რომ ხალხის, რომელიმე ნაციის თესლს, უმთავრესს ძალას და საგანს შეადგენს უბრალო, ბრიყვი ხალხიო, რომ გაუნათლებელს, ბრიყვ ხალხსაც ისეთივე უფლება აქვს განაგებდეს საზოგადო საქმეებს, როგორიც გონებითი არისტოკრატიის წარმომადგენლება

ბილდინგი, ღმერთი გამიწყრეს!..

გთხოსტადი (ბილინგთან ერთს დროს) მოქალაქენო, ყური უგდეთ ერთი ბ. ექიმი რას გვიქადაგებს!

გაბრაზებული ხმები. მაშ ჩვენ ხალხნიარა ვყოფილებიართ? მაშ მარტო წარჩინებულთ შესძლებიათ საზოგადო საქმეების გამეობა?

ერთი მუშა. შორს, ვინც მაგას ამბობს!

სხვება. შორს, შორს!

ერთი მოქალაქეთაგანი. (ჰუგინის) ივანსენ, მომართე ერთი შენი საყვირი!

(ისმის საუფირის ჩამა, სტეფანა, სისინი და საშინელი დრინწელი).

ექ. შტოქმ. (როცა ხალხი ცოტა მიწუნარდება) დაპუიქრდით, დაპუიქრდით ცოტას! ნუ თუ მთელ თქვენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ შეგიძლიანთ მართალი სიტყვის მოსმენა? მე ხომ არა გთხოვთ ყველას ეხლა-

ვე დამეთანხმენით მეთქი? მე მარტო იმედი მქონდა, რომ ბ. გოფსტადი ცოტაოდენ დაფიქრებისა და დაკვირვების შემდეგ დამეთანხმებოდა. ბ. გოფსტადი ხომ თავისუფლების მოტრფიალეა...

ჯოფსტადი (ჰევირის. დამიმტკიცეთ, დამიმტკიცეთ, ბ. შტოკ- ბან! ასა როდის გამომითქვემს მე ეგ ბეჭდვითი სიტ- ყვით?

ექ. შტოკმ. (ჩაფიქრებული). არა, არა! პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ამ შემთხვევაში მართალი ხართ; გამბედაობა თქვენ არასოდეს არა გქონიათ. ამიტომ მე არ მინდა თქვენი შეწუხება. მაში ისევ მე ვიყო, მე, თავისუფლების მოტრფიალე. ეხლა კი მე ცხადათ დაგიმტკიცებთ, რომ „სახალხო მოამბე“ უსინიდისოთ გატყუილებთ ყველას, როცა გეუბნებათ, რომ თქვენ— ბრბო შეადგენთ ხალხის უმთავრესს ძალას, და საძირკველს, რომელზედაც მომავალი ცხოვრება უნდა აღმოცენდეს სუსყველა ეს გაზეთის სიცრუეა და მეტი არაფერი. ბრბო იმ ნედლ მასალას წარმოადგენს მარტო, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს ხალხათ ქცევას, მისთვის ჯერ კიდევ საჭირონი არიან ისეთი პირი, რომელიც ამ უმნიშვნელო, უფორმო საგნიდგან შესჭმიან ხალხს, ძალას (ჩანქალი, სიცილი და ღეღვა). განა მთელს ბუნებაშივე ამასვე არა ვხედავთ? რა განსხვავებაა გარეულ და შინაურ პირუტყვთ შორის? ავილოთ, მაგალითად, სულ უბრალო ქათამი. რა ხორცს იძლევა მისი გამხმარი ავებულება? ან რა კვერცხებსა სდებს? თითქმის იმისთანავეს, როგორსაც რომელიმე რიგიანი ყვავი! მეორეს მხრით აიღეთ შინაურივე, მაგრამ ისპანიური ან იაპონიური ქათამი, კარგი ხოხობი ან ინდოური და თქვენ ნათლად დაინახათ მათში განსხვავებას! ან არა და აიღეთ ძალლი, რომელიც უფრო ახლო სდებას თქვენთან. მოიგონეთ რას წარმოადგენს ჩვეულებრივი

მოთხერილ, მოსერილი მაწანწალა ძალლი! მერე შეადარეთ ეს ძალლი ფინია ძალლის, რომელიც ჩამომავლობით არის ტოკრატია და რომელსაც საჭმელიც კარგი უქამია და გარმონიული, მუსიკალური ხმებიც სმენია. თქვენ გვონიათ ფინიას ტვინი სულ სხვანაირად არ არის განვითარებული, ვიდრე მაწანწალა ძალლისა? რასა კვირველია, რომ ჰო! ამისთანათ აღზრდილ ფინია ძალლებს ათასნაირ რამეებს შეასწავლიან ხოლმე. მაწანწალა ძალლი კი ვერასოდეს ვერ შეისწავლიდა ყველა ამას.

(ხმაურობა და სიცილი).

მოქალაქე (ჟუგირის). ეხლო ძალლებს შეგვადარეთ?

მეორე. ჩვენ მხეცები ხომ არა გართ, ბ. ექიმო?!

ექ. შტაჟმ. სცდებით, ჩემთ ბატონო, სცდებიც! ჩვენ ნამდვილად მხეცები ვართ! დიალ, ყველანი თავიდამ ბოლომდე მხეცები ვართ, თუმცა კი საწყენია ეს ჩვენთვის... და ამასთანავე ბევრი არ მოიძებნება ჩვენში არის ტოკრატიული მხეცი. აბა ერთი დააკვირდით, რამოდენა განსხვავებაა გოშია და მაწანწალა ძალლში, მაგრამ უფრო სასაკილო კი ის არის, რომ ბ. გოფსტადი სრულიად მეთანხმება, ვიდრე ლაპარაკი ოთხ-ფეხ პირუტყვებზედ მაქვს.

გოფსტადი. ეპ, გავანებოთ ისევ თავი, ის გვირჩევნია...

ექ. შტაჟმ. დაგეთანხმებით; მაგრამ გაუსწორებ კი თუ არა ამავე კანონს ორ-ფეხა პირუტყვებს, ბ. გოფსტადი მაშინვე ყალყზედ შესდგება და საშინელ ყვირილს მორთავს. მაშ რა ჰქნას? მაშ ხომ ვერ გაპბედავს, რომ თავისი საკუთარი აზრი და შეხედულობა იქნიოს? რაც კი ცოდნა აქვს, სულ გადარევს, თავს ბოლოდ აქცევს, ბოლოს თავად და „სახალხო მოამბეში“ გამოაცხადებს, რომ გარეული ქათამი და მაწანწალა ძალლი საუკეთესო პირუტყვთაგანი არიან სამხეცეშიო. მაგრამ ეს ყოველთვის სე იქნება, სა-

ნამ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულობას მიჰყევ-  
ბით და სასტკი ბრძოლის შემდეგ ნამდვილ არის-  
როკრატიზმამდის არ აღმაღლდებით.

**გოფსტადი.** მე არც ერთ არისტოკრატიზმს არ ვეპოტინები.

მე უბრალო, გლეხუკის ჩამომავალი ვარ და თავიც  
მომაქვს, რომ იმ დაბალ წოდებას ვეკუთვნი, რომე-  
ლიც თქვენ ეგრე გეზიზდებათ.

**რამდენიმე მუშა.** ვაშა, გოფსტად, ვაშა, ვაშა!

**ექ. შტოქმ.** ეს უბრალო, მხეცი ხალხი მარტო დაბალ წოდე-  
ბაში კი არ მოიპოვებიან; ისინი ქვემდრომელობენ.  
და დაქუთმათობენ სუსველგან, ყველა წოდებაში  
განურჩევლიად. მაგალითად თქვენი პატივცემული  
ბურგომისტრი იიღეთ! ჩემი ძმა პეტრე, ეჭვს გარე-  
შეა, რომ სწორედ იმ უბრალო ხალხს ეკუთვნის,  
რომელზედაც მე ეხლა გელიარაკებოდით...

(სიცილი და სისინი),

**ბურგ.** ეგ ინსინუაცია და მე პროტესტს ვაცხადებ...

**ექ. შტოქმ.** (განაგრძობს ისევ ი ე) და თუ ეკუთვნის იმ უბრა-  
ლო ხალხს, იმიტომ კი არა, რომ ჩემსავით ძველი  
ყაჩალის ჩამომავალია...

**ბურგ.** ეგ უაზრო და უსაბუთო გაღმოცემაა, სიცრუეა!

**ექ. შტოქმ.** ეგ ეკუთნის მეთქი მათ მარტო იმიტომ, რომ  
თავისს მთავრობის ყურმოქრილი ყმა და მონაა. ის  
კაცი, ვინც ეგრე იქცევა, ინ ჟელიგენტური მხრით  
ბრძოს ეკუთვნის და კიდეც იმიტომაა, რომ ჩემი  
მრავალ პატივცემული ძმა პეტრე ეგრე დაცემულია  
და მაშასადამე—არა-ლიბერალი...

**ბურგ.** ბ. თავმჯდომარევე!!

**გოფსტადი.** მაშ, როგორც თქვენის სიტყვებიდან სჩანს, პატიო-  
სანნი მხოლოდ ლიბერალნი ყოფილან? ეს სულ  
ახალი აზრია ჩემთვის (სიცილი სალეკი).

**ექ. შტოქმ.** დიალ, ეს ნაწილია ჩემი ახალი აღმოჩენისა. აქე-  
დანვე სჩანს, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფ-

ლება თითქმის იგივეა, რაც ზნეობა და მაშასადამე „სახალხო მოამბეს“ არ ეპატიება, რომ დღითი-დღე სიცრუეს ჰქადაგებს, კითომ ლიბერალიზმი თუ ზნეობა შეერთებული უმეტესობის საკუთრებას შეადგენენ და ყოველგვარი გარეუვნილება, ზნეობრივი უსუფ-თაობა ისევე გამოლის განათლებილან, როგორც წყლის მომშაბავი უსუფთაობა ჩვენი დაბახანებიდგან (უვირთავ, სმაურობა. ექ. განაგრძოს აუშვთებელი და თან იდამება) და იმავე დროს კი თითონვე „სახალ-ხო მოამბე“ ეტრფის ბრძოს ამაღლებას, გან-ვითარებას და უმაღლეს წერტილამდის მიღწევას! თუ „სახალხო მოამბის“ დოქტრინა უტყუარია— ბრძოს ამაღლება მაშ სიკვდილივე იქნება მისი! მაგ-რამ ის აზრი, რომ განათლება გამრუვნელია ხალხი-საო, საბედნიეროდ, ძველი, ტრადიციული სიცრუეა. არა, ხალხს ჰრუვნის გონებითი სიჩლუნგე, სიღარიბე და ცხოვრების საძაგელი პირობანი. იმისთანა სახლ-ში, რომელსაც ყოველ დღე არა ჰგვიან და არ ასუფ-თავებენ ჰაერს (ჩემი ცოლი ამბობს, იატაკიც უნდა გაირეცხოს ყოველ დღეო, მაგრამ ამაზედ ლაპარა-კის დრო არა გვაქს ეხლა) იმისთანა სახლში მცხოვ-რებნი მეთქი სამი თუ ოთხი წლის შემდეგ ზნეობრი-ვათაც დაეცემიან ხოლმე და გონებრივადაც. ჰაერის სიცოტავე სინიდისს უჩლუნგებს ადამიანს. ჩვენ ქალაქში კი, სადაც შეერთებული უმეტესობა იქნო-ბამდის უსინიდისოა, რომ თავისის მომავალი სიცრუე-ზედ უნდა დაამყაროს, მაგისთანა უსუფთაო და დახ-შული სახლები უმეტესობას წარმოადგენენ.

ასლაგსენი. ეგ შეურაცხება მთელი ქალაქისა!

ერთი ხმა. ვთხოვ ბ. თავმჯდომარეს გააჩუმოს ორატორი!

ხმები. ჰო, ჰო, წაართვით სიტყვა, წაართვით!

ექ. შტოქმ. (გაბაზებული) მაშ დღეის იქით ყოველ ქუჩაზედ და ყოველ მოედანზედ ვილაპარაკებ და ყველას გა-

ვაგებინებ სიმართლეს! მე სხვა გაზეთებში დავიწყებ  
წერას და მთელ ქვეყანას მოვდებ აქაურ ამბებს.  
გოფსტადი. როგორც ეტყობა, ექიმს ჩვენი ქალაქის გაღატა-  
კება მოუსურვებია.

ეჭ. შტოჭმ. დიალ, მე იქამდის მიყვარს ჩემი სამშობლო ქა-  
ლაქი, რომ მზათა ვარ გავაღატაკო, ოღონდ სიც-  
რუეზედ ნუ იქნება აღორძინებული ჩვენი კეთილ  
დღეობა!

ასლაგსენი. კარგია, მე და ჩემთა ღმერთმა!

(ხმაურობა. სტეფან ქ. შტოჭმანისა ახველების, მაგრამ ექიმი  
ეურადედების არ აქცევს).

გოფსტადი (ხმაურობის დროს უვითის). მაგას ხალხის მტერი თუ  
იტყვის მარტო, თორემ სხვა ვერავინ.

ეჭ. შტოჭმ. (უფრო აჯელდება) მერე რა არის, რომ სიცრუეზედ  
და უსინიღისობაზედ აგებული საზოგადოება დაირ-  
ღვეს და დაიშალოს? სულ მთლად რომ განადგურდეს  
კიდეც დედამიწის ზურგზედ, ის ურჩევნია ჩაგისთანა  
საზოგადოებას! ყველა, ვინც კი სიცრუით და უსინი-  
ღისობით საზრდოობს, უნდა გასრესილ იქმნას, რო-  
გორც გველი! თუ ცოტა ხანი დაგცალდათ, თქვენ  
მთელ ქვეყანას მოსწამლავთ და იქამდის მიიყვანთ,  
რომ სულ მთლად დაღუპვა ერჩივნება სიცოცხლეს.  
და თუ როდისმე დადგება მაგისთანა წუთი, მე გულის  
სილრმიდან ამოვიდახებ: დაიღუპოს და დაინგრეს მთე-  
ლი ქვეყანა და გასწყდეს მთლად მისი ერი!

ხმა (ჯგუფიდან) მაინც სწორედ ისრე ლაპარაკობს, რო-  
გორც ხალხის მტერი!

ბიძღვინგი. ღმერთი გამიწყრეს, თუ ეს ხმა ერის ხმა არ იყოს!  
სუეველანი (ჟუგირიან). მართალია. მართალია! ექიმი მტერია  
ხალხისა! მაგას სძულს თავისი სამშობლოც და თანა-  
მემამულენიც!..

ასლაგსენი. მე, როგორც მოქალაქე ამ ქვეყნისა და როგორც  
აღამიანი, მეტის-მეტადა ვარ აღელვებული ყველა

გმითი, რაც მე დღეს გავიგონე. ექიმმა შტოკმანშა ისეთის მხრით გაგვაცნო თავი, რომ მე არასოდეს არ მოველოდი. დიდის მწუხარებით უურტოდები ზოგიერთებისაგან წარმოთქმულ აზრს და ამიტომ გთხოვთ გადაწყვეტით დავადგინოთ — ექიმი შტოკმანი იყოს თუ არა ხალხის მტრად ცნობილი.

(გრგორი აპლიდიშვილებისა, ბევრი შემთქმევებიან ექიმს და უსტევენენ. ქ. შტოკმანისა და პეტრა აღგებას თავისთ ადგილებიდან, მორტენი და კოლიფი ეჩეუბების იმ ბავშვებს, რომელიც უსტევენენ, რამდენიმე გაცი აშევდებენ) აჭ. შტოკმ. (მაუბრუნდება იმათ, ვინც უსტევენენ) ოო, თქვე საძალებო, თქვე უსინიდისოებო!.. მე გეუბნებით ...

ასლაგსენი (რეგავს). ექ. შტოკმანს სიტყვის ნება აღარა აქვს! ეს ფორმალურად უნდა გადაწყდეს მეთქი; კკრჭის ყრა ბარათებით იქნება, მაგრამ ხელმოუწერელად. ბ. ბილ-ლინგ, თეთრი და მწვანე ქალალდი ხომ არა გაქვთ? ბილლინგი. აი მწვანე და ესეც თეთრი ქალალდი....

ასლაგსენი (ჩამთვა). ესე უფრო ჩქარა გავითავყებთ. ქალალდი წვრილ ნაკრებათ აქციეთ... ეგრე (საზოგადოებას მაუბრუნდება) მწვანე ქალალდი „არას აღნიშნავს და თეთრი ჰოს ... მე თითონ ჩამოვივლი ხმების მოსაკრებათ...“

(ბურგომისტრი გადის ზაფიდა). ასლაგსენი და რამდენიმე კადევ სხ. ქუდებით ჩამთველიან)

მოქადაქე (გაფესტადს მიუბრუნდება). ეს რა დამართვნია ექიმს, რა ამბავია?

გოფსტადი. განა არ იცოდით რა მოუსვენარია?

მეორე (ბილლინგს მიეპრუნდება). თქვენ, მგონი, ხშირათ დაიარებოდით ექიმთან — ბოლოს დროს ხომ არა ლოთობდა?

ბილლინგი. არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ გითხრათ — როცა უნდა შესულიყავ, ფუნჯი კი ყოველთვის ედგახოლმე მაგიდაზედ და რა ვიცი.

მესამე მე კი მგონია, ექიმი ცოტა გონე აზედ უნდა იყვეს შერყეული!

შირგელი. იქნება გვარში აქვთ სიგიური?  
ბილლინგი. შესაძლებელია!

მეოთხე არა, აქ სულ სხვა მიზეზია — ეტყობა, რაღაცაზედ  
გაბრაზებულა და ეხლა უინს იკლავს.

ბილლინგი. მართლა, ამ დღეებში ჯამაგირის მომატებაზედ  
ლაპარაკობდა, მაგრამ უარი უთხრეს თურმე!

სუჟექტები. (ერთად) აა, ემანდა სადა ყოფილა მიზეზი!  
მთვრალი. მე მწვანე ქალალდი მომეცით! თეთრიც, თეთრიც  
მომეცით!

რამდენიმე სმა. ისევ უემოეთრია, სად გამობლეჩილა ეს ოხერი?  
გაიყვანეთ, გაიყვანეთ!

მორტენ კალი. (მივა ექიმთან) ჰენდავთ, შტოქმან, თქვენმა სისუ  
ლელებ სადამლის მიგიყვანათ?

ქ. შტოქმ. მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე.  
მორტენ კალი. ჩვენს დაბახანებზედ რა სთქვით წელინა?

ქ. შტოქმ. განა ვერ გაიგონეთ რაცა ვსოდვი — მთელი ეს  
უსუფთაობა იქიდან გამოიდის მეთქი.

მორტენ კალი. მაშ ჩემი დაბახანებიდამაც?

ქ. შტოქმ. საუბედუროთ, თქვენი დაბახანა სუსველაზედ უა-  
რესია.

მორტენ კალი. გაზეთში მაგის დაბეჭდვასაც აპირებდით?

ქ. შტოქმ. მე უფლება არა მაქს რამე დავმალო.

მორტენ კალი. ეგ იაფად არ დაგიჯდებათ, ბ. შტოქმან! (მიდის)

სქელი კაცი. (გორსტერს მიუსალოდედება; ქალებს თავი: არ დაუქრავს)  
მაშ ეგრე, ბ. გორსტერ, თქვენს სახლში ხალხის  
მტერს იღებთ, ჰა?

გორსტერი. მე მგონია, მოწყალეო ხელმწიფევ, მე ნება მაქს  
ჩემი საკუთრება ისე მოვიხმარო, როგორც მე მსურს.

სქელი კაცი. რასაკირველია, მაგრამ, იშედია, თქვენ წინააღმდეგ  
დეგი არაფერი გექნებათ თუ მეც თქვენ მოგბაძეთ!

გორსტერი. მაგით რის თქმა გსურთ, მითომ?

სქელი კაცი. მაგის ხეალ გაიგებთ (მიბრუნდება და ზაფიდნ გას).  
შეტრა. ეს, მგონი, თქვენი გემის პატრონი იყო?

გორსტერი დიალ, ბ. ვიკი გახლდათ.

ასდაგსენი (ბარათებით ხელში ამაღლებულ დაგიჯზე შევა და ზარა  
დაუქრავს). პატონებო! კენჭის ყრის შედეგი მინდა  
გამოგიცხადოთ. სუსველა ერთის გარდა...

ემაწვევადა გაცია. ეგ ერთი ის მთვრალია!

ასლაკესენი. სუსყველანი, ერთი მთვრალი კაცის გარდა, აღგენენ  
ამ კრებაზედ, რომ აბანების უფროსი ექიმი, ბ.  
შტოკმანი—ხალხის მტერიაო! (აპლადისმენტები და  
გაშას ძალია) გაუმარჯოს ჩვენს პატივცემულ საზო-  
გადოებას! (აპლადისმენტები) გაუმარჯოს ჩვენს კე-  
თოლს და მუშაკ ბურგომისტრს, რომელმაც ასე  
პატიოსტურად ჩაიქრო გულში ყოველნაირი ნათე-  
საური გრძნობა! (აპლადისმენტები). კრება დახურუ-  
ლია ბატონებო! (ჩაშოდის).

ბილაინგია. გაუმარჯოს ბ. თავმჯდომარეს!

სუსყველანი. გაუმარჯოს ასლაკესენს, გაუმარჯოს!

ეჭ. შტოკმ. პეტრა, ჩემი ქუდი და ჯოხი. ბ. გორსტერ, გემ-  
ზედ ამერიკაში მიმავალ მგზავრებისათვის ადგილი  
ხომ არა გაქვთ?

გორსტერი. თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის, ექიმო, ად-  
გილი ყოველთვის მექნება.

ეჭ. შტოკმ. (იმ დროს, როდა პეტრა ჰაცმას ჭარების)  
კარგი! წამო, კატო! წავიდეთ, შვილებო (ცოდნ  
ხელს გაუკრის).

ქ. შტოკმ. (ნახევარი ხმით) ტომას, უკანა კარებიდან გავიდეთ.

ეჭ. შტოკმ. საკირო არ არის, კატო, უკანა კარებები! (ჩემი მაღლა)  
სანამ დავიძერტყავდე მე აქ ჩემ ფეხთა მტვერს, ჯერ  
კიდევ ბევრჯერ მოგაგონებთ მე თქვენ ხალხის მტერს.

ასლაკესენი (უფარის). ექიმო შტოკმან!

მოუხეშავი ხმა. კიდეც რომ იმუქრება!

გაბრაზებული ხმები. ფანჯრები ჩაუმტვრით, ბიჭებო, ფანჯ-  
რები! ზღვაში გადაისიროლოთ!

ხმა. (სახლადნ) დაუკარ, ისვანსენ, დაუკარ უფრო ხმა მაღლა!

(იმშის საუკირის ხმა, სტვენა, სისინი, საშენელა დროანტეჭი).

ეჭ. ცოდითურთ კარებისაგენ მიდის. გორსტერი გზას უკვლევს).

ბილაინგი. (ქადაღდები რიგში მთეჭავს) ღმერთი გამიწყრეს თუ  
მე დღეს კიდევ დავლით ექიმთან ფუნჯი!

(სალახი გასიარა კარებისაგენ მიურევება. ქუჩიდან დრიანცელი და  
„სალხის მტერი, სალხის მტერი!“-ს ძალია).

ი. ჰოდუმორდვინიავა

(შემდეგი იქნება)

# „କାନ୍ଧବ ପିଲ୍”\*)

ମ. ଗୋଟିଏଳା.

(ରାଜାରାଜୁଲୀଙ୍କ)

ତାର୍କାମନ୍ଦିରୀ ପ୍ରଦୀପ. ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରୀକ୍ଷାକାରୀ

ଯାତ୍ରି ଫଳୀର ଶୈଖରିତ୍ବ ଗାନ୍ଧଵିଦ; ତୁ ଏହା ନିଲାମ ଦିଲିତ,  
 ଯାତ୍ରିନାଥଙ୍କ ଶାର୍ଣ୍ଣ ପ୍ରିୟାମନଙ୍କ ଦାନ୍ତିରିଲ ଓପି ଦା ଶାର୍ଣ୍ଣ ମନ୍ଦିରର  
 ପରାମର୍ଶ ଦା ମନୋବିନଦା, କରମ ଏହି ଫଳୀର ଶାସାମାରିତଳାମିଶ୍ରି ବ୍ୟକ୍ତି  
 କିମ୍ବା ଶୈଖ-ନାଥବାଲୀ ଉନିଦା ଗାନ୍ଧାର୍ଷିକାରୀତିଲାକୁ. ମାତ୍ର ମେତାଦ ଗାୟବାରିଦା  
 ଶାସାବ୍ଦେଶୀଲୀ ମିଶ୍ରିତ କରମ ପଦାମନବା ଦା ବ୍ୟକ୍ତିର ଶୈଖ-ନାଥବାଲୀର ଗା-  
 ଗନ୍ଧା ମନୁନଦା. ନିଲାମ ପ୍ରିୟାମନଙ୍କ ଶାର୍ଣ୍ଣକୁ, ଶାର୍ଣ୍ଣକାରିମଦ କ୍ରାନ୍ତ ହିଂ-  
 ପ୍ରାଚୀ, ହିଂ ଦାଲାମା ଦା ତିତିକ୍ଷିତ ଶିରବାଲାମିତ ଗାନ୍ଧିକା ଶାସାମାରିତଳା-  
 କିମ୍ବା, ମାତ୍ରାମ, କରମବାରି ମନୋବିନଦେଶୀଲୀ ପ୍ରାଚୀ, କାଲାନ ପରିରେ  
 ମିଶ୍ରିତା. ଶାସାମାରିତଳାମିଶ୍ରି ଜ୍ୟୋତିରୀ ଏହିମନ୍ଦିରରେନ୍ଦ୍ରିନ୍, କୋଣି ଜାର୍ଯ୍ୟବ୍-  
 ତାନ ଶୈଖଗୁରୁଷୀଲୀକୁ ଦା କାର୍ଯ୍ୟକୀର୍ତ୍ତି ଗାନ୍ଧବଦା ମନୁଷୁତମେନିଲାଦ ଏଲାକା.  
 ଲୁହନ୍ଦେଶ୍ଵିପ ମିଥିମନ୍ଦିର, କ୍ରିଏଲୀ ମିଥିମନ୍ଦିର ଦା ମିଥିମନ୍ଦିର ଲାଙ୍ଘନି  
 ଦାନ୍ତିପ. ଶାର୍ଣ୍ଣକାରିମା ଶିରି ବ୍ୟକ୍ତିର ପରାମର୍ଶ ମନ୍ଦିରର ଗାନ୍ଧାର୍ଷି-  
 ଲାଙ୍ଘନିକୁ, କରମବାରିଦେଶୀଲୀ ଶୈଖଗୁରୁଷୀଲୀ ପ୍ରାଚୀକା ଏହି ମାରିତାମାରି.  
 ମନ୍ଦିର, ଦେଖିବ ମିଥିମନ୍ଦିର, ହିନ୍ଦୁମନ୍ଦିର ନିଶ୍ଚାରିତରେନ୍ଦ୍ରିନ୍. ମନ୍ଦିର ମନ୍ଦିରକୁ  
 ଦା ପ୍ରିୟାମନଙ୍କ ଦା ମନ୍ଦିରକୁ, ମନ୍ଦିରକୁ ଶାର୍ଣ୍ଣ ଶାର୍ଣ୍ଣ ଗାନ୍ଧବଦା ଦା ଶାର୍ଣ୍ଣ ଲାଙ୍ଘନି  
 ଦା ମନ୍ଦିରକୁ, ମନ୍ଦିରକୁ ଶାର୍ଣ୍ଣ ଶାର୍ଣ୍ଣ ଗାନ୍ଧବଦା ଦା ଶାର୍ଣ୍ଣ ଲାଙ୍ଘନି  
 ଦା ମନ୍ଦିରକୁ, ମନ୍ଦିରକୁ ଶାର୍ଣ୍ଣ ଶାର୍ଣ୍ଣ ଗାନ୍ଧବଦା ଦା ଶାର୍ଣ୍ଣ ଲାଙ୍ଘନି

\*) ପକ୍ଷ. „ମନ୍ଦିରକୁ“ ମେତା ମେତାକୁ ମନ୍ଦିରକୁ ମନ୍ଦିରକୁ

მიძღვებოდა ნერგებზე და ასე მიმედ აწვებოდა, რომ ჩის ტოტები ვეღარ უძლებდნენ და ძირს იხრებოდნენ. მერე მთელ ეკლესის ჩაიკრავდა გულში ირიდან ჯვრამდის მოყოლებული; გადააბიჯებდა და უხმაუროთ სასამართლოსკენ და კარებთან გაჩერებულ ხალხისკენ მიიზღაზნებოდა...

ხალხი კი რაღაც უფერული, უსიცოცხლო და მშიერი შეკრებილიყო; ისინი ზარმაცად შეჰყურებდნენ ერთმანეთს და დინჯად ლაპარაკობდნენ. ერთ იმათგანს გრძელი თმა ჰქონდა, მსუბუქი პალტო ყელამდის შეეკრა, დაჭმუქვნილი „შლიაპა“ წარბებამდის ჩამოეფხატა, გათოშილი, წითელი ხელებით ქერა წვერს იგრეხავდა და გაცვეთილ ფეხსაცმელში თითებ გამოყოფილ ფეხებს მოუთმენლად აბარტყუნებდა მიწაზედ. მეორეს თავი დაბლა დაეხარი, ერთი ხელი დაკონკილ პალტოს უბეში შეეყო და მეორეს ჯიბეში აცოდვილებდა — კაცს ეგონებოდა და ბურანშია და ვერასგზით ვერ გამოზოზნებულაო. შავგვრემანი ხარაბუზას მსგავსი, „პიუკში“ და მაღალყელიან წალებში გამოწყობილი კაცუნა ვერ ისვენებდა: გაფიორებულს და მურწა ცხვირ-პირს მაღლა აიშვერდა, ზეცას შეჰყურებდა, უსტვენდა, კოპებს იკრავდა, ულვაშებს იქერდა ენით და ყველაზედ მეტს ისა ლაპარაკობდა.

— აღებენ? — შეჰყვირებდა მალი-მალ, თავს გვერდზედ გადიქინდრავდა და ყურს წაუგდებდა ხოლმე.

— არა ჯერა... დრო კი არის... სამკითხველოში ჯერ არ შეგილიათ?

— არა, ადრეა, — უგემურათ მიუგო გრძელ თმიანმა.

— დასწყევლოს ღმერთმა.. რა ძლიერა ცივა...

გრძელ თმიანმა თანაგრძნობით წაიზმუქუნა და წარმოს-თქვა დაფიქრებით:

— რა დაგვემართებოდა და სად უნდა გავმობარიყავით, სამითხველო და სამსჯავრო რომ არა ყოფილიყო?

შავგვრემანმა კაცუნამ ხმა ამოუღებლივ მხრები შეიშმუ შენა. ილია თვალ-ყურს ადევნებდა ამ შეჯგუფულ ხალხს და სცდილობდა. მათი ლიპარაკიდან არც ერთი სიტყვა არ გამოჰ-

პარვოდა. ის ცხადათა ჰქედავდა, რომ მის წინ „შალიგანები“ და გაიძერები იდგნენ, რომელთაც გლეხების და საზოგადოდ უფიცი ხალხის მოტყუილება ხელობათ გაუხდიათ, თხოვნებს უწერენ დარიგებას აძლევენ ან და წერილებით დადიან სახლში და მოწყალებას თხოვლობენ. უწინ ილიას ეშინოდა ამათ-თანა ხალხისა, მაგრამ ეხლა კი ცნობის - მოყვარეობის მეტს არას უღვიძებდნენ.

— რისთვისა სცხოვრობს ამისთანა ხალხი? სცხოვრობენ კია...

იქვე, შესავალ კარებთან, წყვილი მტრედი ჩამოფრინდა. გაბერილი მტრედი გაცხარებული უვლიდა მეორეს გარშემო და ხმა-მაღლა ღლურტუნებდა.

— ფიუ! — დაუსტეინა შავგვრემანმა კაცუნამ და მტრედები ააფრინა. ქურქიანი კაცი შეკრთა და თავი მაღლა ასწია. მას სახე დასიებული და დალურჯებული ჰქონდა, თვალები უსიცოცხლოთ, შუშებსავით გაჰყინოდა.

— კირივით მეჯავრებიან მტრედები! — შესძახა შავგვრემანმა კაცუნამ და გაფრენილ მტრედებს თვალი გააყოლა. — მსუქნები... მდიდარ ვაჭრებსავით... ღლურტუნებენ... უჟ... საზიზლრები... თქვენ საქმეს არჩევენ? — მოულოდნელად მიუბრუნდა ის ილიას.

— არა...

— ბრალდებული არა ხართ მაშა?

— არა...

შავგვრემანმა კაცუნამ თავიდან ფეხებამდის ააყოლა თვალი და ძლივს გასაგონად წაიბურტყუნა:

— საკვირკელია.

— რა არის საკვირკელი? — დაეკითხა ილია ღიმილით.

— თქვენ დამნაშავის სახე გაქვთ, — აჩქარებით მიუგო შავგვრემანმა კაცუნამ. — ოპო, გააღეს...

შავგვრემანი პირველი შეძრა გაღებულ კარებში. მისი პასუხით გაკვირვებულ ილია, უკან გაჰყვა უცნობს, მაგრამ კარებში გრძელ თმიანს დაეჯახა.

— ფრთხილად, უზრდელო, — დინჯათ შეუტია გრძელ  
თმიანმა, თითონაც დაეჯახა და შაინც გაასწრო ილიას.

მუჯლუგუნი კი არ ეწყინა ილიას, მხოლოდ გაუკვირდა.

— საკვირველია! — გაიტიქრა ილიამ, — ისე იკვრება მუჯ-  
ლუგუნებს, თითქო ბატონი იყოს და ყველგან პირველი ად-  
გილი მაგას ეკუთვნოდეს, მერმე კაცმა შეხედოს რასა ჰგავს...  
ნამწვი...

სამსჯავროს დარბაზი სიჩუმითა და ბურუსით იყო მოცუ-  
ლი. გრძელი, მწვანე მაუდ გადაფარებული მაგიდა, მაღალ  
ზურგიანი სკამები, დაოქრული ჩარჩოები, ვეებერთელა, აღამია-  
ნის სიმაღლე სურათები, მუქი ბორდოს ფერი სკამები ნაფიც  
მსაჯულთათვის ჩამწყრიებული, მოაჯირს იქთ დარჩომილი  
გრძელი ხის სკამი — ყველა ეს მძიმე იყო და თავისადმი მოკრძა-  
ლებასა და პატივისცემის უნერგავდა აღამიანს გულში. ფანჯრები  
ღრმათ შემცვრალიყვნენ კე ალებში; პოროსინის ფარდები სქე-  
ლი ნაკეცებით ჩამოკიდულიყვნენ მათხედ. ფანჯრის შუშები  
რაღაც ბედრანგათ გამოიყურებოდნენ. მძიმე კარები უხმაუ-  
როთ იღებოდა და ბრჭყვიალა ღილებიანი მოხელენი ძლივ  
გასაგონათ მიდი - მოდიოდნენ. ამ დიდ დარბაზში ყოველი  
საგანი თითქოს იმას აგონებდა აღამიანს, რომ დინჯათ და ჩუ-  
მათ უნდა მოიქცეთ. ლუნევი იყურებოდა იქთ-იქით და  
რაღაც უცნობი მოუსვენარი გრძნობა გულ-ღვიძლს უღრღ-  
ნიდა; მაშინ კი, როცა მოხელემ გამოაცხადა — მოსამართლენი  
მოდიანო, ილია შეკრთა და ყველაზედ უწინ ის წამოხტა  
ფეხზედ, თუმცა არც კი იცოდა, რომ საჭირო იყო ფეხზედ  
წამოდგომა. ერთი მოსამართლეთაგანი გრძოლი იყო, — რომე-  
ლიც ილიას მაღაზიის პირდაპირ სცხოვრობდა. ის შეა საგარ-  
ძელში ჩაჯდა, თმაზედ გადისვა ხელი და ოქროთი მოქარგუ-  
ლი საყელო გაისწორა. მისმა სახემ, ცოტა არ იყოს, დაამშვი-  
და ილია, რადგან ის ისევე წითელი და კეთილი იყო როგორც  
ყოველთვის, მხოლოდ ულვაშები დაეგრისა და მაღლა აებ-  
ზიკნა. მარჯენე პატარა, ჭალარა წვერიანი და სათვალებიანი  
კაცი მოუჯდა, მარცხნივ — თავმოტვლებილი, წვერებ გაუოფილი

და ყვითელი სახის კაცი დაბინავდა. ცოტა მოშორებით მაღალ მაგიდას ახალგაზდა, თმა-შეკრეჭილი და თვალებ წამოცვინული მსაჯული იჯდა. ყველანი ცოტა ხანს გაჩუმებულნი ისხდნენ და რაღაც ქალალდებს ჰფურცლავდნენ. ლუნევი მოკრძალებითა და პატივის ცემით შეცყურებდა და ეროდა, აი საცაა ერთ-ერთი წამოდგება და რაღასაც იტყვის ხმა-მიღლაომ...

მაგრამ უცბათ, მარცხნივ რომ მიიხედა ილიამ, ნაცნობ სახეს მოპერა თვალი. ცოტა დაკვირვების შემდეგ პეტრუხა ფილიმონვის სქელი და ბრწყინვი სახე იცნო. პეტრუხა ბორდოს ფერ სკამების პირველ რიგში იჯდა. თავი სკამის მაღალი ზურგისთვის მიეყრდნო და დინჯათ ათვალიერებდა ხალხს. ორჯერ თუ სამჯერ პეტრუხას თვალები ილიასს შეხვდნენ და ყოველ ამ შემთხვევაში ილიას უნდოდა წამომდგარიყო ფეხზედ და რაღაც ეთქვა პეტრუხასთვის ან გრომოვისთვის, ან არა და ყველასთვის მიემართნა...

— ქურდო... შვილი ინაცვალე?.. — უელავდა თავში და ყელი საოცრათ ეწვოდა.

— აი, თქვენ ბრალი გედებათ, — ალექსიანალ ამბობდა გრომოვი, მაგრამ ილიამ არც იცოდა და ვერცა პხედავდა ვის ქხებოდა ეს სიტყვები. ლუნევი შესცეკროდა პეტრუხას და ვერასგზით ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ პეტრუხა ფილიმონვი მსაჯულიაომ...

— ბრალდებულო, — შუბლის სრესით ზარმაცად ეკითხებოდა თავმჯდომარე, — თქვენ უთხარით თუ არა ვაჭარ ანისი-მოვს: ადამია, მე შენ გაჩვენებ სეირსაო!“

საღლაც პაერის გასაწმენდი ბრუნავდა და გატაცებული გაჰკიოდა:

— იუ... იუ... იუ...

ნაფიც მსაჯულთა შორის ორი ნაცნობი კიდევ სხვა დანახა ილიამ. პეტრუხას ზევით, მის ზურგს უკან მოიჯარადრე სილაჩევი იჯდა — ვეებერთელა ტანის გლეხი, დიდებელება და პატარა, მაგრამ ბრაზიანი სახისა. ეს სილაჩევი ფილიმონვის დიდი მეგობარი იყო და მუდამ „შაშკებს“ ეთამაშებოდა ხოლმე.

სილაბაჩვენდ ლაპარაციობრნენ — ერთხელ მუშასთან ჩეუბი მოუ-  
 ვიდა, ხელი ჰყანა და ხარაჩოებიდან ძირს ჩამოსხეხაო. ჩამოვარდ-  
 ნილი მუშა იმოდენად დაშავებულიყო, რომ მაღლ სულიც  
 განეტევებინა. პირველ რიგში, პეტრუხას ცოტა მოშორებით  
 დიდი მაღაზიის პატრონი დოდონოვი იჯდა. ილია თავის სა-  
 ქონელს მუდა იმისაგან ჰყიდულობდა და იცოდა, რომ დო-  
 დონოვი მკაცრი და მეტად ძუნწი კაცი იყო და ორჯერ ჩუმი  
 კოტრობის დროს ძანათის ვალს უზალთუნით ისტუმრებდა...

— მოწამევ! თქვენ როდის შენიშნეთ, რომ ანისიმოვის  
 სახლი იწოდა...

— იუ...უ...უ...უ, — ჰგმინავდა და ჰკვნესოდა ჰაერის გა-  
 საწმენდი და ლუნევსაც რაღაც უკვნესოდა გულში.

— სულელი! — გაისმა ილიას გვერდით ჩუმი ჩურჩული.  
 ლუნევმა მიიხედა — გვერდზედ შავგვრემანი კაცი უჯდა და რი-  
 ლაცის ზიზლით პირი გვერდზედ მოჰვრეცოდა.

— სულელი! — გაიმეორა იმან და ილიას რაღაც ანიშნა  
 თავით.

— ვინა? — ჩურჩულითვე დაეკითხა ილია და გამოთაყვანე-  
 ბულსავით გადახედა მეზობელს.

— ტუსალი... მშვენიერი შემთხვევა ჰქონდა მოწმის ჩვე-  
 ნება ძირს დაემზო და ვერ ისარგებლა... ეხლა გვიან-ლა არის!  
 მე რომ ვყოფილიყავ... ეჲ!

ილიამ ბრალდებულს გადახედა. ის მაღალი ტანის, გამხ-  
 დარი გლეხი იყო. სახე შემკრთალი და ნისლით მოცული ჰქონდა  
 და კბილები ქანცგაწყვეტილ ძალსავით დაელრჭინა, თითქო  
 სასტიკ და დაუნდობელ მტრებს სადმე კუნძულში მიუგდიათ  
 და ძალა გამოლეულს სიცოცხლეს უმწარებენო. — მისი სულე-  
 ლური და უშნო სახე უაზრო, პირუტყვულ შიშს და კრძალვის  
 გამოჰქმდა მხოლოდ. პეტრუხა, სილიაჩვი, დოდონოვი და  
 სხვანი კი მშეიდათ და კმაყოფილებით სავსე თვალებით შეპყუ-  
 რებდნენ დამნაშავეს. ლუნევს ეგონა, ყველანი გლეხზედ ჰფიქ-  
 რობენ და ნიშანს უგებენ:

— გაები, — მაშადამე, დამნაშავე შენა ხარ...



— გოსაწყენია! — წასჩურჩულა მეზობელმა. — სრულია ინტერეს მოკლებული საქმეა... ბრალდებული ტუტუცია, ბრალ-მდებელი კამებისავით იცონება, მოწმეები რეგვენი და მხეცები შეკრებილიან, როგორც ყოველთვის... მე რომ ბრალმდებელი ვყოფილიყავ, ათი წუთის განმავლობაში გადავყლაბავდი მაგის-თანა ბრალდებული... .

— მართლა და მანაშვერა? — დაეკითხა ჩურჩულით ლუნევი და რაღაც საოცარმა ქრუანტელმა დაურბინა ტანში.

— არა მეონია... თუმცა გასამართლება კი შეიძლებოდა... სრულიად ვერ იცავს თავსა. საზოგადოთ გლეხები ვერ იცა-ვნ ხოლმე თავს... რეგვენი ხალხია!. . ძვლისა და ხორცისაგან შესდგებიან მარტო, — ჭკუა და ხერხი კი ერთი ბეჭო არ მიუ-ნიჭებია მათთვის ღმერთსა.

— მართალია...

— თქვენ ერთი აბაზი ხომ არ გექნებათ? — უცბად დაე-კითხა მეზობელი.

— მაქვს...

— მომეცით...

ილიამ ამოიღო ქისა და აბაზიანი მიაწოდა, თუმცა ჯერ არც კი მოესახებინა, საჭირო იყო ფულის მიცემა თუ არა? მაშინ—კი, როცა აბაზი მიცემული ჰქონდა, უკვე პატივისცემით გაიფიქრა:

— რა მარჯვეა... ი როგორა სცხოვრობს ხალხი.

— რეგვენია ნამდვილად, რეგვენი! — კვლავ წაიჩურჩულა მეზობელმა და თვალით ბრალდებულზედ ანიშნა.

— სსს!.. — წიასისინა ბოქაულმა.

— ბატონო მსაჯულნო! — ტკეპნით და დაბეჯითებით ამ-ბობდა ბრალდებელი, — აბა შეხედეთ დამნაშავეს, — მოწმეე-ბის ჩვენება არც კი იყო საჭირო, თუმცა იმათაც აშკარად დაამტკიცეს ბრალდებულის ბოროტ-მიქმედება, მისი სახის გამომეტყველებაც ამასვე მოწმობს... მას არ... არ შეუძლიან... არ დაგარწმუნოთ, რომ თქვენ წინ ნამდვილი ბოროტ-მოქმედი სდგას, წეს-წყობილების და კანონმდებლობის მტერი... მტერი საზოგადოებისა... თქვენ წინა სდგას...



სახოგადოების მტერი იჯდა, მაგრამ ალბათ თავს კაზიგუმა ვერა ჰერძნობდა, რომ მოჰკრა თუ არა ყური, რომ მასზედ ლაპარაკობდნენ, ზღაზვნით ფეხზედ წამოდგა და თავი დაბლა დაჭხარა. ხელები უძლურად დაეკიმნენ და მთელი მისი სხეული ისე მოიკაცა, თითქოს მართლ-მსაჯულების ხახაში ჩატომას ელამებაო...

ლუნევმაც თავი ჩაქინდრა. არც თუ ის იყო კარგს მდგომარეობაში—თავში რაღაც ტლანჭი და გამოურკვეველი აზრები უბრუნავდნენ და რადგან მათს გამოსახატავათ ლუნევს სიტყვები ვერ ეპოვნა, ერთი მეორეს ანადგურებდნენ და ილია-საც სულს უხუთავდნენ. პეტრუხას წამოჭარხლებული და მოუსვენარი სახე ყოველ წუთს თვალებში უელავდა და ამ გამოურკვეველ აზრებში, როგორც მოვარე ლრუბელთ შორის, განუწყვეტლივ ჰქონდა.

როცა გრომოგმა გამოაცხადა, რომ მოსამართლენი რამდენსამე წუთს შეისვენებენო, ლუნევი თავისს მეზობელთან ერთად გავიდა დერეფანში. შავგვრემანმა კაცუნამ „პილეაკი“—დან დაჭმულებილი პაპიროსი ამოიღო, თითებით გასწორება დაუწყო და ისევ ილიას მიმართა:

— სულელი, ჰეთიცავს, ღმერთმანი მე არ წამიკიდებია ცეცხლიო. აქ ფიცი რას გიშველის? ჩაიხადე შალვარი და დაწექი... ხა, ხა! სასტიკობა! ვაჭრისთვის უწყენინებიათ... შენ იყავი მიზეზი თუ სხვა, ეგ რაში ეკითხებათ? აქ საჭიროა ვინმე იყვეს დასჯილი... შენ შერჩი ხელში—შენ დაგსჯიან...

— როგორა გვონიათ, დამნაშავეა ეგ გლეხი?—დაეკითხა დაფიქრებული ილია.

— ალბათ, დამნაშავეა, რადგან ტუტუცია. ჭკვიანი ხალხი დამნაშავე არაფერშია ხოლმე...—მშვიდათ, მაგრამ აჩქარებულად ეუბნებოდა შავგვრემანი კაცუნა და თავ მოწონებით პაპიროზს ეწეოდა. თვალები თაგვსავით წვრილი და შავები ჰქონდა და კბილებიც წვრილი და ბასრი.

— აქ ნაფიც მსაჯულებათ,—ნელის ხმით, მაგრამ დელვით დაიწყო ლუნევმა —ისეთები სხედან...

— უმეტესი ნაწილი ვაჭრები არიან, — დინჯათ შეაწყვე-  
ტინა შავგვრემანმა კაცუნამ. ილიამ შეხედა და გაიმეორა:

— ვაჭრები. ზოგიერთებს მე ვიცნობ.

— ჰომი?..

— ისეთი ხალხია, სწორედ რომ მოგახსენო, რომ...

— რა, ისინიც ქურდები არიან, ჰა!.. — დააბოლოვა ილიას  
აზრი მეზობელმა. შავგვრემანი კაცუნა ხმა-მალლა და დაური-  
დებლივ ლაპარაკობდა და როცა პაპიროსი გადააგდო, განუწყვე-  
ტლივ ტუჩებს ჰქონდავდა, უსტვენდა და შეტად თავხედათ შეპ-  
სცეროდა ყველას.

— მოხდება ხოლმე. საზოგადოთ რომა ესთქვათ, მართლ-  
მსაჯულობა კომედია, — მხრების შეშმუშვით ამბობდა შავგვ-  
რემანი კაცუნა. — მაძლრები ვარჯიშობენ, მშიერი ხალხის გას-  
წორება სწადიანთ. სასამართლოში ხშირათ დავიარები, მაგ-  
რამ ჯერ არ მინახავს, რომ მშიერს გეხსამართლებინოს მაძლა-  
რი... თუ მოხდება ხოლმე, რომ მაძლარნი მაძლარსვე გაასამარ-  
თლებენ, გაუმაძლრობისთვის და მსუნავობისთვის თუ უზამენ  
მხოლოდ, მითომ ყველაფერს ერთბაშათ ნუ ჩაბებლუჯავ,  
ზოგი ჩვენ დაგვიტოვეთ.

— ნათქვამია — მაძლარი მშიერს ტანჯვას ვერ მიუხვდებაო,  
— სთქვა ილიამ.

— სისულელეა! — არ დაეთანხმა მობაასე, — მშვენივრათ  
მიუხვდება... კიდევ იმიტომ არის ხოლმე მაძლარი ისე სას-  
ტიკი...

— თუ მაძლარია კაცი, მაგრამ პატიოსანი, კიდევ არაფე-  
რი! — ნახევარის ხმით ეუბნებოდა ილია — მაგრამ თუ მაძლარია  
და თანაც უსინიდისო — ეს რაღა მოსამართლე იქნება?

— სასტიკი მსაჯულნი უსათუოდ უსინიდისონი არიან ხოლ-  
მე, — დინჯათ გამოაცხადა შავგვრემანმა კაცუნამ. — რას იტყვი,  
მოვისმინოთ ქურდობის საქმე?

— ჩემი ნაცნობია... — ჩუმათ წილაპარაკა ლუნევმა.

— ჰომი? — შესძახა კაცუნამ და ცერათ გადახედა ილიას. —  
აბა, ვნახოთ თქვენი ნაცნობი...

ილიას ყველაფერი აერია თავში, იმას უნდოდა რაღაც ეკითხნა შავგვრემან, მოქნილი კაცუნისთვის, მაგრამ რაღასაც ჰქედავდა მასში არა სასიამოვნოს, საშიშს და ზიზლის მომგვრელს და ეს უშლიდა ხელსა. იმავე დროს პეტრუხას მოსამართლეობაზედ ფიქრი მოსვერებას არ აძლევდა, ეს აზრი რკინის რგოლსავით შემოჰვევოდა გულზედ და სხვა ყველაფერი შეევიწროებინა და შეეხუთნა მასში...

დარბაზის კარებს რომ მიუახლოვდა ილია, პავლე გრაჩევის მოყლე კისერი და პატარა ყურები დაინახა. ილიას გაეხარდა ამხანაგის ნახვა, წასწვდა პალტოს სახელოში და სახეში შესკინა. პავლემაც გაულიმა, მაგრამ, როგორც შეეტყო, ეს ღიმილი ძალადატანებული და უგულო იყო.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს.

ამხანაგი რამდენსამე წუთს გაჩუმებულნი იდგნენ და, ალბათ, ისეთი რაღაც იგრძნეს უცბათ, რამაც ორთავეს ერთად გაუღვიძი ლაპარაკის სურვილი.

— საცქერლათ მოხველი? — დაეკითხა პავლე და უგემურათ გაილიმა.

— ის... აქ არის? — დარცხვენით დაეკითხა ილია.

— ეინა?

— შენი — სოფია ნიკ...

— ჩემი რად იქნება? — უხეშად შეაწყვეტინა პავლემ ლაპარაკი. ამხანაგი შორის ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და დარბაზშიც გაჩუმებულნი შევიდნენ.

— დაჯექ ჩემს გვერდით! — წინადადება მისცა ლუნევმა. პავლემ ენის დაბმით მიუგო:

— მე... სწორეთ გითხრა... სხვებთან ერთადა ვარ მოსული.

— კარგი, კარგი...

— აბა, — დაიწყო აღფრთოვანებით პავლემ, — ვექილს უგდე ყური, რაებს იტყვის...

— კარგი, ყურს დავუგდებ... — ნელის ხმით მიუგო ილიამ და უფრო დაბალის ხმით დასძინა: — მშვიდობით, ძმაო...

— ნახვამდის! კიდევ შევხვდებით!

გრძელები მიბრუნდა და ჩქარის ნაბიჯით გასწია გრძელ სკამისაკენ. ილია ისეთი გრძნობით შესცემეროდა მიმავალ პავ-ლეს, თითქოს ამ უკანასკნელმა ძველი იარა დაუსრისა შეუბ-რალებლად და გულ-ცივად თავისს გზას გაუდგაო. საშინელმა ჩრდილება ტკივილმა აიტანა ილია, მას შეშურდა და არ ესიამოვ-ნა, რომ ამხანაგის ტანზედ ახალ და სუფთა პალტოს ჰედავდა და ამჩნევდა, რომ ამ უკანასკნელ თვეებში თითქოს სახეც დას-წმენდოდა პავლეს და ჯანზედაც მოსულიყო. პავლეს გვერდით გაბრიკოს დაც იჯდა. იგერ პავლემ რაღაც უთხრა და ქალმა ფიცხლავ ლუნევისაკენ მოიხედა. ლუნევმა, მოჰკრა თუ არა ქალის ფიცხლავ მობრუნებულ სახეს თვალი, თითონაც მიბ-რუნდა და იგრძნო, რომ გული წყენისა და ბრაზის გრძნობით აევსო... აზრი დრო გამოშვებით ძლიერ ქარიშხალსავით დაპირერავდნენ ხოლმე, საშინელის სისტრაფით დაპროწიალდე-ბოდნენ და ერთი მეორეში გადირეოდნენ. მერმე უცბათ შე-ფერხდებოდნენ და ჰქრებოდნენ; ილია გულში და თავში სიფუჭეს ჰგრძნობდა და გარედგან კი ყველაფერი რაზმათ დაწ-ყობილ ჯარსავით იერიშით მიდიოდა ილიაზედ. ამისთანა დროს ილიას აღარ ესმოდა ირგვლივ რა ჰედებოდა...

ვერა მოიყვანეს კიდეც. გრძელ ლეგა ხალათში გამოწყ-ობილი მოაჯირს იქით დამდგარიყო და ბეჩევათ გამოიყურე-ბოდა. ოქროს ფერი თმა მარცხნა საფეთქელზედ ჩამოშლოდა, ლოყა გაჭვითრებოდა, ტუჩები მაგრა მოეკუმშა და მარცხნა თვალით გაშტრერებით შესცემეროდა გრძოლებს.

— ჰო... ჰო... არა... ჰო... — ბუნდათ ესმოდა ილიას ვერას ხმა.

გრძოლები ალერსით შეჭყურებდა ბრალდებულს და თითქო კატა ხრუტუნებსო, ლბილათ და ხმა დაბლა ელაპარაკებოდა.

— სკნობთ თუ არა თქვენ თავს დამნაშავეთ, რომ და-მე... — მიიპარებოდა ვერასკენ მისი სასიამოვნო ბოხი ხმა.

ლუნევმა პავლეს გადაჰედა, პავლე წელში მოლუნულიყო, თავი დაბლა დაეხარა და მოუსცენრად ქუდსა სძიძნიდა. მისი

მეზობელი კი წელში გასწორებულიყო და ისე გამოიყურებოდა, თითქო ყველას—ვერასაც, მოსამართლებსაც და დამსწრე საზოგადოებასაც ის ასამართლებს და ამაზედ არის დამოკიდებული მათი ბედი და იღბალიო. თავს მოუსვენარათ აქეთიქით აბრუნებდა, მოკუმშული ტუჩები ზიზლით და ამპარტავნობით სავსე და ამაყი თვალები მოლრუბლულ წარბებ ქვეშ ცივათ და სასტრიკათ უბრწყინადღენ...

— ვსცნობ,—წარმოსთვევა ვერამ. ქალის აკახკახებული ხმა ფაიფურის გამსკდარი ჭურჭლის ხმას მოაგონებდა აღამიანს.

ორი ნაფიცი—დოლონვეი და ქერა და წვერ მოპარსული მისი მეზობელი რაღაცაზედ ჩურჩულობდნენ, ვერას, მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ და სახეზედ სასიამო ლამი უკრთოდათ. პეტრუხა ფილიმონოვი მთელის სხეულით წინ წამოვარდნილიყო და ხელებით თავის სკამს ჩაბეჭდაუჭებოდა: სახე ჩვეულებრივზედ ძლიერ დასწითლებოდა და ულვაშებს კატასავით ანძრევდა. სხვა-ნაფიცი მსაჯულნიც ბევრნი იმ რაღაცნაირი ყურადღებით შეცყრებდნენ ვერას რომელიც ლურევს კარგათ ესმოდა, ეზიზლებოდა და გესლითა და შხამით უვსებდა სულსა და გულს.

— ასამართლებენ და თითონ კი ლამის თვალებით შექამონ,—ჰუიქრობდა კრიჭა მოჭერილი ილია და ძლიერ უნდოდა დაეყვირა პეტრუხასთვის:

— შენ, ეი, გაიძევრავ! რაზედა ჰუიქრობ? სადა ზიხარ და რას უნდა აკეთებდე?

ყაყრანტოში რაღაც ბურთსავით მრგვალი ეცობოდა და მოსვენებას არ აძლევდა, სუნთქვას უკრავდა.

— ერთი მიბრძანეთ ქ. კაპიტანოვისავ,—თვალებ გადმობრუნებული და სიცხით შეწუხებული, ზარმაცათ და ლოდნით ეკითხებოდა გრომოვი,—დიდი ხანია, რაც მაგ ხელობას აღგეხართ?

ვერამ სახეზედ ხელი გადისვა, თითქოს ეს მოულოდნელი და არა სასიამოვნო კითხვა წამოჭარხლებულ ლოყებს მიეკრაო.

— დიდი ხანია.—მკვახეთ მიუგო ვერამ. ხალხში ჩურჩული და ჩუმი სისინი გაისმა, თითქოს უცებ გველებმა გაისრიალეს ოთახშიო. გრაჩქვი უფრო ძრიელ მოიხარა წელში, თითქოს დამალვას აპირებსო, და უფრო ძრიელ დაუწყო ქუდს ძაბგნა.

— ე. ი. როგორ დიდი ხანია?

ვერა გაჩუმებულიყო და განიგრად დაღებული თვალებით სასტიკათ და უხუმრათ შესქეროდა გრომოვს.

— წელიწადი, ორი თუ ხუთი?—აღარ ეშვებოდა თავმაღლომარე.

ქალი ხმას არ იღებდა. იგი ქანდაკებასავით უნდრევლივ იდგა და მხოლოდ თავსახვევის ბოლოები ენდრეოდნენ ოდნავ.

— თქვენ უფლება გაქვთ პასუხი არ მომცეთ,—უთხრა გრომოვმა და უღვაშებზედ ხელი გადისვა.

ამ დროს ჩამომხმარი და გრძელ წვერა ვექილი წამოხტა. მას სურათი და გრძელი ცხვირი ჰქონდა, კეფა კი განიერი, რის გამოც მისი სახე უულს მოაგონებდა ადამიანს.

— მითხარით, კაპიტანოვისავ, რა გაიძულებდათ, რომ მაგ ხელობას მისდევდით?—დაეკითხა ხმა მაღლა და მკვახეთ ვექილი.

— არაფერი არ მაიძულებდა, —მიუგო ვერამ და მოსამართლებს გადახედა.

— ჰმ... ეგ ეგრე არ გახლავთ... ე. ი... მე ვიცი... თქვენ თითონ მიაშეთ...

— მე არაფერი მიამბნია,—მკვახედ და სასტიკათ შეაწყვეტინა სიტყვა ვერამ. ქალმა ვექილს გადახედა, სასტიკათ გაზომა თვალებით და განაგრძო ბრაზორჩეულმა:

— მე არაფერი მიამბნია... ეგ ყველაფერი თქვენ თითონ შეთხეთ და გინდოდათ მეც დამეჯერა თქვენთვის...

ქალმა ყველას მიმოავლო თვალი, მერე მოსამართლებს მიჰმართა, ვექილზედ ანიშნა და დაეკითხა:

— შეიძლება მაგას არ ველაპარაკო?

დარბაზში კვლავ გველთა სისინი გაისმა, მხოლოდ ამ შემთხვევაში-კი უფრო ხმა-მაღალი და ძლიერი.

ილია ცახცახებდა ღელვისაგან და გრაჩევს შეჰყურებდა.

ის რაღასაც მოელოდა პავლესაგან, რაშიც თითქმის დარწმუნებულიც იცო. მაგრამ პავლე-კი წინ მჯდომ კაცს ამოჭობორებოდა ზურგს უკან და ხმას არ იღებდა. გორმოვი ღიმილით თვისი სიპი და სასიამოვნო ხმით რაღასაც ამბობდა, მერე ვერამაც დაიწყო ხმა-დაბლა და გაუბედავათ ლაპარაკი...

— გამდიდრება მინდოდა და ავიღე... მეტი არაფერი... მე ყოველთვის ასეთი ვიყავ...

ნაფიც მსაჯულებმა ჩურჩული ასტეხეს: ყველა მათგანს სახე რაღაც საოცრად მოჭღუშოდა, მაგრამ არც თუ მსაჯულებს ეტყობოდათ სახეზედ სიამოვნება. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა; ქუჩაში ფეხების ბარტუმუნი გაისმა — სალდათები თუ მოღიოდნენ.

— ვინაიდგან თითონ ბრალმდებელი გამოტყდა, მე მგონია... — ამბობდა ბრალდებული.

ილიამ იგრძნო, რომ მეტს ვეღარ აიტანდა და აქ დარჩომა აღარ შეეძლო, წამოდგა, კარებისკენ გადააბიჯა, მაგრამ ამ დროს — „ნელაო“, ხმა მაღლა შეუტია ბოქაულმა და იქვე შეაჩერა.

მაშინ ისევ ჩაჯდა ილია და პავლესავით თავი დაბლა დაჭხარა. მას ვეღარ ეცქირნა პეტრუხა ფილიმონოვის წითელ, მაგრამ ეხლა ამაყათ გაბერილ სახისთვის. ალერსიან და ტკბილ გრომოვში კი მსაჯულის მითომ და გულკეთილობაში ილია ცხადათა ჰედავდა ყინულსავით ცივ გულს და ესმოდა, რომ ეს მხიარული კაცი ისე შესჩვევია ხალხის გასამართლებას, როგორც დურგალი ხის გათლის და გაშალაშინებას შეეჩვევა ხოლმე. ილიას გულში ამ უამათ მოუსვენარი აზრი დაებადა:

— რომ გამოვტყდე... მეც ხომ ასე მომექუევიან... პეტრუხა გამასამართლებს... მე კატორლაში გამგზავნის და თითონ კი აქ დარჩება...

ილია გაჩერდა ამ აზრზედ და არც არაფერს ჰედავდა და აღარც ესმოდა რამე.

— არ მინდა, არ მინდა, რომ ამაზედ ილაპარაკონ! — გაისმა ვერას მთრთოლარე და წყენითა და შეურაცეხყბით საესე

ხმა და ზედ გულის შემზარი ქვითინი და ლრიალი დაერთო. ვერძ გაშმაგებულსავით გულს იტაცა ხელი და თავიდან ხელ-სახოცი ჩამოიგლიჯა.

— არ მინდა... არ მინდა მეთქე...

დარბაზი გამოურკვეველმა. და მღვრიე ხმამ აავსო. ყვე-ლაფერი შეხმაურდა ახალგაზდა ქალის ყვირილით და თითონ ქალი კი, ცეცხლწაკიდებულსავით, აქეთ-იქით აწყდებოდა და ყვირილით გულს იხეთქავდა.

— ნუ მაწვალებთ... გამიშვით, თუ ღმერთი გწამთ!

ილია წამოხტა და წინ გასწია, მაგრამ ხალხის ხროვას შეეხება და თავისთვისვე შეუმჩნევლათ უცბათ დერეფანში გაჩნდა.

— გასძარცვეს და გაატიტვლეს სულელი, — გაიგონა ილია შავგვრემანი კაცუნას ხმა.

გაფიტრებული და თმი აწეწილი პავლე კედელს მიჰყრ-დნობოდა და სახე უცახცახებდა. ილია მიუახლოვდა და ბო-როტის თვალებით ჩააშტერდა. იქვე, იმათ გარშემო ხალხი და-დოოდა და გატაცებით ლაპარაკობდა, დერეფანში თამბაქოს ბოლი და სუნი იდგა.

— სატუსალო ველარ იგცდება, რაც გინდ ბევრი იყვირო.

— გამოტყდა სულელი...

— მაშ რაღას იზამდა, როცა ხელში უპოვნეს მონაპა-რავი?

— ეთქვა, მაჩუქაო რა...

სიტყვები შემოდგომის ბუზებსავით დაჭრინავდნენ დე-რეფანში და ილიას ყურებში უძვრებოდნენ.

— რა იყო? — მიუახლოვდა დალვრემილი ილია და ბრაზ-მოსული დაეკითხა პავლეს.

— დაპლუპე ადამიანი? — განაგრძო ლუნევმა. მაშინ-კი თითქოს შოლტი გადააწნესო, გამოფხიზლდა პავლე, ხელი მხარზედ დაადო ილიას და საბრალო ხმით დაეკითხა:

— განა ჩემი ბრალია?

ილიამ ჩამოიცალა მხრიდან პავლეს ხელი და უნდოდა ეთქვა:

-- შენი ბრალია, მაშ ვისი? რატომ არა სთქვი რომ შენ-  
თვის ჩაიდინა ეს ქურდობაო? — მაგრამ ამის ნაცვლათ მიუგო: —  
პეტრუსა ფილიმონვი-კი მსაჯულია, ჰა?... განა სამართალია  
ესა? — ღიმილით დაეკითხა და ამავე ღიმილით კარში გავიდა. ილ-  
ია ნელის ნაბიჯით ქუჩის გაუდგა, თუმცა თავს რაღაც უხილავ  
და იღუმალ თოკებით გაბორკილათ იგულებდა. სევდა მძიმე  
ლოდესავით დასწოლოდა გულზედ და ფიქრის ნებასაც კი აღარ  
აძლევდა. საღმომდის მაწანწალა ძალლსავით ქუჩიდან ქუჩიში  
დაძრწოდა მშეერი და დაღლილ-დაჭანცული. მას აღარავითა-  
რი გრძნობა არ ებადებოდა და არც თუ რასმე ამჩნევდა, სანამ  
არ შენიშნა, რომ სიმშილისახან გული ერეოდა.

დედამიწა ბინდს მოეცვა უკეთე. ფანჯრებში აქ-იქ სინათ-  
ლე ჩნდებოდა, ქუჩებზედ სინათლე ყვითელ ლახტებათ ეცე-  
მოდა მიწაზედ და მათში ფანჯრებში გამოდგმულ ყვავილე-  
ბის ჩრდილნი აშკარათ მოსჩანდნენ. ლუნევი დაშტერდა მათ  
და გრომოვის ყვავილებით საესე ფანჯრები მოაგონდა, მოა-  
გონდა მისი ცოლი, საზღაპრო დედოფალს რომ წაგავდა, და  
სევდის მომგვრელი სიმღერები, რომელნიც სიცილის ნებასაც  
კი არ იძლევდნენ... კატამ ფრთხილის ნაბიჯით ქუჩა გადაიარა.

ილიაც წავიდა, მაგრამ, ჯვარედინ აღგილს მივიდა თუ  
არა გაჩერდა. ერთი სახლი ძალზედ იყო განათებული და ლია  
ფანჯრებიდან მუსიკის ხმა მოისმოდა.

— სამიკიტოში წავალ, — გადასწყვიტა ილიამ და ქუჩის  
შუა ნაწილზედ გავიდა.

— ხაბარდა! — დაუყირა ვიღაცამ. ცხენის შავმა თავმა  
გაუელვა თვალ წინ და თბილი სუნთქვა შეჰშერა. ილია გვერდ-  
ზედ გადიატა, მეტოლის გინება-ლანძლვას ყური დაუგდო და  
დუქანს ჩამოშორდა.

„მაგისთანა ეტლი ვერც კი გასრისაეს ადამიანსა და — მშვი-  
დათ გაითიქრა ლუნევმა. — უნდა შევჭამო რამე... ეხლა კი  
სულ მთლიად დაიღუპება ვერა“...

ილიას აზრი შემთხვევით გამოედო იხალგაზდა ქალის მო-  
გონებას და აღარ შორდებოდა მას, თუმცა კი სულის პატა-

რა ნაწილით ცხადათა ჰერძნობდა, რომ საფიქრებელი ვერა, კი  
არა, თითონ იყო ამ უამაღლ, ჰერძნობდა, მაგრამ იმოდენა ხა-  
სითი აღარა ჰქონდა, რომ აზრთა დენა შეეცვალა და სხვა სა-  
განზედ ეფიქრა.

— ისიც ამაყი ყოფილა... პაშკაზედ არაფერი სთქვა...  
ყველასა სჯობნებია... ოლიმპიადა... არა, ოლიმპიადაც არა-  
ფერს იტყოდა... მაგრამ ტანკა-კი...

აქ მოაგონდა ოლიას, რომ ტატიანა ვლასოვნა დღევანდელ.  
დღეს დღესასწაულობდა და ოლიაც მიწვეული ჰყავდა. პირვე-  
ლად ტატიანასთან წასვლაზედ ფიქრიც კი საზიზლრათ ეჩვენა,  
მაგრამ თითქმის იმ წუთშივე მოუნდა ძალა დაეტანებინა თა.  
ვისს ბუნებისთვის და ავტონომოვიანთსა წასულიყო, გარდა ამისა  
ერთი ძლიერი გრძნობა კიდევ სხვა დაებადა...

წასვლაზედ ფიქრი და სურვილის შესრულება ერთი იყო—  
დაუძახა მეეტლეს და რამდენიმე წუთს შემდეგ ავტონომო-  
ვიანთ სასადილოს კარებში იდგა და მაგიდის გარშემო შე-  
მომსხდარ სტუმრებს თვალებ მობუუტული ათვალიერებდა.

— აა, გამოცხადდა... — შესძახა კირიკმა.

— რა ფერწასულია! — სთქვა ტატიანამ ცოტა ხნის დაკვირ-  
ვების შემდეგ.

— სანუკვარი მოიტანე? როგორ, ტატიანას არაფერს ულო-  
ცავ? ერიპა!.. ეგრე როგორ იქნება, ჩემო ძმო?

— საიდან მოდიხირთ? — დაეკითხა დიასახლისი.

მაგრამ კირიკმა უკვე დაისაკუთრა ილია—მკლავში ჩავლო  
ხელი და სტუმრებს აცნობდა. ლუნევი ვილაცებს ხელს არ-  
თმევდა და ყველა სტუმრები ერთ ვეებერთელა სახედ ეჩვენე-  
ბოდა, რომელსაც ლიმილი ზედ გამჭინოდა და დიდი კბილები  
დაელრეინა. შემწვრის სუნი ცხვრის ნესტოებს ულიტინებდა,  
ქალების ლაპარაკი ხშირი წვიმის შხაპუნად ესმოდა და თვალებ-  
ზედ სცელოდა: რაღაც გამოურკვეველი და დაჩლუნგებული  
ტკიფილი უშლიდა თვალების განძრევას და ზედ ნისლი ეკეროდა.  
როცა სკამზედ ჩამოჯდა, მხოლოდ მაშინ იგრძნო ილიამ მო-  
ქანცულობა, შენიშნა, რომ ფეხები სტეხავდნენ და შიმშილი

გულ-ლვიძლს ულრღნიდა. ერთმა სტუმართაგანმა თავი ვეღარ შეიკავა და სიცილი წასკდა, იმავე დროს ტატიანა ვლასოვნამ შენიშვნა:

— თქვენ არ გნებავთ მომილოცოთ, ჰა! — კარგია! მოვიდა, კრინტი არ დასძრა, დაჯდა და ჭამა დაიწყო...

მაგიდის ქვეშ ტატიანამ მძლავრათ წაპკრა ფეხი და თავი დაბლა დაჭხარა, თან ვიღასაც ჩაის უსხამდა. წყლის ჩხრიალთან ერთად ილიამ დიასახლისის ჩუმ ჩურჩულსაც მოპკრა ყური.

— რას შერები? ხეირიანად მოიქეც...

მაშინ კი ილიამ პურის ლუკმა მაგიდაზედ დასდო, ხელები მაგრა დაისრისა და ხმა მაღლა წარმოსთქვა.

— მთელი დღე სასამართლოში გავატარე...

ილიას ხმამ საერთო ხმაურობა დაჭვარა. სტუმრები გაჩუმდნენ. ლუნევს შერცხვა, როცა იგრძნო, რომ ამდენი თვალი იმას შესცემოდა, და შუბლის ქვეშიდან დაუწყო ყველას თვალიერება. ყველანი ეჭვის თვალით უცქეროდნენ, თითქოს არავის ჰქონდა იმედი, რომ ეს განიერ მხარ-ბეჭიანი და ხუჭუჭა თმიანი ახალგაზდა კაი რამის თქმას მოახერხებდა. აუტანელი და მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში. ილიას ფიქრთა ნაწყვეტნილა უტრიალებდნენ თავში — ისინი უკავშიროთ და უფერულად ებადებოდნენ, მაგრამ უცბათვე, თითქოს დედამიწამ პირი უყო და შთანთქაო, სამუდამოთ ჰქებოდნენ სულის წვდიადით მოცულ სილრმეში.

— ბევრჯერ კაი რამეს წააწყდები სასამართლოში, — ჩაურთო უგემურათ ფელიცატა გრიზლოვისამ, აილო სანუკვარით სავსე კოლოფი და რაღაცას ბეჭითი ძებნა დაუწყო.

ტატიანას ლოყები დაუკვერდა. კირიკმა ცხვირი მოიხოცა და მერე ილიას მიუბრუნდა:

— რა დაგემართა, ჩემო ძმაო? მუშტი კი მოიქნიე, მაგრამ არავის დაარტყი... მერე რომ სასამართლოში იყავ?..

„საწყლებს ვარცხვენ“, — გაიფიქრა ილიამ და უცბათ ღიმილმა დაჭვარა მისი სახე. სტუმრებმა კვლავ გააბეს ლაპა. რაკი.

— ერთხელ მეც დავვესწარ ერთ მკვლელობის გარჩევას,—  
დაიწყო ფერ-ძიხდილმა და შავ-თვალება მოხელემ.

— მე საშინლად მიყვარს მკვლელობაზედ ლაპარაკი, თუ  
წიგნების კითხვა! — შესძახა ტრავეინისამ. იმისმა ქმარმა ჯერ  
გადახედა ჰყველას და მერმე დასძინა:

— შესანიშნავი დაწესებულებაა ჩვენებური სასამართლო...

— ერთხელ ჩემი ამხანაგის ეგვენიევის საქმეს არჩევდნენ...  
თურმე ფულის ყუთის ყარაულობის დროს, ვიღაცის ყმაწვილს  
ეთამაშებოდა და შემოაკვდა კია...

— ოჲ, რა საშინელება! — შესძახა ტატიანა ვლასოვნამ.

— იქვე გაათავა თურმე! — რაღაც საოცარის სიამოვნე-  
ბით დაუმატა ტელეგრაფის მოხელემ.

— მე ერთხელ მოწმეთ ვიყავ დაბარებული, — დაიწყო  
ტრავეინმა თავისი გამხმარი, ჩახრინწიანებულის ხმით, — მეო-  
რეთ კიდევ ერთი კაცის საქმეს არჩევდნენ, რომელსაც ოცდა-  
სამი ქურდობა ბრალდებოდა! კარგია, არა, რას იტყვით მაგაზე?

კირიკმა ხმა-მაღლა გადიხარხარა. საზოგადოება ორ ნა-  
შილად გაიყო: ერთნი ტელეგრაფის მოხელეს უსმენდნენ მკვლე-  
ლობის ამბავს და მეორენი — ტრავეინს, რომელიც ისედაც მო-  
საწყენ ამბავს ღლოღნით უამბობდა საზოგადოებას. ილია ტა-  
ტიანას უყურებდა და ჰერმანობდა, რომ გულში ცეცხლი უჩნ-  
დებოდა და უღვივდებოდა, — ეს ცეცხლი ჯერ არაფერს უნა-  
თებდა, მაგრამ სულსა და გულს კი უდაგავდა. იმ წეტის შემ-  
დეგ, რაც მიხვდა ილია, რომ ავტონომოვებს ეშინიანთ სტუმრებ-  
თან არ შეგვარცხვინოსო, აზრები გაუნათლდნენ და თითქოს  
რიგში დაეწყვნენ.

ტატიანა ვლასოვნა მეორე ოთახში ჰეჭუსფუსებდა და  
ბოთლებით სავსე მაგიდაზედ რაღაცას აწყობდა. წითელი აბრე-  
შემის ხედა ტანი კედლის თეთრ აბოიზედ აშკარად მოსჩანდა,  
პატარა, კორსეტში შეზღუდული ქალი ჰეპელასავით დანავარ-  
დობდა ოთახში და სახეზედ კარგი დიასახლისის ამაყური  
გრძნობა უკრთოდა. ილიამ ორჯერ თუ სამჯერ შენიშნა, რომ  
ტატიანა მარჯვე და მოხერხებული ნიშნებით ილიას თავის-



თან უძახდა, მაგრამ ილია მაინც არ მიღიოდა და უხარისხდა კიდევ, როცა ჰქედავდა, რომ ეს უყურადღებობა ძლიერ სწყინდა და მოთმინებას ულევდა ტატიანას.

— რა ბუსავით გამოშტერებულხარ, ჩემი ძმაო? — უცბათ მიუბრუნდა ილიას კირიკი. — სთქვი რამე, რა დაგემართა?.. რისა გრტვენიან... ექ ყველანი განათლებულნი არიან და, თუ რამე წამოგცდა, გაპატიებენ...

— დღეს ერთ გოვოს ასამართლებდნენ, — უცბათ დაიწყო ილიამ, — ჩემ ნაცნობს... მართალია მოქეიფეთაგანია, მაგრამ მაინც კარგი ქალია...

ილიამ კვლავ მიიპყრო საერთო ყურადღება, ყველანი გაჩუმდნენ და თვალები ისევ ილიას მიუცეცეს. ფელიცა ტა ეგოროვნას დიდი ლრჯოლები სულ მთლად გამოუჩნდა, ისე გულიანათ ილრიკებოდა, ტელეგრაფის მოხელემ პირზე ხელი მიიფარა და ულვაშების გრეხსას მოჰყვა; თითქმის ყველა სცდილობდა ლიმილი დაეფარა და ისე ეჩვენებინა თავი, ვითომ გულმოდგინეთ ჭიშმენთ სტუმრის ლაპარაკსაო. ტატიანა ვლასოვნამ უცბათ დანა-ჩანგალი დაბნია, ამით გამოწვეული ხმაურობა სამხედრო მუსიკასავით შეესმა ილიას... მან დინჯათ მოავლო სტუმრებს განივრათ დაღებული თვალები და განაგრძო:

— რას ილიმებით? მათ შორის კარგებიც შოიპოვებიან ხოლმე...

— მოიძებნებიან კია, — გააწყვეტინა სიტყვა კირიკმა, — მაგრამ შენ... ძალიან გულახლილი ნუ იქნები, ჩემო ძმაო...

— თქვენ განათლებულნი ხართ, — ჩაურთო ილიამ სიტყვა, — თუ წამომცდა რამე, ნუ გამკიცხავთ...

ილიას გულში, თითქოს რაღაცამ იფეთქო, ნათელი ნაპერწკლები აენთნენ. ის გესლიანიდ ილიმებოდა და, ეტყობოდა, თვის გონებისგან წარმოშობილი სიტყვები სიამოვნებას ჰგვრიდნენ.

— ამ გოვოს ერთი ვაჭრისთვის ფული მოეპარა...

— უფრო უარესი, — შესძახა კირიკმა, მასხრულად დაიღ-  
რიჯა და თავი გააქნია ნაღვლიანად.

— თქვენ მიხვდებით, რასაკვირველია, სად მოიპირა და საჩუქრად მი-  
იღო... .

— ტასიკო! — დაუძახა კირიკმა თავის ცოლს. — შემოიხე-  
დე ერთი, ილია ისეთ ანეგდოტებს გვიამბობს, რომ...

მაგრამ ტატიანა ვლასოვნა უკვე გვერდით ამოსდგომოდა  
ილიას და ძალა-დატანებულის ლიმილით და მხრების შეშ-  
მუშვნით ეუბნებოდა კირიკს:

— რა მოხდა? რა იყო? ეს ყველა შეტად ჩვეულებრივი  
ამბავია... შენ თითონ რამდენი იცი ამისთანა ამბავი... გასა-  
თხოვარი ქალები აქ არ არიან და არაფერი... რა სირცხვილია?  
მაგრამ ამაზედ მეტე ვილაბარაკოთ... სანამ კი აბა მობრძანდით,  
ცოტას შევნაყრდეთ!

— გთხოვთ! — შეპყვირა კირიკმა. — მეც თქვენთან ერთად  
შევნაყრდები, ხე, ხე!

ილიას ყველამ ზურგი შეაქცია. აქ კი ცხადათ მიხვდა  
ლუნევი, რომ სტუმრებს მისი ყურის-გდება არ უნდოდათ და  
არ უნდოდათ იმიტომ, რომ მასპინძლებს არა სურდათ. ამ  
აზრმა ზომ უფრო შეტად ააღლოვა და გააშმაგა ილია. წამოდ-  
გა სკამიდან და ყველას მიუბრუნდა:

— და ასამართლებენ ამ გოგოს ისეთი პირნი, რომელნიც  
იქნებ გუშინვე სარგებლობდნენ მითი... ზოგიერთ მათგანს კი  
მეც ვიცნობ.. ქურდზედ ქურდები და გაიძვერებიც რომ დაუ-  
ძახო, ისიც ცოტაა იმათთვის...

— მოითმინეთ! — სასტრიკად დაიწყო ტრავკინმა და თითი  
მაღლა შეიშვირა. — ეგრე არ იქნება ლაპარაკი! სასამართლო-  
ში ნაფიცი მსაჯულნი სხედან და მეც...

— სწორედ იმ ნაფიც მსაჯულებზედ მოგახსენებთ! — შეს-  
ძახა ილიამ — მე გეკითხებით, განა შეუძლიანთ იმათ, რომ სა-  
მართლიანნი იყვნენ, როცა...

— მოითმინეთ, მოითმინეთ! ნაფიცი მსაჯულნი, ასე რომ ვსთქვათ, დიდი რეფორმაა, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ შემოიღო! თქვენ როგორ შეგიძლიანთ სახელმწიფო დაწესებულების ეგრეთი გაკიცხა?

ტრავკინი ჰქონიავდა, მსუქანი ლოყები უთროთოდნენ და თვალებს კამებისავით ატრიალებდა. სტუმრები ორთავე მოქიშ-პეს შემოეხვინენ და მოუთმენლად ელოდნენ საქმის გამწვავებას, რის მოლოდინიც თითქმის ცყველასა ჰქონდა. ფელიცატა ეგოროვნა მედიდურად, ზეიდან დაჭყურებდა დიასახლისს და ტატიანა კი გადაფითრებული და ალელვებული ხან ერთ სტუმარს მიჰმართავდა, ხან მეორეს:

— ოჟ, დაანებეთ მაგ ლაპარაკს თავი! ლმერთმანი, მე ვერაფერ საინტერესოს ვერა ვხედავ მაგ საგანში! კირიკ, გააგონერამე...

მაგრამ კირიკი სულ მთლად დაიბნა და ველარა მოეხერხებინა — რა, მხოლოდ ეხვეწებოდა სტუმრებს:

— მობრძანდით, თუ ღმერთი გწამთ! ეშმაქმა წაიღოს ცყველა ეგ რეფორმები, პროფორმები და მთელი თქვენი ფილოსოფია.

— ეს ფილოსოფია კი არა პო...ლი...ტი...კა გახლავთ, დიალ! — ქრიტინებდა ტრავკინი, — და იმ ხალხს, ვინც ამ გვარად მსჯელობს, პოლიტიკურ დამნაშავეს ეძახიან, დიალ!..

ილიას ბუნება რაღაც გამოუჩკვეველმა ქარიშხალმა მოიცა. ძალიან მოსწონდა, რომ მის წინ ეს მსუქანი კაცუნა ბრაზობდა და იდორბლებოდა. ის აზრი, რომ აეტონმოვები შერცხვნენ სტუმრების წინაშე, ახარებდა ილიას და აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა. თითონ, რაც ხანი და უამ გადიოდა, უფრო მშვიდებოდა და ამ ხალხის წინააღმდეგობის, ბათი წყენისა და შეურაცხების სურვილი დახვეულ ფოლადსავით იშლებოდა მის სულსა და გულში და სასიამოვნო სანეტარო სიმაღლემდის მიჰყავდა. ილია თან-და-თან მშვიდებოდა და მისი ხმა უფრო და უფრო მკაფიოდ გაისმოდა.

— რაც გინდათ მიწოდეთ. თქვენ განათლებული კაცი ხართ, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი. განა მაძლარი მშეერის ტანჯვას მიხვდება?.. ვსოდეთ მშეერი ქურდია, მაგრამ მაძლარიც რომ ასეთივეა!..

— კირიკ ნიკოლიშვილი? — წითერან ტალა მოთშინებიდან გამოსულმა ტრავკინმა,— მე... ეს რა ამბავია? ეს... .

მაგრამ ამ დროს ტატიანამ ხელი გააწოდა, სწვდა გაწიწ-მატებულ კაცუნას მკლავში, მეორე ოთახში გაიყვანა და თან ხმა მალლა ეუბნებოდა:

— თქვენი საყვარელი საჭმელები, — ლიფსიტა თევზი, მაგრათ მოხარული კვერცხი და მწარე თალიში ხახვი ახალ კარაქში ჩაფხეკილი...

— დიალ! ეგ მესმის! — შესძახა ტრავკინმა და ტუჩებიგაა - ჭკლაბუნა. მისმა მეუღლემ ზიზღით გადახედა ილიას, ქმარს მეორე მკლავში ჩავლო ხელი და ალერსინად უთხრა:

— უბრალო რამეებისთვის როდი უნდა აღელდე, ან ტონ!..

ტატიანა ვლასოვნა სულილობდა ძვირფასი სტუმარი და უშმინებინა.

— ტარალანა მწნილად ჩადებული, პომიდორით...

— ეგ კარგი არ გახლავთ, ყმაწვილო! — უცბათ მიუბრუნდა ილიას ტრავკინი, ფეხები მაგრა მიაბჯინა იატყას და დიდსულოვნად განაგრძო. — უნდა იკოდეთ დაფასება... უნდა გესმოდეთ, დიალ!

— მე არ მესმის! — შესძახა ილიამ. — სწორედ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ არ მესმის... ცხოვრებას პეტრუშკა ფილი-მონოვი რად უნდა ჰპატრონობდეს?

სტუმრებმა ისე ფთხილათ გაუარეს ილიას, რომ სრულებით არც კი შეჰქებიან. მხოლოდ კირიკი მიუხლოვდა და მოუხეშავის ხმით გესლიანათ უთხრა:

— ეშმაქმა წაგილოს, რეგვენი ყოფილხარ სწორედ.

ილია შეკრთა და, თითქოს თავში ჩაარტყეს რამეო, თვალთ დაუბნელდა. პირველ წუთს ვერა მოისაზრა-რა, თორემ წუთის შემდეგ-კი მუშტებ მოკუმშული ავტონომოვისკენ მიიწევდა,



მაგრამ კირიკი მალე გაბრუნდა და ვერც კი შენიშნა მოპირ-დაპირეს მოძრაობა. ილია შეჩერდა და მძიმეთ ამოიოხრა...

ლუნევი კარებში გაჩერდა, შეჰყურებდა სტუმრების ზურ-გებს და იმათ ცოხნას ყურს უგდებდა. დიასახლისის ალის-ფერი ზედა-ტანი ილიას თვალში ყველაფერს წითლად ჰქებავ-და და თვალებზედ ბურუსს აკრავდა.

— ჰმ... — ზეუკუნებდა ტრავკინი — რა მშვენიერი რამ არის, რა გემრიელია, საკირველია სწორედ...

— პილპილი ხომ არა გნებავთ? — ალერსიანის ხმით დაე-კითხა დიასახლისი.

— მე შენ გაჩვენებ პილპილსა! — გადასწყვიტა გულში ლუნევმა. ფოლადის დაგრეხილი მავთური სულ მთლად გაი-შალა ილიას გულში. თავ აწეული ამაყათ მიუახლოვდა მავი-დას, ვიღაცის ჭიქას მოავლო ხელი, ტატიანა ვლასოვნას გაუ-წოდა და გარკვევით, თითქოს სიტყვებით ჩაქოლვას უპირებ-სო, მიჰმართა:

— აბა დავლიოთ, ტასიკო!..

ამ სიტყვებმა საოცრი გავლენა იქონიეს ყველაზედ, თით-ქოს რაღაც გასკდა და ყველგან სინათლე გაწყდა. ყველა სიბნელემ მოიცვა და ყველა თავ-თავისს ადგილს გაქვავდა. ღია პირები შიგ გაჩირული ლუქმებით მათ განცვიფრებულ სახეზედ დაიარავებულ ჭრილობას მოაგონებდა აღამიანს.

— დავლიოთ რაღა! კირიკ ნიკოლიმიჩი, უთხარი ჩემ სა-ყვარელს ღვინო დალიოს. რისა ერიდება? ჩუმათ მრუშობას, არა სჯობიან ახდილათ ვიმრუშოთ! აგერ მე გადავწყვიტე, რომ აღარ დაფურო...

— უსინდისო! — მკვახე ხმით შესძახა ქალმა.

ილიამ დროზე შენიშნა ქალის მოქნეული ხელი და ნას-როლი მათლაფა მუშტით აიცდინა. გატეხილ ჭურჭლის ხმაშ უფრო მეტათ დააყრუა სტუმრები. ყველანი ნელ-ნელა ჩა-მოშორდნენ და სცდილობდნენ ილია ავტონომოვებთან პი-რის პირ დაეტოვებინათ. კირიკს რაღაც თევზი ეჭირა ბოლო-თი და გარინდებული თვალებს ძლივს-ლა ახამხამებდა. ტატია-

ნა ვლასოვნა ცახცახებდა და მუშტებს უდერებდა ილიას. გაბ-  
რაზებულს სახეც ზედა ტანისავით გასწითლდებოდა და პირში  
ენას ვეღარ იბრუნებდა:

— შენ, შენ... მიჰქარავ... სტყუი... — სისინებდა ქალი  
და ილიასკენ იწევდა.

— გინდა გითხრა, ტიტველი ტანი როგორი გაქვს? — დინ-  
ჯათ ეკითხებოდა ილია. — შენ თითონ არ მაჩვენე შენი ნიშ-  
ნები და ხალები. მე ვიტყვი და შენმა ქმარმა გადასწყვიტოს,  
მართალს ვამბობ თუ ვსტყუი...

ვიღაცის შეკავებული სიცილი გაისმა. აფტონომოვისამ  
ხელები თავში წაივლო და უხმოთ სკამზედ დაეჭვა.

— პოლიციას დაუძახეთ, პოლიციას! — შესძახა ტელეგრა-  
ფის მოხელემ. კირიკმა მიხედა მოხელეს და ხარსავით თავ-და-  
ღუნულმა ილიასკენ გასწია.

ილიამ ხელის კერით ჩამოიშორა ამხელრებული კირიკი  
და სასტიკათ დაუყვირა:

— სად? ერთს დაგარტყამ და სამუდამოთ კისერს მოვ-  
ტებ... ცოტა ჭიუა მოიკრიფე... თქვენც არ გაწყენთ ყური  
დამიგდოთ... მართალს ხომ სხვაგან ვერსად გაიგონებთ.

მაგრამ კირიკმა კვლავ იპოვნა თავისუფლი წუთი და  
კვლავ გასწია ილიასკენ. სტუმრები ხმა გაკმენდილნი შეჭყუ-  
რებდნენ. ფეხი არავინ მოიცვალა, მხოლოდ ტრავკინი გაბ-  
რუნდა ფეხის თითებზედ, იქვე კუნკულში მდგარ სავარძელში  
ჩაჯდა, ხელები ლაჯებში ჩაიწყო და სული გატრუნა.

— ფრთხილად, თორემ დაგარტყამ! — აფრთხილებდა ილ-  
ია. — მე შენი წყენა არ მინდა. ტუტუცი ხარ... უწყინარი...  
შენგან მე ცუდი არაფერი მინახავს.. მომშორდი.

ამ სიტყვებთან ერთად კიდევა ჰქონდა ხელი, თითონ კე-  
დელს ამოეტუზა და განაგრძო:

— შენი ცოლი თითონ გადამექიდა. აი, ეგ კი ჭკვიანია...  
მაგაზედ გაფუჭებული და გარყვნილი ქალი მე სხვა აღარ ვე-  
გულება! — მაგრამ არც თქვენა ხართ შორს წასულნი. მე სამს-  
ჯავროში ვიყავ და ვისწავლე როგორ უნდა გასამართლება...

ილიას იმდენი რამის თქმა უნდოდა, რომ აზრები, ვერდები მოყვინა რიგში და რაც პირიელი მოადგებოდა პირზე იმას იძახოდა.

— მე ტანკას ხომ არ ვამტკუნებ... ეს თავის თავათ მოხდა... მე ეგრეთი ბედი მაქვს, ყველაფერი თავის-თავად მომიხდება ხოლმე... მე კაციც-კი უსაბუთოდ დავახრჩე... აზრათაც არა მქონდა იმის მოკვლა. ტანკა! მე და შენ ი მოკლული კაცის ფულითა ვვაჭრობთ ეხლა...

— გაგიუებულა, გაგიუებულა! — შესძახა გახარებულმა კირიკა, მერე ბავშვსავით დაბროწიალდა ოთახში და ხან ვის მიმართავდა, ხან ვის.

— ხედავთ? გესმით, ჰკუაზედ შემცდარა!.. ოხ, საბრალო ილია!.. მენანები, მე და ჩემმა ღმერტვა.

ილიაშ ხმა მაღლა გადიხარხარა. მკვლელობაში გამოტეხამ შელავათი მისცა და, თითქოს რაღაც მოეშვა გულიდანო, თავისუფლად ამოისუნთქა.. მაგრამ თავს კი მაინც არა ჩვეულებრივად გრძნობდა. ფეხ ქვეშ ნიადაგი არ ეგულებოდა და ეგონა ზეცისკენ მიფრინავო.. განიერ მხარ-ბეჭიანმა და მოყვანილმა ილიამ, გული წინ გადმოიგდო და თავი ამაყათ უკან გადიწია, ხუჭუჭა თმა ფერწასულ მაღალ შუბლზედ მშვენივრად ჩამოშლოდა და თვალები ბოროტად და გესლიანად უელავდნენ.

ტატიანა წამოდგა, ფართატით ფელიცატა ეგოროვნას მიუხალოვდა და აცახცახებულ ის ხმით ეუბნებოდა.

— მე დიდი ხანია ვამჩნევდი .. მაგისი მხეცური თვალები და საშინელი სახე ზარსა მცემდა ხოლმე უწინაც.

— თუ ჰკუაზედ შეიშალა, პოლიციას უეპველად უნდა დაუძახოთ,—დაბეჯითებით ამბობდა ფელიცატა ეგორავნა და თან კრძალვით შეჰკურებდა ლუნევს სახეში.

— შეიშალა! — ჰკეიროდა კირიკი.

— აქ არა გვიყოს რა და ... — წაიჩურჩულა გრიზლოვანი შიშით მიხედ მოხედა. სტუმრებს კარში გასვლისაც ეშინოდა.

ლუნევი კარგბთან იყო გაჩერებული და კარში მიმავალს უქმდებოდა იმის გვერდით უნდა გაევლო. ილია ჩუმათ იცინოდა. მას მეტად ესიამოვნებოდა, რომ ასე ეშინოდათ მისი. ცოტა დაკვირვების შემდეგ მან ცხადათ დაინახა, რომ მასპინძლები არა თუ არ ესიამოვნებოდათ სტუმრებს, პირიქით, სიამოვნებით ისმენდნენ ტატიანას გაკიცხვას და გათენებამდის დარჩებოდნენ, რომ ილიასი არა ჰშინებოდათ.

— სცდებით, მე სრულს ჭკუაზედ გახლავართ, — დაიწყო ილიამ და შეტბლი კოპებათ შეიქრა, — მაგრამ დამაცადეთ პატარა. არსად გაგიშვებთ სულ ერთია... თუ ძალით მოინდომებთ გასვლას, და არ დაგინდობთ, გცემთ... მე ღონიერი ვარ და შემომაკვდებით ვინშე.

აქ მარჯვენა ხელი ასწია ილიამ და ყველას მუშტი მოუღერა.

— ერთი მითხარით, რა ხალხი ხართ? რისთვისა სცხოვრობთ? მაწანწალა... ძალებით...

— შენ, ეი! — დაუყვირა კირიკმა. — ხმა ჩაიწყვიტე!

— შენ თითონ ჩაიწყვიტე ხმა! მე ბევრი სათქმელი მაქს... იი, გიყურებთ, სცეცხლავთ, სკდებით, ერთმანეთს ატყუილებთ... არავინ გიყვართ... რა გინდათ, რას ესწრაფებით? მე პატიოსან სუფთა ცხოვერებას ვექებდი, მაგრამ ვერსადა ვპოვე! ძებნაში მე თითონ გავფუჭდი... პატიოსან კაცს თქვენთან არ ეცხოვრება, რადგან სულ მთლად დაალპობთ და აყროლებთ მალე. გაჩნდება თუ არა თქვენში კაი ადამიანი, თქვენ ჩააქვავებთ, სიცოცხლეს გაუმწარებთ და გაათახსირებთ... აი მე სუსტი არა ვარ, მაგრამ მეც გამიშხილეთ სიცოცხლე, ჩამიგდეთ ხელში, როგორც სუსტ კატას ვირთავები ჩაიგდებენ ხოლმე... თქვენ ყველგან და ყველაფერს ასწრობთ... კიდეც ასამართლებთ, კანონებს ადგენთ და კიდეცა სჯით... მაგრამ მაინც გველები ხართ, საზიზლრებო... მეც ხომ შემჭამეთ და დამალპეთ!..

ამ სიტყვებზედ უცბათ დაღონდა ილია.

— მერე, მერე რაღას ვიზამ? — უცბათ გაუელვა ილიას თავში, ჩალუნა თავი და დაჰუკრდა.

ამ დროს ტელეგრაფის მოხელემ ისკუპა, წელში ცხრათ მოკაკულმა გვერდით გაურბინა ილიას და კარში გავარდა.

— აფსუს, ერთი გამექცა! — წარმოსთქვა სინანულით ილიამ.

— მე პოლიციას მოვიყვან! — დაიყვირა კარში გავარდნილმა ტელეგრაფის მოხელემ.

— დაუძახ! ჩემთვის სულ ერთია... — მიუგო ილიამ.

გვერდზედ ტატიანა ვლასოვნამაც გაუარა. ფერწასული და გაფიორებული დიასახლისი მთვრალსავით მიფარფატებდა.

— მოვკალ! — განაგრძო ლუნევმა და თავით მიმავალ ტატიანაზედ ანიშნა. — ლირისი კი იყო, ნუ გეშინიანთ... საზიზლარი ქვემძროშია...

— ხმა! — დაუყვირა კუნჭულიდან ავტონომოვმა. მას კუნჭულში, სკივრის წინ დაეჩიქნა და რაღაცას ეძებდა.

— ნუ ლრიალებ, ტუტუცო! — მიუგო ილიამ და გულზელ დაკრეფილი სკამზედ ჩამოჯდა. — რა გაყვირებს? რამდენი ხანია კავშირი მაქს შენ ცოლთან და მე მასწავლი, როგორიც არის? კაციც მე მოვკალ... პოლუეკტოვი... გახსოვს ერთხელ და ორჯერ არ ჩამომიგდია პოლუეკტოვზედ ლაპარაკი? ეგ იმიტომ, რომ მე დავახრჩე... ღმერთმანი! მერე იმისი ფულით გავხსენი ეს მაღაზია...

ილიამ ოთახი მიათვალ - მოათვალიერა. შეშინებული და თავზარდაცემული სტუმრები კედლებს ამოსტუზოდნენ და კრძალვით შეჰვერებდნენ ილიას. ილია ჰედავდა, რომ ლაპარაკმა მოჰქმდა და გულში გულგრილობის სიფუჭე გაუჩინა. ამ სიფუჭეში შემოდგომის შერალ მთვარესავით გამოსჭივაოდა კოთვა:

— მერე, მერე რაღა იქნება?

თავისს ნალაპარაკეც რომ დაუკვირდა ილია, განაგრძო:

— თქვენა გვონიათ, ვტყდები თქვენ წინაშე და ჩემ შეცოდებას ვინანიებ? დიალ, იმედი გქონდეთ! მე დაგცინით!

ქალებმა შეჰვერებულეს. კუნჭულის სავარძელში მჯდარმა ტრავკინმა ფეხების ბარტყუნი დაიწყო და აქრიტინდა:

— ბატონებო! მე მეტი აღარ შემიძლიან! გამანთავისუფლეთ... ეს თქვენი ოჯახის საქმე ყოფილა... მე რა შუაში ვაჩ?..

მაგრამ ავტონომოვს ტრავკინის ხმა არ გაუგონია, ის დახტოდა ილიას წინ, რევოლუციერსა სჩრიდა ცხვირ-პირში და ლრიალებდა:

— დაგვაცა, კატორლას არ აგაცდენთ, კატორლას!..

— ეგ შენი რევოლუციერი უსათუოდ გაუტენავი იქნება?— დაეკითხა გულგრილად ილია— რა გაგიუებს, რამ გაგაცოფიანა? მე არ მივდივარ... ინ სად წამესვლება?.. კატორლით მაშინებ? რავჭნა, კატორლა იყოს, რა!..

— ანტონ, ანტონ!— ისმოდა ხმა მაღალი ჩურჩულით ტრავკინის ცოლისა,— წამო, არ გესმის?..

— არ შემიძლიან, ჩემი კარგო... .

ცოლმა მეუღლეს მკლავში ჩაავლო ხელი და თაეჩალუნულებმა გვერდით გაუარეს ილიას. მეზობელ ოთახში ტატო-ანა ქვითინებდა.

ილიას გულში კი ისევ იზრდებოდა რაღაც ცავი და დაუნდობელი გრძნობა.

— აპა მთლად ჩემი სიცოცხლეც შესწყდა! — ამბობდა დაბალის ხმით ილია.— და არც არა მენანება რა... ვინ იყო, ვინ დამისხვრია სიცოცხლე?

ავტონომოვი იდგა ილიას წინ და ძლევა-მოსილი, მხია-რული გაჟყიოდა.

— ვერ შემაბრალებ თავსა, ვერა!

— მე არც მინდა... ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავიცა და კისერიც. თქვენ მხოლოდ შაურიანი შეგიძლიანთ დაინანოთ, როცა ჯიბეს აგიცდებათ. აღამიანი რად გინდათ?.. მეც უფრო ადვილად ძალას შევიბრალებდი, ვიდრე თქვენ... მე ძალიან ვნანობ, რომ ხალხთანა ვსცხოვრობდი და არა ძალებთან... რა ამბავია, რატომ არ მოდის თქვენი პოლიცია? მომწყინდა... კირიკ, შენ გირჩევნია მოშორდე, ხომ ხედავ ქირსავით მეზიზები.

ილიას მართლა ეზიზლებოდა კირიკის ცქერა.

სტუმრები თითო თითოთ გაძვრნენ ოთახებიდან. ილია ჰედავდა, რომ გვერდით რაღაც ლეგა ლაქები მისცურავდნენ, მაგრამ არც ფიქრს და არც რამე გრძნობას ისინი ვერ ულვა-ძებლენენ გულში: სული თან და თან უცარიელდებოდა და სიცივეს უთმობდა ადგილს. ილია ცოტა ხანს გაჩუმებული იჯდა, კირიკის ხმას უკვირდებოდა და მერე უცბათ, მოულოდ-ნელად მიშმართა კირიკს.

— მოდი, კირიკ, ვიქიდაოთ?

— შენ ტყვია გინდა შუბლში, ჭიდაობა კი არა! — შეჭლ-რიალა კირიკმა.

— შე უბდურო, რომ არც კი გაქვს ტყვია! — დაცინ-ვის კილოთი მიუგო ილიამ და გრძნობით დაუმატა.

— რა რახვას გაგადენდი!..

ამ სიტყვების შემდეგ კი ილიას ოლარა უთქვამს-რა, მხო-ლოდ იჯდა უნძრევლივ და არაფრის მოლოდინი არ აწუხებდა.

ბოლოს უბნის ზედამხედველი მოვიდა ორის გორილო ვითო. ლუნევი შეკრთა, პოლიცია რომ დაინახა, და ფეხზე წამოხტა.

პოლიციელებს უკან ტატიანა ვლასოვნა შემოჰყა, ხელი გაუწოდა ილიასკენ და ენა დაბმით ძლიერ წარმოსთქვა:

— იი, ეხლა გამოტყდა... ვაჭარი პოლუეკტოვი მე მოვ-კალიო... გახსოვთ, ამას წინათ რომ დააღრჩეს?..

— შეგიძლიანთ გაიმეოროთ თქვენი ნათქვამი? — ფიცხლავ დაეკითხა უბნის ზედამხედველი.

— რატომ? შემიძლიან გავიმეორო... — მშვიდათ და მო-ქანცულად მიუგო ილიამ — მშვიდობით, ტასიკო... ნუ შესწუხ-დები... ნუ გეშინიან... მაგრამ ეშმაქმა წილოს თქვენი თავი და კისერი, რაში მეციონებით?..

ზედამხედველი მაგიდას მოუჯდა და რაღაცის წერა და-იწყო. გორილოვები მხრებში ამოუდგნენ ილიას; ლუნევმა თავის მეზობლებს გადახედა, ღრმათ ამოიოხრა და თავ ჩაქინ-დრული დადუმდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ კალ-



მის ფხაკუნი და იმოდა და ქუჩაში ღამის წყვდიადი შაგ კედ-ლებს აშენებდა. ერთ ფანჯარისთან კირიკი გაჩერებულიყო და ქუჩაში იყურებოდა; მან უცბათ რევოლვერი კუნძულში გა-დააგდო და ზედამხედველს მიუბრუნდა:

— საველიევო! ერთი-ორი წაარტყი კისერში და გაან-თავისუფლე, ვერა ჰქედავ გიურა?

პოლიციის ზედამხედველმა შეხედა კირიკს, ცოტა ხანს ჩატვირდა და მიუგო.

— მწ... ალარ შეიძლება... იმისთანა საქმეში გამოტყდა, რომ ჩემი საქმე არ არის... ბოქაულის თანაშემწერმ იცის. .

— ეჭ... ამოიხსრა ავტონომოვმა.

— გულ კეთილი ხარ, კირიკ ნიკადიმიჩ! — უთხრა ილიაშ თავის ქნევით. — ძალებიც ეგრეთნი არიან. იმათა სცემენ და ისინი კი ელაქუცებიან და ალერსით კუდს აქნევენ კიდევ... მაგრამ იქნება მე კი არ გებრალები, იმისი გეშინინ, რომ სასამართლოში შენ ცოლზედ არა ვილაპარაკო-რა? ნუ გეში-ნიან... ეს არ მოხდება! მე იმაზედ ფიქრიც კი მეზარება და მეზიზლება, არამც თუ ლაპარაკი.

ავტონომოვი ჩქარის ნაბიჯით გავიდა მეორე ოთახში და რახუნით ჩაჯდა სავარძელში.

— ი, ბატონო, — დაიწყო უბნის ზედამხედველმა, — შეგი-ძლიანთ ამ ქაღალდს ხელი მოაწეროთ?

— შემიძლიან...

ილიამ კალამს მოავლო ხელი და ქაღალდის წაუკითხავად დიდი, ვეებერთელი ასოებით გამოიყვანა: „ილია ლუნევი“. როცა გაათავა და თავი მაღლია ასწია, შეამჩნია, რომ უბნის ზედამხედველი გაკვირვებით უცქერდა. რამდენიმე წუთს პო-ლიციელი და ილია გაჩუმებულნი ერთი მეორეს შეჰყურებდ-ნენ, — ერთი ცნობის მოყვარეობით და რიღაცით კმაყოფილი და მეორე კი — გულგრილი და დამშევიდებული.

— რა, გაწუხებს სინიდისი? — ნახევარის ხმით დაეკითხა უბნის ზედამხედველი.

— სინიდისი არ არსებობს, — გადაწყვეტით მიუგო ილიამ.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მეორე ოთახიდან ისევ გაისმა კირიკის ხმა:

— ვერა ჰელავ გაგიქდა?..

— წავიდეთ! — მიჭმართა მხრების მაღლა შეშმუშვნით უპნის ზედამხედველმა. — ხელებს არ გაგიბორკავთ... მხოლოდ იცოდეთ კი... არ უნდა გაიქცეთ .. პოლიციის ნაწილი აქვეა, მთის ძირში.

— სად უნდა გავიქცე? — მოკლეთ დაეკითხა ილია.

— რა მოგახსენოთ... დაიფიცეთ, რომ არ გაიქცევით... აბა, ღმერთმანი?

ლუნევმა შეხედა ზედამხედველის დანაოჭებულ და კეთილ სახეს და პირქუშად მიუგო:

— მე ღმერთი არა მწამს...

ზედამხედველმა ხელი ჩაიქნია.

— აბა, დაიდრათ, მეგბო!..

როცა ღამის წყვდიაღმა და სინესტემ შაგრად ჩაიკრეს ლუნევი გულში, მან ღრმად ამოიხსრა, შეჩერდა და ჩამობნელებულ, დედამიწისკენ ჩამოშვებულ ზეცას შეხედა.

— გაიარეთ! — მიუბრუნდა პოლიციამდე.

ილია დაიძრა... ქუჩების ორთავე მხარეს დიდ კლდეებ-საფით სახლები ამართულიყვნენ, ფეხებ ქვეშ წუმპე რაღაც საოცრად ხმაურობდა და გზა თავდაღმა მიღიოდა, სადაც ღამის წყვდიაღი უფრო ორკეულებოდა... ილიამ რაღასაც წამოჰკრა ფეხი და კინაღამ წაიქცა. გულის სიღრმეში კვლავ გაიგონა ილიამ:

„მერმე, მერმე რაღა იქნება?“...

და თითქმის იმ წუთსვე თვალ წინ სამსჯავროს სურათი წარმოუდგა, — გრომოვის ალერსიანი ხმა, პეტრუხას გაჭარხლებული ცხვირ-პირი...

ქვაზედ დაცემით ილიას ხელები ეტკინა. ყურში შავგერებანი კაცუნას ხმა ესმოდა მაძღარ ხალხის შესახებ:

— შშვენივრად ესმით და კიდეც იმიტომ არიან სასტიკნი...

მერე გრომოვის ხავერდსავით ლბილი ხმა მოაგონდა:

— სცნობთ თუ არა თქვენ თავს დამნაშავედ...

ბრალმდებელი კი ავიანურებდა:

— ერთი ეს გვითხარით, ბრალდებულო...

პეტრუხას გაჭარხლებული სახე იღეჭებოდა და სქელი ტუჩები უცმაცუნებდნენ...

ლუნევმა კაჭლობა დაიწყო და ნაბიჯს მოუკლო...

— გაიარე, გაიარე! — სასტიკად უჯავრდებოდა პოლი-  
ციელი.

სიტყვით გამოუთქმელი, გახურებულ რკინასაფით ცხელი  
და ბასრ დანასავით მჭრელი სევდა გულ-ლვიძლში ჩაეჭრა ილიას  
და მოსვენებას აღარ აძლევდა.

უცბად წინ გადახტა და საშინელის სისწრაფით თავ-დალმა  
დაეშვა. ყურში ჰაერის სტვენა-სისინი ესმოდა, სისწრაფით სული  
ეკვრიდა და ხელების ქნევით წყვდიადში ითლობოდა უაზ-  
როთ. ილიას ზურგს უკან პოლიციელთა ტლანქი ფეხების ხმა  
და წკრიალა სტვენა ისმოდა და ბოხი ხმა ლამის სიჩუმეს არ-  
ღვევდა.

— დაიჭი!

ილიას ორგვლივ ყველაფერი — სახლები, ქუჩის ქვაფენი-  
ლი თუ ზეცა — შეინძრნენ, ხტუნვა დაიწყეს და მაზედ იერიში  
მიიტანეს. ილია არღვევდა წყვდიადს და იმ სურვილით გატა-  
ცებული, რომ პეტრუხა აღარ დაენახა, დაღალვასაც კი აღარა  
ჰგრძნობდა. ილიას წინ უცბად რაღაცა დიდი საგანი აიმართა  
და შიშის ზარი დასცა. ამ საგნის დანახვაზე მოაგონდა ილიას,  
რომ ეს ქუჩა უცბად მარჯვნივ უხვევდა და პირდაპირ კი დი-  
დი სახლით თავდებოდა. მარჯვნივ დიდი ქუჩაა, იქ მაღე და-  
მიჭერენო... — გაუელვა ილიას თავში.

— ეჭ, გასწი, სულო! — შესძახა ილიამ რაც ძალი და ღონე  
ჰქონდა, წალუნა თავი და უფრო მეტის სისწრაფით გასწია  
წინ... წინ ცივი ქვის კედელი აღემართა. უცბად კედელზედ  
შესხმული წყლის ხმა გაისმა ჰაერში და უცბათვე მისწყდა...

მერე ორი რაღაც ეცა კიდევ კედელს. ისინი კედლის  
ძირში გაშელართულ მესამე საგანს დაეცნენ, მაგრამ მაღე წა-

მოდგნენ და წელში გაიშალნენ... ზეიდან კიდევ ვიღაცები მორბოდნენ, ჰაერში მათი ფეხის ხმა, ყვირილი და სტვენა ისმოდა...

— რა, დაიჩეხა? — მძიმე ქშინვით დაეკითხა ვიღაცას ერთი პოლიციელი.

მეორემ წუმწუმა აანთო და იქვე მიწაზედ ჩაჯდა. ფეხებთან ვიღაცის ხელი მოსჩანდა მუშტათ მოკუმშული, რომელსაც თითები ნელ-ნელა ეხსნებოდნენ.


— მგონი მთლიად გახეთქია... თავი...

— უყურე... ტვინი...

ღამის წყვდიადიდან ვიღაცა კაცები გამოდიოდნენ...

— წყეული... — ჩუმად წაილაპარაკა ფეხზედ მდგომშა პოლიციელმა. მისი ამხანაგი წამოდგა ფეხზედ, ჰირჯვარი გადისახა და ქშენით ძლივს წარმოსთქვა:

— განუსვენე, შენ უფალო... რაც უნდა იყვეს... ადამიანი იყო...



# შოთა რუსთველი

და

## მისი პრეზა

„შენ ჩიშნად უკვდავებისა  
ერს მოვლენილხარ განგებით,  
ვით ცისარტყელი წარლენისა  
უცნაურისა ჰანგებით“...

© ფ. კ. მ.

1

მსოფლიო გენიოსები პოეზიის სფეროში არაა ჩშირი მოვ-  
ლენა; ისტორია არ არის უხევი ამ გვარ პოეტებით. ყველა  
კულტურულ ერს როდი ჰქონებია ხვედრათ შეეძინა ქვეყნის-  
თვის ამ გვარი ადამიანი. და თუ რომელიმე ყოფილა ბედნიე-  
რი ამისთანა შვილით, ის მაშინვე გამხდარა საქვეყნო კუთვნი-  
ლებათ და შესწავლის საგნად. ამ გვარ მსოფლიო გენიოსად  
შეგვიძლია დაგისახელოთ რამდენიმე მგოსანი, მაგალითად, ჰო-  
მერი, დანტე, შექსპირი, გიორგ და სხვ. აი, სწორედ ამ გე-  
ნიოსთა ნაწერებს თარგმნიან ყველა ენგბზე, მათთვისაა დაარ-  
სებული მთელი წრეები და საზოგადოებანი, მათ ირკვევენ  
კრიტიკულად, მათ სწირავენ ტომებს და ჰქმნიან ვრცელ ლი-  
ტერატურას.

საქართველომაც შექმნა წინად ამ გვარი დიადი გენიოსი,  
ესა შოთა რუსთველი. მაგრამ ამის ხვედრი არ წააგავს და-  
ნარჩენ გენიოსთა სვებედს. თუმც შოთა წარმოშობა უზენაე-  
სათ ამაღლებულმა საქართველოს სულმა, თუმც იგი შეიქმნა

თამარის გვირგვინის საუკეთესო ბრილიანტათ, მაგრამ შევმა ბურუსმა მალე მოიცავ საქართველოს პოლიტიკის ცის გუმბათი, მალე დაბნელდა ერის დიდების ბრწყინვალე მზე. საშუალო აზის ბარბაროსთა საშინელმა გრიგალმა ულმოთ დაუწყო ლეწვა კოლხიდა-ივერიას სამეფო წყობილებას, ეკონომიკას და სულიერ კულტურას.

შვიდი საუკუნე გრგვინავდა შავსა და კასპიის ზღვებ შორის ეს მკაცრი გრიგალი, რომლის ძლიერების ქვეშ იგრიხოდა, ფოთლებ და მტევნებ დაცვენილ ვაზივით, პატია საქართველო. დიალ, შვიდისი წელი კვნესდა ქართველი, ამირანივით მიჯაჭული კავკასიონის ქედზე, შვიდი საუკუნე სდინდა ქართველის სისხლი და ღებავდა წითლად კოლხიდა-ივერიის ველსა და მთებს. ვიღას ახსოვდა იმ დროს მწერლობა, პოეზია, ხელოვნება და მეტნიერება! არავინ იცოდა, თუ რა ახალ რისხვას მოჰვერიდა ხეალინდელი დღე. ყანაში წასულ მუშას არ ეგონა თუ კიდევ ნახავდა ცოცხალს თავის ცოლშვილს. ცალხელში მახვილი და ურიცხვ მტერთა მოგერება, მეორე ხელში კავი, გუთანი და ოჯახის ჩეჩნა,—აი, პატია ერის ხვედრი შვიდის წელს! ლაშა გიორგის დროიდან სიმწრით ამოწვდილ ქართველ ხმალს არ დაუსვენია ერეკლე II-ს სიკვდილამდე.

შევმა ბურუსმა, კვნესა-ტირილმა და თავ-განწირვამ მოიცავა მთელი ქვეყანა. ამ დროს დაავიწყდა ყველას ივანე პეტრიწი და ჯუვანშერი, ჩახრუხა და შავთელი. მათი მაღალი რიტორიკა და თამარის ქებათა-ქება აღარ ხიბლავდნენ ქართველს. ტანჯულ ერს ეჭივრებოდა სულ სხვა მგოსანი და აპა მისი ნუგეში შეიქმნა შოთა, ეს დიადი პოეტი, ფილოსოფოსი და ჰუმანისტი.—შოთას ღვთიური ჰანგები ღრმათ ჩაწვდნენ ერის მკვნესარე სულს, გაამხნევეს იგი, გაუღვიძეს იმედი და სცეს გამკურნავი სალმუნი.—„ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა“, „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელმვანი“, „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დრაცა ქსელის მბეჭდელსა“, „კაცი თუ

ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია“, „სჯობს სახე-ლისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელისა“, „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა ცუდია დაღრეჯილობა“, „ლმერთი ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირთა იგრძნობს“... აი, ამ საგმირო და საიმედო ხმებს ძეგრდა მძლავრად რუსთველის ჩანგი! აი, ამ სიტყვებს და მთელს პოემას სწავლობდა ზეპირად ქართველი ქალი, უმღერდა მას ბრძოლაში დატრილს ან ოშში წასასვლელად გამზადებულ ძმას, მამას, ქმარს და შეილს, ამხნევებდა მათ და მათთან ერთად გმირულად ებრძოდა მტერს, ვინაიდან თვით შოთასაგან იცოდა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეადია“. დიახ, შოთა შეიქნა ქართველის მოძღვრათ. მისი ზენაარი სული და ციური ქნარი ცეცხლის სვეტი-ვით წინ უძლოდნენ ტანჯულს, გზა დაბანეულ ერს, ამხნევებდნენ, აძლევდნენ ნუგეშს და ამხელდნენ უკეთეს მომავალს. ჩვენ არ ვგონებთ სხვა რომელიმე პოეტ-გენიოსს გაეწიოს თავის ერისთვის იმგვარი ამაგი, რაც ჩაიდინა შოთამ. აი სადაა ამ ძგოსნის სიდიადე! შოთა თითქო გრძნობდა წინასწარ თავის ერის შავს ბედს. მუზამ თითქო შთაგონა მას, რომ ერის დიდების დროს დაეწერა ეს გაჭირვებაში გამამხნევებელი პოემა და გამოყევანა შიგ თავის გმირთა ტანჯვა, წვალება, შევიწროება და ბოლოს მიზნის მიღწევა და სიხარული. ეს პოემა შეიქნა ერის სარკედ; მასში ქართველი მზერდა თავის შავს ხელრს. აქ ქართველი თავს სახავდა ტარიელად, რომლის სატრფო ნესტან ე. ი. სამშობლო ტყველ ჰყავდა ქაჯებს, ე. ი. სპარსელთ და თათრებს. ამიტომ არაა გასაკვირი თუ „ვეფუხვის ტყაოსანი“ შეიქნა ქართველისთვის მეორე სახარებად, თვით სახარებაზედ უუტებესათ და უფრო სამნიშვნელოთ; არაა გასაკვირი, თუ თავადი და გლეხი, დიდი და პატარა ერთგვარი ხალისით სწავლობდნენ მას ზეპირათ, ბაძვედნენ მას და ხმარიბდნენ იგავებათ ჩის აფორიზმებს; ნუ გიკვირთ თუ დღესაც მივარდნილ სოფელში შეხვდებით რომელსამე უვიცს გლახუას ან ზალიკას, რომელნიც ზეპირათ გეტყვიან თითქმის მთელ უვეფუხვის ტყაოსანს“; ნუ გიკვირთ თუ იმ დროს ქილს ატანდნენ მზითვად ამ პოემას.

„გეფხვის ტყაოსნის“ მნიშვნელობას მეტათ ახასიათებს ერთი ფაქტი, რომელსაც აკაკი იხსენიებს თავის ლექციაში: ერთ თავადს გაუთხოვებია ქალი და, ეჭვი არაა, გაუტნევია მზითვად შოთას პოემა; სიძეს კი უკანვე დაუბრუნებია იგი. ამას ისე გაუკვირვებია სიმამრი, რომ დაუწერია ამ გვარათ:

— „ქალი შეკვდა ედემს ზრდილი  
 ფქრო ხუჭუჭე თმათსანი,  
 განათხოვე, შზითად შავეც  
 ჩემი „გეფხის ტყაოსნი“;  
 ისევ უკან დამიძრუნეს  
 ჩემი „გეფხის ტყაოსნი“,  
 გამიკვირდა,—რა უკრასთ,  
 თურმე იყო სვანთსანი.“

ეს იყო — უფიცი და უმეცარიო.

ისტორიულმა გრიგალმა დაპერიგოვა საქართველო; შესწყდა მის ნაწილებ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი. მაგრამ სამი რამ ამაგრებდა მათ, ვით უხილავი ფიქალი, და იცავდა მტკიცეთ დამსხერევა-რისპონსაგან. ეს სამი რამ გახდათ: სჭული, ენა და უგეფხვის ტყაოსნი.« აი, ამ სამი რამით ეკავშირებოდნენ ერთმანეთს გურული და მეგრელი, იმერი და ქართლელი, კახელი და მთიული, სვანი და აფხაზი. იმათ შეინახეს ერის ერთობა და მოიყვანეს დღემდე ცოცხალი.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე. აქ ერთბაშათ შესწყდა ერის პოლიტიკური დამარი. ქართველის ცხოვრებამ მიიღო სულ სხვა ელოუერი. შევმა საუკუნოებმა ძლიერ დაჩაგრეს და დააბეჭივეს ქართველი ერი, სისტემატიკურათ გაწყვიტეს იგი და 4-5 მილიონიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაიყვანეს ერთ მილიონიმდე. ერთ დროს მთელი აღმოსავლეთის რისხვა და ტონის მიმცემი, ერთ დროს ევროპაზედ უფრო განათლებული საქართველო დღეს წარმოადგენდა ერთ ბეჭის, უმეცარს სნეულ არსებას, რომელიც ძლივს-ლა სუნთქვდა.

ამავე დროს კი ევროპას დიდი ნაბიჯი წაედგა წინ, მოე-  
 პოვა დიდი სიმღიდოები და განათლება. ახლა ვიღის ახსოვდა  
 საღლაც შავი-ზღვის პირას მიტყვებილი მკვდარ-ცოცხალი პაწია  
 ერი! ახლა ვიღის ახსოვდა მისი ენა, მწერლობა და პოეზია!  
 ევროპა და საქართველო ძლიერ დაშორდნენ ერთმანეთს; მათ  
 შორის ჩატვირთვნენ რუსი და ოსმალო. თუმც ეს ერთი საუკუნეა  
 ვეცნობით ევროპას და მის კულტურას, მაგრამ დღესაც კი  
 ქართველი განათლებულ ფრანგს მიაჩინია რაღაც ზღაპრულ  
 იაზონის დროინდელ არსებად. დღეს არც იციან თუ კვლავ  
 სული უდგია იმ ერს, რომელსაც ეკავა ერთ დროს მთელი  
 მცირე აზია და კავკასია, რომელიც აკავშირებდა ძველს  
 კულტურულ ერებს, იყო მსოფლიო ილებ-მიცემობის ნასკვი,  
 შეასწავლა კაცობრიობას გეოგრაფია და მეტალურგია, ამარც-  
 ხებდა ეგვიპტის ფარაონებს და ასურეთ-ბაბილონის მეფეებს,  
 იყო აზიის ცისკარი, დიდი ელინის ისტატი და მამალის დრო-  
 შის რისხეა. დიახ, დღეს უმაღლურ ევროპას არ ახსოეს ის  
 გმირი, მამაცი ერი, რომლის გრძელი ისტორია შეუწყვეტელი  
 ტაიგედიაა, რომლის კავკასიონის კლდეზედ უმაგრეს ფოლად  
 გულზე 700 წელს იმსხვერეოდნენ ბარბაროსთა ზღვა-მხედრობის  
 საშინელი ტალღები და რომელმაც გმირ ლეონიდეს მზაგესათ  
 შეიდ საუკუნეს შეამაგრა შმაგი მუსლიმი, დაიცვა მათ ზეია-  
 დობიდან მთელი ევროპა და მისცა საშუალება თავისუფალ  
 ზრდის და განვითარებისა. მსოფლიო ისტორიის საიდუმლო  
 კინონმა ინება, რომ ქართველი ყოფილიყო უშიშარი რაინდი,  
 უძლევი ავანგარდი და თავის სისხლით გადაერჩინა დასავლეთის  
 ქვეყნები საშინელ ხიდათისაგან. ეს საოცარი ერი კი დავიწყე-  
 ბული ჰყავს დღეს უმაღლურ ევროპას და გარდა რამდენიმე  
 მეცნიერ-ორიანტალისტთა, არავის ახსოეს იგი. სჩანს, ასეთია  
 ზოგიერთი ხალხის ბედი და ისტორიის უმაღლურობა!..

ამის შემდეგ განა გიკვირთ, რომ ევროპა-რუსეთში ძლი-  
 ერ ცოტა მკვლევარი ჰყავს ჩვენს ძეველს მწერლობას და კერ-  
 ძოთ „ვეფუზეის ტყაოსანს“! არამც თუ უცხოეთში, ჩვენშიაც  
 კი ორ-სამ აღამიანს თუ ესმის შეგნებულათ ამ პოემის ენა,

მისი ღრმა პოეზია და ფილოსოფია. არამც თუ უცხო ენაზე, თვით ქართულათაც კი არ არსებობს დღემდე ამ პოემის სერიოზული კრიტიკა, განხილვა და გამოკვლევა. მართალია, ჩვენ გვაქვს „ვეფხვის ტყაოსნის“ შესახებ უცხოსა და ქართულ ენებზე რამდენიმე წიგნა და უურნალ-გაზეთებში გაბნეული წერილები, მაგრამ თითქმის ყველა ეს ან არის პოემის ფრიად ზერერე და ვიწრო განხილვა, ან სხვისი ნათქვამის განშეორება, ან უმეცრული ქირდვა, ან ჰარბი, უნიადაგო ქებათა-ქება. ერთ წეგნზე ვერ მიმითოებთ, რომელსაც კი ჰქონდეს ღრმა კრიტიკული ხასიათი. მიზეზი ადვილი ასახსნელია: „ვეფხვის ტყაოსნის“ ღრმათ გამხილველმა და კრიტიკმა ევროპის ლიტერატურასთან ერთათ უნდა იცოდეს საფუძვლიანად საქართველოს ისტორია, ქართული ენა და ძველი მწერლობა. ამ გვარი პირი კი ჩვენში ძლიერ იშვიათია.

არამც თუ კრიტიკულათ განხილვა, ჯერ ისიც კი არ ვიცით თუ რა უდევს დედა-აზრად და სიუჟეტიად ამ უკვდავ პოემას. ამის შესახებ მრავალი უსაფუძლო აზრებია ჩვენში გავრცელებული, ამიტომ ამ წერილში ჩვენ ვეცდებით მივაწოდოთ მკითხველს სრულიად ახალი შეხედულება ამ საგანზე, რომელმაც, ჩვენის აზრით, შეიძლება გაუადვილოს „ვეფხვის-ტყაოსნის“ მომავალ კრიტიკოსს ამ დიდებულ პოემის შეგნება და საზრიანად განხილვა.

სანამ კი არმეს ვიტუოდეთ პოეზიაზე, საჭიროა მოკლედ შევეხოთ თვით პოეტს და მეტადრე იმ ეპოქის, რომელმაც წარმოშობა იყო. შოთა არ მოვლენია საქართველოს უეცრივ, როგორც ციური ტატანი. ის იყო ღვიძლი შვილი თავის ერის და დროისა. მას მოუმზადა ნიადაგი საუკუნოებმა და მწერალთა მთელმა გროვდ. იალბუზი არ დგას ლიტონათ, ირგვლივ მოხანან მთების მაღალი მწვერვალნი, რომელთა შორის ცამდე აწვდილა და დაცყრებს გოროზათ მთელს ქვეყანას ეს ბუმბერაზი. მისი თეთრი ქოჩორი და ბროლის გულ-მკერდი კიაფობს ათას ფანტასტიურ ფერებად მთვარის ნაზოვან შუქზე და მზის სხივებზე. ეგრეა შოთაც; დიდ ნიკიერ მწერალთა შორის თავის

გენით იგი აღვიდა ცამდე და შეიქმნა წარსულ საუკუნეთა  
წყვდიადში უმწეო ერის კანდელათ.

xx

დადგა მეთორმეტე საუკუნე. მოელო ბოლო კავკასიაში  
არაბთა ბატონობას. კიდევ წინათ კუროპალატის და ორი  
ბაგრატის მტკიცე მარჯვენამ თან-და-თან გაანთავისუფლა ერი  
ორას-სამასი წლის მონიადიდან. დავით აღმაშენებლის მახვილმა  
დასკა რისხვა მტარვალთა ზეიადობას და გასწმინდა მათგან მოე-  
ლი საქართველო. ამ მეფე-სარდალის დიდებულმა გენიამ გა-  
ნაძტკიცა ერის პოლიტიკური და კულტურული ფუძე და ააშენა  
ქვეყანა ნივთიერად და სულიერად.\*)

დამშვიდდა თან-და-თან მრავალ ტანჯული საქართველო. შესწყდა იქ ბარბაროსთა ნავარდი, შეგროვდნენ საერთო დროშის  
ქვეშ მისი სხვა და სხვა კუთხები და შექმნეს მტკიცე ერთობა.

კოლხიდა-ივერიის ცის კიდურზედ ამოაშუქა ქართველი  
სულის განახლების ცისკარმა. საქართველოს დაუდგა აქროს  
საუკუნე. დაიწყო იგი დავით კუროპალატით და დაგვირგვინ-  
და ბრწყინვალე თამარით.

მიდიოდა წინ საქართველო პოლიტიკურათ; ვითარდებო-  
და მისი ნივთიერი და საზოგადო ცხოვრება, იფურჩქნოდა  
მისი სულიერი კულტურა. ქართველ მეფეებს შეეფარნენ სო-  
მხები, ოსი, ჩერქეზი და ლეკი. საქართველო გაიზარდა შავი  
ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიონის ქედიდან ვანქის ტბამ-  
დე და ტრაპიზუნამდე. მის საზღვრებ შორის იყო მთელი იმიტრ  
კავკასია და მცირე აზიის ნაწილი. ამოდენა სამეფოს ყოველი

\*) საფრანგეთის მწერალი გოტიე ექტა დავით მეფის ბრძოლას  
ემის ილგაზთან და ამბობს, რომ ემირის ჯარი შესდგებოდა 600,000  
კაციდან-თ. დავით მეფის მხედრულა კი იყო მხოლოდ 80,000-იმ. მაგ-  
რამ დავითმა საოცრად დააპარცა მტერი და დაუხოცა 400,000 კაცით.  
თვით ილგაზი დაიკრა თავში და გადარჩა ტყვეობას არაბთა მეფის დეპის  
წყალობითათ. (Additions et éclaire. p 229.)

კუთხეზი შეიძეო ცახე-ქალაქებით, ტაძრებით და სკოლებით; ველი და ბიბები წყლის არხებით; უსიერი ტყენი, უდაბნო ხევები და მაღალი მთები დაშვენდნენ კოხტა ეკულესიებით, ცახე-კოშკებით და მონასტრებით. ნადირთ ღმულთან და ზარ-ნაშის ძაბილთან ერთად ისმოდა მონაზონთ ნაზი გალობა და განდეგილ ბერთა ოსანა და ალილუა. იმ ხანებში აშენებულ გელათს, მარტვილს, ბიჭვინძას, ვარძიას და ბაგრატის ტაძარს თავიანთ სიღიაღით, ხელოვნურ და მხატვრულ სიშვერიერით ახლაც განცვიფრებაში მოჰყავთ ეკროპის მეცნიერნი და ჰმოწმობენ ქართველი ერის მაშინდელ მაღალ კულტურას.

კუროპალატის დიდმა სარდალმა თორჩნიკე ერისთავმა აა-შენა საბერძნეთში (მაკელინიაში) დიდი მონასტერი და ეკურ-თხა იქ ბერად. დავით აღმაშენებელმა ჯვაროსნობის ომების დროს ააგო ერუსალიმს და სინას მთაზე მონასტრები. ყველა ეს წმინდა აღმაგნი გაივსნენ ქართველ ბერებით, გაივსნენ ქარ-თველ მეფე-თავადთა უხვის შეწირულებით, სიმდიდრით, ძველი წიგნებით; და მაღვ გარდიქცნენ ქართულ აკადემიად. თვით სა-ქართველოშიაც დარსდა უმაღლესი სკოლები, მაგ., გრემსა და იყალთოში. იმ უცხოეთის მონასტრებში განვითარდა ქარ-თული სალიტერატურო ენა და კალიგრაფია; იქ შემუშავდა ქართული ლექსიკონი; იქ შექმნეს ქართული საგალობელნი; იქ აყვავდა ქართული ხელოვნება, სასულიერო მუსიკა და პოე-ზია; იქ განვითარდა ქართული თეოლოგია და ფილოსოფია; იქ თარგმნეს სასულიერო წიგნები და ელინთ კლასიკნი...

ამ მონასტრებში იგზავნებოდნენ საქართველოდან უმაღლეს სწავლის მისაღებად მაღალ ნიკიერი და მომზადებული ყმაწვი-ლები. იმ მონასტერთა მწავე-მორჩილნი, შემდეგ კი ბერნი და მეთაურნი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, საბა, იონა ბერი (რაზმაძე), მიქელ მოღრეკილი, ივანე ჭირჭიმელი პეტ-რიწათ წოდებული, ჯუვანშერი, სტეფანე, არსენი და სხ.,, საუკუნოთ დარჩებიან ქართული თეოლოგიის, ფილოსოფიის და სალიტერატურო ენის მამამთავრებად. ამ მოღვაწეებმა შეი-ტანეს ჩვენს მწერლობაში ქრისტიანულ-ასკეტური სული.

ბიზანტია, ქრისტიანული ელინიზმი,—აი, ის დასავლეთის წყარო, სადაც იღებდა ქართველი სულის საზრდოს. მაგრამ მის მეზობლიდ აღმოსავლეთში სჩექფდა იმ დროს, ვით ფერადა შადრევანი, სხვა დიადი კულტურა, რომელსაც ეწავებოდა ეგრეთვე ქართველი. ეს შადრევანი იყო არაბთა ბრწყინვალე მონარქია და განახლებული სპარსეთი. კორდოვა - ბაღდადში დაარსდა ლაბორატორია და ობსერვატორია, აღმოჩნდა მექანიკა, მედიცინა და ასტრონომია; აყვავდა პოეზია, მეცნიერება და ფილოსოფია.

იქ მხედრი ბრწყინვალენ დიდებული ებნ-იუნის, ჯიაბერ, ავიცენნა, რაში, ალბუკაზის, ბენ-მუზა, ალხაზენ, აბდულრაჟმან-ჯაჭიმ, ალგაცალი და ავეროესი. მეათე-მეთორმეტე საუკუნეში აყვავდა სპარსეთის მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია და უზენაესად განვითარდა სპარსული ენა. დიდებული პოეტები აბდულ ქასიმი, ანუ ფირდუსი, შეიხ-საადი, ნიზამი, ჰაფიზია, მოლა-რუმი და ხაგან შირვანი ამკობდნენ ისპაპან - თეირანის ძლიერ ტახტს. არაბლუი კულტურა, შეკოლები, მეცნიერება და ფილოსოფია შეიქმნენ ერთ დროს ევროპის სულის გამლეობებელნი და მკევბავნი. არაბთა ხელში დიდხანს იყო საქართველოც. არაბს და სპარსელს დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველზე. ქართველმა კარგათ იცოდა მათი ენა და ზნე-ჩვეულება; ის დადიოდა არაბ-სპარსეთში. ქართული ენაში უხვად იყო სპარს-არაბული ტერმინები. ეჭვი არაა, ქართველი უნებლიერ წაპბაძავდა მათ და შეითვისებდა მათს ელფერს. აღმოსავლეთი და დასავლეთი, მუსლიმი და ქრისტიანიზმი, — აი, რა მოქმედებდნენ ქართველზედ ერთსა და იმავე დროს და ჰქონიდნენ მის ფსიხიკის. ორი დიდი ოსტატი ჰყავდა საქართველოს: განათლებული ბიზანტია თავის სხოლასტიკით და ქრისტიანულ ასკეტური ფიზიონომიით და კიდევ უფრო განათლებული არაბ-სპარსეთი თავის საერო ლიტერატურით, მეცნიერებით, მაღალის ფილოსოფიით, ციურ პოეზიით და ეროტიულ ლირიზმით. ქართველის სულში შეზავდნენ დასავლეთ-აღმოსავლეთის კულტურის ელემენტები, მოახდინეს რეაქცია, ააფრ-

თოვანეს ქართული სული, ააფერადეს და გაამდიდრეს ენა; შექვემნეს ახალი კულტურა, ახალი საერო მწერლობა და რენე-სანსი. საქართველოს საერო პოეზიის მამამთავრებად შეგვიძ-ლიან დავსახოთ ძიგნაკორა, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, ივანე შავთელი და ჩახრუხა, მაგრამ გვირგვინი საერო პოე-ზიისა და დიდება ქართველი ერისა კი არის დიდი ჰუმანისტი შთათა რუსთველი.

## III

ვინ იყო შოთა? სამწუხაროდ, ისტორია და ზეპირ-გადმო-ცემა ღლემდე ბევრს ვერას გვეუბნება. ვიცით მხოლოდ, რომ ეს დიდებული გვამი იყო თამარ მეფის მოლარე და კარის კაცი, შთამომავლობით მესხი დაბა რუსითავიდან; ამას, ე. ი. თავის შთამომავლობაზე მოგვითხრობს თითონ თავის პოემაში.

რა გვარი იყო იგი? ნამდვილად არ ვიცით; ხოლო ქართ-ლის ცხოვრებაში ვკითხულობთ ერთ საგულისხმო რამეს: როცა დემნა აუჯანყდა თავის ბიძას გიორგი III-ს და გამაგრდა ლო-რის ციხეში, იქ მის მომხრეო სხვა წარჩინებულ გვამთა შო-რის ყოფილა შოთა ართავაჩოს ძე. ვინ უნდა იყოს ეს შოთა, რომლის ვინაობა ჩაიწერა ქართლის ცხოვრების კაბალონში? ჩვენის აზრით, რასაც ქვემოდ განვიხილავთ უფრო ნათლად, ის პირი უნდა იყოს შოთა რუსთველი. მართლაც იმ დროს ფრიად დაწინაურებული ყოფილა სამესხეთო და ბევრი გამო-ჩენილი კაცი გამოდიოდა ამ პროვინციიდან.

სად აღიზარდა შოთა? შედარებით ახალი მწერლობა და ზეპირ-თქმულება გვამხელენ, რომ იგი აღზრდილა ათონაში ანუ უკეთ ათონის მონასტერში,\* მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს მართალი. შოთას რომ განათლება მიეღო საბერძ-

\* ) ერთ დროს სწავლა-განათლებით განთქმული ათონა, შოთას დროს აზაფერის წარმოადგენდა. იმ დროს პოლიტიკის ცენტრო და განათლის კერა იყო ბიზანტია, ესე იგი კონსტანტინოპოლი.

ნეთში, მას ეცოდინებოდა ბერძნული ენა, ლიტერატურა და თავის ნაწერებში ნებით თუ უნებლივეთ შეიტანდა ელინურ სულის. მისი პოემა კი სულ სხვას გვიმტკიცებს. იქ არავთარი ელინური და ქრისტიანულ-ასტეტიკური ჩრაა. იგია თავიდან ბოლოდმდე ერთტიული ხასიათის. იქ სულმნათი შოთა გაფლობს ზენარტ სიუვარულს, შიგ სჩას ადმისავდეთური შეღანქდება, რაინდობა, ფატალიზმი, ცრემლები და სბარს-არაბული ენა, სული და ტენდენცია. დაუჯერებელია და ფსიხოლოგის კანონის წინააღმდეგი, რომ კაცს მიეღოს განათლება დასავლეთში, მისი სული, ენა და ხასიათი განეგდოს და აღმოსავლეთულს კი ხმარობდეს. რაც უნდა ნიღაბი მოიფაროს მწერალმა, რაც უნდა უარჰყოს ეს გავლენა, მაინც თავის უნებლივეთ შეეპარება იგი თავის ნაწერში. ასე მოუვიდოდა შოთასაც, მაგრამ მისი პოემაში არავითარს მზგავს არ ვხედავთ, გარდა იმისა, რომ აქვს ნახმარი ერთხელ პლატონ ფილოსოფოსი და მეორეთ დიონისი და სოფრატ ბრძენი. ამ ორი-სამი კაცის სახელის ცოდნისათვის, ვგონებ, არ იყო საჭირო არც ბიზანტიაში და არც ათონის მონასტერში აღზრდა.

მაშ საღ ისწავლა შოთამ? როგორც ვიცით, უცხოეთში არსებობდა განათლების სამი კერა, სამი ქართული აკადემია, საღაც ქართველი ნიჭიერი ახალგაზდობა იღებდა ცოდნას. ეს იყო სამი მონასტერი: ერთი საბერძნეთში, მეორე ერუსალიმში და მესამე სინას მთაზე. აღვილათ შესაძლებელია რუსთაველმა გზად გაიარა საბერძნეთში და რამდენსამე ხანს დარჩა ათონის მონასტერში\*\*). მაგრამ ნამდვილი აღზრდა კი უნდა მიეღო მას ან ერუსალიმში და ან სინას მთაზედ. ორივე ალაგი კი აღმოსავლეთშია, არაბთა მეზობლად. უფრო სარწმუნოა, რომ შოთას სწავლა მიეღოს ერუსალიმის მონასტერში, საღაც შემდეგ შესდგა კიდეც ბერათ. იქ აღვილათ შეეძლო მას გა-

\*\*) ეს ზრდა დამთავრებული მქონდა, როცა იასე რაჭელმა გადმომიჲა, რომ მას უნახავს ათონის მონასტერში შოთა ჩუთაველის წარწერა, სადაც სჩანს, რომ დიდ პოეტს გზათ გაუვლია და უნახავს ეს მონასტერი. ავტორი.

ცნობოდა არაბ-სპარსულ ენასა და მწერლობას, ენახა კიდეც ეს ქვეყნები, იქ შეეძლო შოთას გამსჭვალულიც აღმოსავლეთ-ლური სულით და ტენდენციით; აქედანაა მისი ჩანგის ორიან-ტალური კილო, ენა, სიმბოლო, ფატალიზმი და ეროტიზმი. სიტყვა შმაგი, მიჯნური, აჯა, ხოტბა, ყანდი, ხალვა, თათბირი, ალყა, ფარმანი, ეშმა, მულიმი, ზამი, არიფი, და სხ. შოთას პოემაში ნახმარნი ან სპარსულია, ან არაბული.

ზეპირ-გარდობოცემა გვამხელს, რომ ამ დიდებულ კაცს, შოთას ღალატობდა ცოლიო; უბრალო მონა, ბინძური ზანგი შეიყვარაო. შოთამ შეიტყო ესა, მოჰკლა მთხრობელი, თვით კი გადიკარგა სამშობლოდან და შესდგა ბერათ ერუსალიმის მონასტერში.\*\*)

ღალატობდა თუ არა შოთას მისი ცოლი, ეს ნამდვილათ არ ვიცით; დაუჯერებელიც აქ არაფერია; დიდებულ პირთ და მეტადრე პოეტებს არა იშვიათად ემართებათ ეს მარცხი. მიზეზი ისაა, რომ მათი სული ჰერენს მეტათ შორს და ელ-ტვის მაღალ სანატრიონებს. მათი გული სავსეა პოეზიის, შვე-ნიერების, ერის, სამშობლოს და სხვა ზენარ საგანთა სიყვარულით და თან-და თან გრილდება ცოლისადმი. საზოგადოთ ცოლებს არ უყვართ მაღალი იდეალები. ესენი უფრო რეა-ლიზმს ქურუმობენ, ამიტომ ცოლები უხდიან ნაცვალს ამ დი-დებულ პირთ. აქედან იწყება ოჯახური დრამა და ტრაგედია. ხოლო ის კი უტყუარი ფაქტია, რომ შოთა იკვეცილა ბერათ ერუსალიმში, დამარხული იქვე და დღესაც აშვენებს იქ ქარ-თულ მონასტრის კედელს ამ დიადი მგოსნის სურათი. არ იქ-ნება მეტი აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რასაც მოგვითხრობს ისტო-რიკი ფარსადან გორგიჯანიძე: თითქმ შოთა წარეგზავნოს ელ-ჩათ მეფე რუსულანს თათართ ხანთა მიმართ. საიდან იყო ეს წარეგზავნა, საქართველოდან თუ ერუსალიმიდან, ჩვენ არ ვი-ცით.\*\*\*)

\*\*) ან. ფურცელაძე: „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი.“

\*\*\*) იხ. დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრისტომატია.“ 1863 წ. გვ. 208. შესამე ნაწილი.

დასწერა თუ არა შოთამ სხვა რამე გარდა „ვეფხვის ტყაოს-ნისა“? ეჭვს გარეშე, რომ ექნებოდა დაწერილი. ყოვლად შეუძლებელია თუნდ ძლიერ გენიოსმა კაცმა პირ-და-პირ დას-წეროს ასეთი მწიფე და ორმა პოეტურ ფილოსოფიური შე-დევრი, როგორიც პოემა „ტარიელია“. მის ავტორს უნდა ეწერა წინათაც ბევრი, უნდა ევარჯიშნა დიღხანს ენა, კალამი და შემდეგ შეექმნა ეს პოემა. ამ რიგად შოთას ექნებოდა სხვა ნაწერებიც, მაგრამ იმათ ჩვენამდე ვერ მოაღწის, გარდა ორ იამბიკოსი, თქმული ერთი ხალიფას დროშის და მანიაკის მირთ-მევის დროს, გელათში ხახულის ღვთისმშობლის ხატს რომ მიართვა თამარმა, და მეორე თვით იმ ხატზე წარწერილი. არის კიდევ დარჩენილი ერთი დიდებული აფორიზმი, რომე-ლიც უთქვამს შოთას ზმნათ რაჭის ერისთვის კახაბერის ნადიმ-ზე, სადაც ბძანდებოდა თამარ მეფე თავის ბრწყინვალე ამალით. აი ის ლექსიც:

„ფილისტიფოსნი შემთვრბენ  
აშაზე ჰქონდათ ცილობა;  
ბატონი უმასა ასაქმებს  
და ჰქუას გამოცდილობა;  
ათასად გვარი დაფასდა,  
ათი :თასად ზრდილობა,  
თუ კაცი თავად არ ვარგა,  
ცუდია გვარიშეილობა“\*)

შოთას დანარჩენი ნაწერები კი ჩანთქა ქრონიკის ლუმბ-რამ, ისე როგორც სხვა მრავალი ნაწარმოები ქართველის გონიერისა.

რომ რუსთველს უწერია სხვა რამ თამარზედ, ეს სჩანს მისივე სიტყვებიდან:

\*) ეს შოთხოობა გადმომცა ქართულ ენა-მწერლობაში დიღათ მეც-ნიერმა აწ განსვენებულმა თ. ხიკო ტ. დადიანმა.

„ჩემი აში სცანით ეფედმან,  
მას გაქებ, გინცა მიქა!  
ეს მიჩნის დიდათ სახელად,  
არ თავი გამიქია“.

არც ერთბაშად გაჩნდებოდა ამისთანა გენიოსი. ამგვარ კაცს შობს კულტურული ერი ათას წლობით მხოლოდ ერთს. მასთან ამგვარი პირი იჩენს თავს ერის სულიერ ცხოვრების ზენარ აფრთხოვანების დორის. ამისთანა აღმაფრენა კი ეწია ქართველს თამარის მეფობაში, როცა საქართველო გაიზარდა დიდ პოლიტიკურ ძალიდ და აყვავდა ნივთიერად და კულტურულად. შოთას კი ნიადაგი შეუმზადა მგოსანთა მთელმა პლეადამ, რომელთა შორის მზეებრ ამობრწყინდა ეს დიდი გენიოსი ქართველის სულის მანათობელად საუკუნეთა წყვდიადის და ტანჯვების წელთა სრბოლაში.

## 28

ბელეტრისტურ ნაწარმოების დასაფასებლად საჭიროა განვიხილოთ როგორც ფორმა და ტექნიკა, ეგრეთვე მისი სული, ესე იგი დედა-აზრი. სიუჟეტი კი ის ჩონჩხია ანუ ქსელი, რომელზედაც არის აგებული და მოქარებული ნაწარმოები. ხშირად სიუჟეტის შეგნება და ანალიზი გვაძლევს საშუალებას შევიგნოთ სრულად თხზულების სული და მისი დაფარული მავთულები. ამიტომ საჭიროა ვცნოთ თუ რამ გამოიწვია ქვეყნათ ამისთანა შედევრი, როგორიცაა „ვეფხვის ტყაოსანი“.

„ილიადას“ დაედგა სარჩულათ ელინ-ტროელთა საშინელი ომი; „შაპ-ნამეს“—ერან-თურანთა ბრძოლა და სპარსეთის დინასტიის გაძლიერება; „ლვთაებრივ-კომედიას“—გველი-პიბელინთა ომები, „ფაუსტს“—ვადმანის მოთხრობა დოქტორ ფაუსტზე; შექსპირის დრამებს,—ინგლისური დრამები და ფრანგულ-იტალიური ნოველები. ნეტა რა დაედგა სარჩულათ პოემა „ტა-

რიელს“, რომელიც თამამად შეგვიძლიან დავაყენოთ ზემო თქმულ  
დილებულ ნაწარმოებთა გვერდით, ან რა არის ამ პოემის დედა-  
აზრი?!

ამის შესახებ გამოთქმულია ცნობილ პირთაგან რამდენი-  
მე აზრი. მაგრამ სანამ ამათ განვიხილავდეთ, არ იქნება მეტი  
შევეხოთ შაბლონურ აზრს შოთა-თამარის სიყვარულის შესა-  
ხებ, რომელიც გავრცელებულა ჩვენში.

არსებობს აზრი, თითქო რუსთაველს ჰყავარებოდეს თამარ  
მეფე და ამ გარემოებას წარმოეშობოს ეს უკვდავი პოემა, რო-  
მელშიაც თითქო სკვირს პოეტის ოღზნებული ვნება თამარი-  
საღამიო. ერთი სიტყვით, შოთას სიყვარულია თურმე ის ფუძე,  
რაზედაც აუგია მას თავის პოემა.\* ) დამამტკიცებლათ მოჰყავთ  
პოემიდან შემდეგი ლექსები:

„თამარს ვაქებდეთ შეფეხს;  
სისხლისა ცრემლ დანთხეული,  
ვსთქვენით ქებანი ვისნიშე  
არ აყად გამორჩეული.  
მეღნად ვისმარე გიშრის ტბა  
და კალმად მინა რსეული,  
ვინცა ისმინდს დაესგას  
დახვარი გულისა სეული.“  
— „მე რუსთველი სელობითა  
ვიქმ საქმესა ამიდარი,  
ვის მორჩილობს ჭარი სპათა,  
მისთვის ვხელობ, მისთვის მგედარი;  
დავუძლურდი მიჯნერთათვის,  
კვლავ წამალი არსით არი,

\* ამგვარი აზრი გამოთქვა ეგრეთვე ბ. მუხავიოვმა; იხ. მისი იმპერია და არმენია“ 1848 წ. გვ. 216—285; და ბ. ალ. ს—მა; იხ. მისი „ვეფხვის ტყაოსნის ყალბი ადგილები“, „მოამბე“ № XI 1895 წ. გვ. 16 და 19. ევევ აზრი გამოთქვეს სტალინსკიმ და რ. ყინვარმა. იხ. P. კინვარი: „Въ Барсовой кожѣ“. გვ. I—III.

ანუ მომცეს განკურნება,  
 ანუ მიწა მე სამარი.“  
 —თვალთა მისგან უნათლოთა  
 ენატრამცა ახლად ჩენი;  
 აჭა, გული გამიჯნურდა,  
 შისდომია ველთა რბენა“ და სხვ.

აქ დაუჯერებელი ორაფერია. აღვილათ შეიძლება პოეტს შეუყვარდა ზენარის გრძნობით საქართველოს ცისკარი შვენება თამარ; შესაძლოა თამარმაც თანაუგრძნო მეოსანს და მათ შორის დაარსდა საიდუმლო კავშირი. როდის უნდა ყოფილიყო ესა? ან ქალის გათხოვებამდე, ან გათხოვების შემდეგ. გათხოვებამდე თამარი იყო თავის სასტიკ მამის და განათლებულ მამიდას მფარველობის ქვეშ. გათხოვების შემდეგ მისი ქმარი და პატრიონი შეიქმნა ჯერ გოორგი და შემდეგ ლამაზი მხნე ჭაბუკი დავით სოსლიანი.

პოემაში კი სჩანს, რომ შოთას იგი დაუწერია თამარის მეფედ კურთხევის და დავითზედ გათხოვების შემდეგ; აგრეთვე უმთავრესი გმირი ქალი პოემისა თამარია. თამარისავე ბრძანებით ან უკეთ—ნებართვით არის დაწერილი ეს პოემა, როგორც თვით ავტორი ჰმოწმობს:

„მიბრძანეს მათთა საქებრად  
 თქმა დექსენისა ტებილისა.“  
 —თამარს ვაქებდეთ შეფეხსა“ და სხ.

აქედან ის სჩანს კიდევ, რომ თამარის გარდა სხვასაც უბრძანებია ან მიუკია ნება ლექსების დაწერისა. მარტო თამარ რომ ყოფილიყო, იტყოდა „მიბრძანა მისდა საქებრად“ და არა „მიბრძანეს მათთა საქებრად“-ო, ეს უკინასკნელი ფორმა კი მრავლობითია. მაშ ვის ეჭირვებოდა კიდევ ქება და ლექსები თამარს გარდა? ეს იყო მისი ქმარი დაგით სოსლანი. რა იყო ამ ბრძანების მიზეზი, ამას ჩვენ გავარჩევთ ქვემოთ. დაუბრუნდეთ საგანს.

ჯერ დღეს, მეოცე საუკუნეში, როცა ევროპის მეფეთა სასახლეში მოხდება ხოლმე მაგდების რამ და ვინმე კარის კაცი შეიყვარებს დედოფალს ან მეფის წულს, სცდილობენ მაშინვე დაჭვარონ ეს ამბავი სასტიკათ და ყოველივე მოიცვან საიდუმლოებით. რაღა უნდა ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნეში, როცა სასახლის ეტიკეტი და საქრისტიანო მორალი იყო გაცილებით უფრო მტკიცე და შძაფრი?!

შოთა, უბრალო შინაგამა, ქვეშევრდომი იყვარებს თუნდ პლატონიურათ საქრთველოს ღვთაება თამარს, ესეც თანაუგრძენის მგოსანს და აძლევს ნებას, აუწყე ქვეყანას ჩვენი სიყვარული და აქე მიჯნურობაო... განა ეს დასაჯერია?! განა ბრძენი დარბაისელი თამარ ასე გაირყენა, ასე შეიშალა ჭკუით, რომ ამგვარი ბრძანება მისცა?! ეს აზრი ამცირებს თამარის ღირსებას; ეს აზრი იმსხვრევა სალი მსჯელობის წინაშე, ვით სუსტი ფაიფური.

მაშ რას ნიშანეს ეს ზერე მოყვანილი ლექსები: ეს თამარის ცრემლ დანთხეული ქება, ეს მელნად ნახმარი გიშრის ტბა, ეს პოეტის გულის გამიჯნურება, გახელება და სხ.?, ბძანებთ გაკვირვებით. დამშვიდდით, ბატონო! ეს სიტყვები სრულებითაც არ სახვენ შოთას სიყვარულს თამარისადმი. მართალია, ჩვენ გვაფიქრებენ ის ლექსები ასე ლიტონათ აღებულნი, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სხვა ლექსებთან ისინი გვამცნევენ სულ სხვა რამეს. მართალია, რუსთაველი მოთვეომს თამარს, ხმარობს მელნათ მის გიშრის ტბას ე. ი. მის ცრემლებს, მაგრამ ესაა გამოწვეული ურთიერთ შორის სიყვარულით კი არა, არამედ სულ სხვა მიზნით, რაზედაც გვეჩნება ვრცელი საუბარი.

შოთას გულის გამიჯნურება არის მხოლოთ პოეტური ოღ. მაფრენა, ზეშთაგონება და არა ცნება და სიყვარული. შოთას სიტყვები: „დავუძლურდი მიჯნურთოთვის, კვლავ წამალი არსით არი,“ აშკარათ ნიშანეს, რომ მას სახეში ჰყავს ორი შეყვარებული პირი და არა ერთი, რადგან „მიჯნურთოთვის“ მრავლობითი ფორმაა. შოთამ კი, ვგონებ, ჩვენზედ უკეთ იცოდა



პოეზიის ბრძმედში გაატარა ქართული ეროვნული სულიო <sup>შეკვეთისას</sup>  
მაგრამ უმჯობესია ვასაუბროთ თვით ავტორი; ის რას ბრძა.  
წებს თითონ აკაკი: — „ავიღოთ უკვდავი პოემა „ვეფხვის ტყაო-  
სანი“, გავაჩინოთ და იქ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას მისი კუთხე-  
ებით და მცხოვრებლებით ისე გამოხატულს, როგორც სარკეში  
ჩასახულ რამეს.“ — „შოთას სურდა დაეხატა მთელი საქართვე-  
ლოს სურათი და გამოეყვანა მისი სიღეალო გმირი, როგორც  
მამაკაცის, ისე დედაკაცისაც, და რადგან საქართველოს კუთხე-  
თა ხალხი სხვა და სხვა ხასიათის მექონია, ამიტომ მან ერთი  
გმირის მაგიერ აიღო სამი, გადააკაშირა ერთმანეთს, შეავსო  
ერთი მეორით და წარმოგვიდგინა ჩვენ. ამ აზრით იმან აიყვა-  
ნა ამერეთიდან ტარიელი, იმერეთიდან აეთანდილი და შავი  
ზღვის პირიდან ფრიდონ და მათის შეერთებით დაგვიხატა ერ-  
თი სრული გმირი მთელი საქართველოისა“. — ქართლელი პირ  
დაპირია და მოუფიქრებელი, მას გული ჭარბობს. იმერელი  
ცბიერია და წინდახედული; ის თავს ეკითხება; ზღვის პირე-  
ლი ივივეა, რაც იმერელი, ხოლო უფრო წვრილმანია. — „ტა-  
რიელი მოქმედობს გულის აყოლით, აეთანთილი კი თავს ეკი-  
თხება. ამ რიგად ტარიელში იხატება ქართლელების ხასიათი,  
აეთანდილში — იმერელების და ფრიდონში — შავიზღვის პირელე-  
ბის“ . — „რაც ვთქვით კაცების შესახებ, იგივე ითქმის ქალებ-  
ზედაც. ნესტანი ამერია და თინათინი იმერი, ერთში იხატება  
ამერეთის და მეორეში იმერეთის ხასიათები“ .<sup>\*)</sup>)

დროებით დავვთანხმოთ ავტორს და გავყვეთ. ყოველი ერის  
სულიერი ფიზიონომია, მისი არსხედვა, ტემპერატური, ზნე-  
ჩვეულება, გემო და მისწრაფებანი ემორჩილებიან მრავალ  
ფაქტორებს, იცვლებიან არამც თუ ათასი წლობით და საუკუ-  
ნოებით, არამედ ხან-და-ხან ათი წლობითაც კი. ამიტომ ქართ-  
ველ ტომთა და თემთა სულის დღევანდელი სახე და მაშინდე-

\* ) ამის მშევსი აზრი აქვს გამოთქმული გაკვრით მარი ბროსესაც.

\*) „სამი ლექცია ვეფხვის ტყაოსანზედ“. „კრებული“ 1898 წ.

ლი უსათუოთ დიდათ განსხვავებული უნდა იყოს ერთმანეთი-დან. მასთან ჩვენ ხელთ გვაქვს ფრიად მცირე მასალა, რომ სრულად შეგვეძლოს მეთორმეტე საუკუნის ქართველის დახა-სიათება. ვიტყვით დაახლოვებით, რომ მაშინდელ ქართველის სულის თვისებას და მისწრაფებას უმთავრესათ შეადგენდენ: მხნეობა, ვაჟა-ცობა, ომიანობა, საჩრდებულო ექსტრაზი, ღვთის კრძალვა-სათნოება, რაინდული ყოფა-ქცევა, ოჯახის და მამულის დაცვა მტერთაგან, სამშობლოს სიყვარული, ციხე-ქალაქის და ეკლესია-მონასტრის შენება, მეოჯახობა, არხების გაყვანა და სხ. მაშინ საქართველოს ყოველი კუთხე დიდი ხნის შეერთებული იყო. საქართველო წირმოადგენდა ერთ დიდ მონარქიას. ზენ-ჩვეულების და ხასიათის სხვა-და-სხვაობა თემთა შორის ისე სამჩნევათ სრულებითაც არ იქნებოდა მაშინ, როგორც დღესაა, ვინაიდან მეტამეტე საუკუნიდან იწყება საქართველოს დაყოფა, რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროების დაარსება, რომელნიც 6—7 საუკუნის განმავალობაში ემორჩილებოდნენ ისტორიის სხვა-და-სხვა ფაქტორებს, რამაც სამჩნევათ შესცვალა მათი ზენ-ხასიათი და დააწინია თავის ტვიფარი. ზემო ჩამოთვლილ თვისებებს კი, გარდა რაინდულ ელფერისა, ჩვენ ვერ ვმზერთ შოთას პოემაში, რომლის უმთავრეს კილოს შეადგენს სიყვარული და მიჯნურობა; ეს კი სრულებითაც არ ახასიათებს ძეველს ქართველს.

მაშ „ვეფხვის ტყაოსნის“ სიუჟეტი ყოფილი სულ სხვა რამ. მასთან შოთა საიდან დაგვიხატავდა ტიპათ ნესტან-დარე-ჯანს, როცა იგი თვით თამარია?! ეგრეთვე მეცნიერებაში უკვე ცნობილია, რომ ყოველივე მოვლენა ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი ემორჩილება ევოლუციის მტკიცე კანონებს. საუკუნეთა ვითარებაში ხდება ქვეყნად ამ მოვლენათა სასტიკი ინტეგრაცია და დიფერანციალია, ე. ი. შეერთება და დაყოფა. ამას ვერ ასცდენია ვერც ერთი აგენტი, ბენებაა იგი თუ ადამიანი, ფიზიკური მოვლენაა იგი, ფსიქიური თუ სოციალური,

ამ რიგათ პოეზიამცა ანუ უკეთ ბელეტრისტიკმ გაიაჩა თავის ევოლუციური ფაზები და ჩაისხა აურაცხელ ფორმე-

ბში. ჯერ გაიარა მან მითიური ციკლი (ეპოქა თეოლოგიური  
 და გმირული, ე. ი. ღმერთთა, ზე-კაცთა და ბუმბერაზთა ხა-  
 ნა), შემდეგ ისტორიული ფაზა, (ეპოქა მეფეება, დიდებულ-  
 თა და რაინდთა), ბოლოს კი სოციალური (ე. ი. ეპოქა და  
 ტიპები ზოგად კაცობრიული, ეროვნული და დასური). ეს  
 უკანასკნელი ხანა იწყება 16—17-ტე საუკუნეში, (თუ არ  
 მივიღებთ სახეში ძველს რომსა და ათინას.), ისიც მხოლოდ  
 ევროპაში, რომელიც განვითარდა სამჩნევათ და მისმა ისტო-  
 რიამ მიიღო საზოგადოებრივი ელფერი იტალიის რენესანსით  
 და გერმანიის რეფორმაცით გამოწვეული. — ხელოვნება, პოეზია  
 და საერთოთ ყოველი დარგი ლიტარატურისა არის კაცის ან  
 ქრის სულის და ცხოვრების სარკე და გამოშესახველი. — „გმირუ-  
 ლი საბერძნეთი ჰქმნიდა გმირთა ეპოქეს, მეცხრამეტე საუკუ-  
 ნის საფრანგეთი კი ჰქმნის რომანებს“, ამბობს ვიუიო. ამ რი-  
 გათ მეთორმეტე საუკუნის რაინდულ საქართველოს შეეძლო  
 შეექმნა მხოლოდ ქებათა-ქება და პოემები მეფე-რაინდებზედ,  
 ტიპების დახატვა კი შედევრია სოციალურ განვითარებისა. და-  
 ვით-თამარის დროის ფეოდალურ-მონარქიული და სხოლა-  
 სტიურ-თეოლოგიური ხანა, ეჭვი აზაა, ვერ მისცემდა მასა-  
 ლის თუნდ დიდებულ გენიოსსაც, როგორიც იყო შოთა, და ე-  
 ხატა ტიპები, თუმცა, როგორც სხანს, ეს დიდი პოეტი გან-  
 თავისუფლებული სალიტერატურო რეტინისაგან, დასდგომია  
 სულ ახალი ორიგინალურ გზას, შეუქმნია ახალი ფორმა და  
 გაჰყავს თავის პოემაში ჰქმანიტარული აზრები. ამ რიგად შო-  
 თამ ორის საუკუნით დაასწრო დანტეს, პეტრარკის და ბოკა-  
 ჩიოს; ამიტომ თამამათ შეგვიძლიან ვუწოდოთ ქართველ პოეტს  
 შეიგეღი ჰქმანისტი. — როგორც შოთა, თითქმის იმგვარსავე  
 პირობაში იყვნენ ელინ-სპარსთა მწერლებიც, ამიტომ ვერც  
 ჰომირი და ვერც ფირდუსი ვერ შეჰქმნიდნენ ტიპებს; ამათ  
 უნდა ეხატათ მხოლოდ ისტორიული, მითური ან ფანტასტი-  
 ური პირები. ესპანიის მეთექვსმეტე საუკუნის მწერალს სერვან-  
 ტესს კი შეეძლო იგი, ე. ი. ტიპების შექმნა, თუმც სერვანტესი

ნიჭით და გენით დაბლა დგას, ვინემ ჰომირი, შოთა და ფირუსი.

ჩვენი ცხოვრება და მწერლობა მეცხრამეტე საუკუნეში არას დროს არ გასცილებია ისტორიულ ციკლს, ე. ი. მეფე-რაინდთა ხანას. ამიტომ ვერც შოთა და ვერც სხვა ვერ იზამდნენ უმაგალითო ნახტოშს და ერთბაშად ვერ დაგვიხატავდნენ ტიპებს. ამიტომ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ პატივცემულ აკაკის და მივიღოთ მისი ორიგინალური აზრი „ვეფხვის ტყა-ოსნის“ შესახებ.

## v1

ამავე მიზეზით არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ არც პატივცემულს ბ. ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ეკამათება აკაკის და ბრძანებს, რომ შოთამ თავის პოემაში დაგვიხატა ზოგად კაცობრიობრს ტიპები და არა ერთს ან თემისაო; ეს დაცურებაა თვით პატივის შემოქმედებითი ნიჭისაო — „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად კაცნი არიან, ზოგად აღამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი... ამაშია მთე-ლი სიდიადე რუსთველის გენიოსობისაო“. \*)

ფრიათ სასურველია ღირსეულათ დავაფასოთ და შევაქოთ რომელიმე მწერალი და განსაკუთრებით ჩვენი ეროვნული დიდება შოთა, მაგრამ მით არ უნდა დავგმოთ ქეშმარიტება. ვიმე-ორებ, არც საქართველო, არც მთელი აზია და ევროპა არ იდგნენ იმ დროს იმ გვარ განვითარებაზე და ისტორიულ წერ-ტილზე, რომ მათ დიდებულ მწერალთ შესძლებოდეთ ან საერო, ან მით უმეტეს მსოფლიო ტიპების შექმნა, როგორც შემდეგ-ში ეს შესძლეს სერვანტებმა, შექსპირმა, გიორგმ, ბაირონმა და სხვა.

მართალია, ჰომირის, ფირდუსის და შოთას მიერ დასახულ გმირთა სულსა და ხასიათში ჩვენ ვმზერთ როგორც ეროვ-

\* კიბ. გაზ. „ივერია“ 1887 წ. №№ 75—77.

ნულს, ისე ზოგად კაცობრიულ თვისეპებსაც, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ ამპირეტებს სახეში ჰქონდეთ საერთო ან მსოფლიო ტიპების გამოხატვა. ეს მოვლენა ამტკიცებს მხოლოდ მას, რომ ყოველი ადამიანი, ინდივიდი, ან გვარის, თემის, ერის და კლასის წარმომაგენელი და ტიპი უწინარეს ყოვლისა ჭარბია და ჰქანა ზოგად ადამიანს, თუმცა იმავე დროს აქვს თავის განსაკუთრებითი ინდივიდუალური ფიზიონომია. ამიტომ ყოველი ტიპის ან ყოველ ინდივიდის სიმართლით დახატულ სურათში უნდებლივ ემზერთ ეროვნულს და ზოგად კაცობრიულ ხაზებს, მით უმეტეს, როცა მათ ჰხატავს გენიოსის მაღლიანი კალამი.

ამისათვის სრულიადაც არ გვიკირს, თუ ბ. ილია ჭავჭავაძემ ავთანდილ-ტარიელში და ნესტან-თინათინში ჰქონა ზოგადი კაცის თვისებანი, აკაკი კი ეროვნული; ხოლო ვწუბვართ, რომ ამ პატივცემულ ავტორთ იმავე დროს ვერ შეუჩინევიათ ის, რაც უფრო ნათლათაა დახატული, ესე იგი იმ შირთა ანდაგადუადური სახე და ისტორიული სიმართლე.—ჩვენ კიდევ უფრო შემცდარათ მიგვაჩინა ცნობილ არმენისტის ბ. ნ. მარის აზრი „ვეფხვის ტყაოსანზე“. მას უსარგებლია შოთას ტაქტით, რომელიც გულისხმობს:

„ესე ამბავი სპარსული  
ქართულად ნათარგმანები,  
ვწოვე და დექსად გარდავქენ,  
საქმე ვქენ საჭრებმანები.“—ო.

და გამოჰყავს ის პარიორული აზრი, თითქო ეს დიდებული ნაწარმოები ქართული გენისა იყოს უბრალო თარგმანი სპარსულიდან. მასთან ბ. მარი გაიძახის რიხით, რომ თვეფხვის ტყაოსნის“ დედანი სპარსულ ენაზედ შაპრიარ-ნამეს სახელით ბრიტანიის მუზეუმში უნდა იყოსო. „რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის

იმედს ჯერ არ ვკარგავ. სპარსულ დედანში თვით ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ამბავი უნდა იყოს, თვით სახელებიც კიო...\*)

— თუმც ეს თავაზიანი პროფესორი დაგვპირდა, რომ აღმოვაჩინ თვით დედანსაო, მაგრამ გავიდა აგერ 12 წელი მას აქეთ და არამც თუ აღმოაჩინა იყი, არამედ სახელიც კი ვერ გვითხრა თუ რომელ ავტორის ნაწარმოებია. ადვილი მისახვედრია, რომ ეს გახლავთ მხოლოდ ბ. მარის ოცნების ნაყოფი. არავითარი დედანი „ვეფხვის-ტყაოსნისა“ არ არსებობს სპარსულ ენაზე, ვინაიდან კიდევ მეტიდმეტ საუკუნეში საქართველოს მეუე ვახტანგ მე-III-ს, სპარსული ენის შვენივრად მუოდნეს, ბევრი უძებნია სპარსეთში „ვეფხვის-ტყაოსნის“ დედანი, (ესეც იმ ტავპს შეუყვანია შეცდომაში), მაგრამ ვერ უბოვია „მთლათ გადვიკითხე, რაც კი რამ იყო სპარსულათ დაწერილი, და ამ ამბავს კი ვერსად შევხვდით“, ბრძანებს მეფე. მართლაც, თუ რამე შზგავსი ყოფილიყო, ვახტანგი უსათუოდ მოსძებნიდა მას.

თუ თარგმანი ან გადმოკეთებული ყოფილიყო „ვეფხვის ტყაოსნი“ აღმოსავლეთის რომელიმე პოემიდან, მისი დედანი აქამდე უსათუოდ აღმოჩნდებოდა, ვინაიდან დიდებული ნაწარმოები იქარგება ფრიდა იშვიათად, თითქმის სულ არა. მასთან „ვეფხვის ტყაოსნი“, როგორც სხვა ერის სულის ნაყოფი. ისე ღრმათ არას დროს არ ჩასწვდებოდა ქართველი ერის გულსა და სულს და არ დაამჩნევდა ამგვარ შესამჩნევ კვალს. დიდებული პოემები: ფირდუსის „შაჰნამე“ და ანგაირ სოილის „ქილილი და დამანა“ ორჯერ უთარგმნიათ ძველად ქართულათ, მაკრამ მათ არ ჰქონია მეასედი მნიშვნელობა მისი, რაც ჰქონდა „ვეფხვის ტყაოსნის“. მიზეზი აშერაა: ესენი ნათარგმნია და სხვა ხალხთა გენის ნაწარმოები, „ვეფხვის ტყაოსნი“ კი არის ის აბოლი მარგალიტი, რომელიც შეჰქმნა შოთას გენის სარდაფმა თვით ქართველის სულის ლტოლვათა ზღვაში. ბ. მარს თავისი აზრი ოდნავ შეუცვლია ამ ბოლო დროს;

აი, რას ბრძანებს იგი თავის ერთ შორმაში: „თავის ლექსების შხოლოთ მუსიკალურ მომხიბლაობის ძალით შოთამ შესძლო მიეკა ეროვნული ქართული სახე ნათარგმნ სპარსულ მოთხრობისათვის და გაეხადა იგი ხალხის კუთვნილებად.“ შემდეგ განაგრძობს: „როგორც ზოგიერთნი ამტკიცებენ, თუ ამ რომანტიულ პოემაში სურთ ჰპოთ თამარის ქება-დიდება ანუ მეთორ-მეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების სრული სურათი, ეს შესაძლოა მხოლოდ მისტიკური ახსნით, რომელიც დამყარებულია ისტორია-ლიტერატურულ ფაქტების სრულს უარყოფაზე და ხელოვნურათ აღგზნებულ პატრიოტიზმზე.“ აი რას ბრძანებს იგივე პროფესორი: — „ადვილათ შესაძლოა, რომ „ვეფზების ტყაოსნის“ გულ დაშით შესწავლაშ დაგვანახვოს ამ სპარსულ რომანის გალექსილ თარგმანში ქართულ-ავტორის ნაცნობ ტიპთა და მოვლენათა შეგნებული გამოხატვა თანამდროვეთათვის გასაგებ პოეტურ კილოკავებით. ამ კილოკაურ პოეზიას რამდონობით ვგრძნობთ ახლაც“ და სხ.\*)

აი რა გვარ ძალდატანებით და არა მეცნიერულ მეთოდით ჰსურს ბ. მარს თავისი აზრის დამტკიცება, რომ თითქო შოთას დიდებული პოემა გინდა თუ არა თარგმანიაო! ერთი შევეკითხოთ მას: ნეტა რა უყო ამ პოემის სპარსული დედანი, ისე რიხით რომ დაგვპირდა ის ამ 12 წლის წინათ! ნუ თუ აქამდე ვერ იპოვა იგი?! თითქო ბრიტანიის მუზეუმშიაო...

დაბოლოს ბ. მარს იქვე მოჰყავს „ვეფზების ტყაოსნის“ მე 1590-ე ლექსის რუსული თარგმანი, რომელიც არათრით არ წააგავს დედანს, და ჰმოწმობს, რომ ბ. მარს ან ვერ გაუგია ის ლექსი და ან განვებ დაუმახინჯებია ეს თარგმანი. აი მაგალითიც: შოთა ბრძანებს, რომ ესე ამბავი გავლექსეო „ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად“. ამას კი ბ. მარი თარგმნის ახ: «Кто (т. е. Давидъ) скигаетъ вѣроломныхъ и укрѣпляетъ преданныхъ». (?!) \*\*)

\*) Н. Марръ: „Тексты и розыскания по Армяно-Грузинской филологии“ Т. IV. 1902 №. ვვ. 51—56.

\*\*) ც. „Тексты и розыскания“... ვვ. 56.

მარისებური აზრი წარმოთქვა 12—13 წლის წინათ ბ. ნ.-დ—მა! მაგრამ ეს იყო უფრო გულწრფელი და თამამად აღიარა, რომ რუსთველმა თვის პოემის სიუცეტი და დედა აზრი ისესხა ნიზამის მოთხრობიდან, რომლის სახელია „მიჯნური და ლეილაო“.\*.) ამით ავტორმა დაამტკიცა, რომ იგი მეტად სუსტათ გაცნობია როგორც ნიზამის პოემას, ისე უცეფხვის ტყაოსანს.

## viii

განვიხილოთ მოკლეთ კიდევ სხვა ავტორების აზრი უვეფხვის ტყაოსანზე“ და მიუცეთ მათ საერთო პასუხი.

1. შროვ. დ. ჩუბინაშვალი ამბობს, რომ „ეს პოემა შექმნილია თვით რუსთველის მიერ და მისი მიზანი არის დიდება-თამარ მეფისა. ისტორია ტარიელისა არ არსებობს არც ინდოეთში და არც სპარსეთში. თუმც ვეფხვის ტყაოსანი აღმოსავლეთიდან არ არის გადმოღებული, მაგრამ აღმოსავლეთის ნიმუშების მიხედვით კი არის შედგენილიონ.“\*\*.)

2. მარი ბრასე: „ნათლათ სჩანს, რომ თვით შოთას შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისთვის და დაუწერია შეთანხმებითა საქართველოს მოთხრობისათა, აზრი ესე გამოცხადების იმ მუხლებით, სადაც ამბობს: „თამარს ვაქებდეთ... მიბრძანეს ქება...“ და სხვა. რუსთველის გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთი სიტყვით სრულს მათს ხასიათს გამოვეხატვენ.“\*\*\*)

3. დიმ. ბაქრაძე: „რაიცა შეეხება ვეფხვის ტყაოსანს, ჩვენის ფიქრით, იმის დედა აზრს ავტორი აფუძნებს თავისი დროის საქართველოს ისტორიაზედ. ამასთანავე დიდ მგზავრებას

\*.) იხ. უნ. „Северный Вестникъ“ 1889 წ. №№ 9 და 10.

\*\*) დ. ჩუბინაშვილი: „О грузинской поэемме „Вепхвись-ткаосани“.

\*\*\*) იხ. გ. ბროსეს შიერ გამოცემული უცეფხვის-ტყაოსანი.“

გვიჩვენებს შედარება ენის ფორმისა და ხასიათისა ვეფხვის-ტყაოსნაში და თამარის ბიოგრაფიაში<sup>1)</sup>. შემდეგ ისტორიკოსი აღარებს ერთმანეთს ინდოეთის შვიდ სამეცნოს და საქართველოს შვიდ საერისთაოთ დანაწილებულს, ფარსადანის ერთად ერთი ქალს ნესტანს, რომელსაც ზრდის მამიდა დავარ და გიორგის ერთად ერთ ქალს თამარს, რომელსაც ზრდის მამიდა რუსულან და პჰოებს ამათში დიდ მზგავსებას. ეგრეთვე ტარი-ელ და დავით სოსლანი დ. ბაქრაძეს ერთი და იგივე პირი შეონია „დასასრულ, —ამბობს ჩვენი ისტორიკოსი, თუ — ვეფხვის-ტყაოსანს საფუძვლიანათ გავარკვევთ, მაშინ, ეჭვი არა გვაქვს, ბევრს სხვა დასამტკიცებელ საბუთს მოგვცემს ამისას, რომ ავტორს აზრიდ აქვს საქართველოს პოლიტიკური წყობილება და ყოფა-უხოვრებაო“.\*)

4. გულაგი იმავე აზრს იმეორებს, რასაც ბაქრაძე და ჩუბინაშვილი. მისი აზრით, თინათინ თამარია და როსტევან—გიორგი III, არაბეთი კი იგივე საქართველო თავის უსიერი ტყით, ფრიალო კლდეებით, მწეფებრე მდინარეებით, ირმის და შეელის ჯოგით. \*\*)

5. ად. ხახხნაშვილის აზრით, ხალხში ნაწყვეტ-ნაწყვეტად დარჩენილი ლექსები ავთანდილზე, ტარიელზე და სხვ. შოთას მიერ გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემათ. — „პოეტ შეუტანია კაცის ამამალლებელი და განმასპერაკებელი გრძნობა სიყარულისა,—ამბობს პატიცემული პროფესორი,—თავიდან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და მით შეუერთებია საერო ლექსების ნაწყვეტები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემა ფილოსოფიურ მოსაზრებით, მეტყველის ენით და პოეტურის აღმაფრენით. შოთა დამღერის საერო პანგს, ნაციონალურ ხმას, თავის ნიჭით ამბობს ხალხში დარჩენილ ამბავს და ერსაც იმიტომ მოსწონს და უყვარს შოთა, რომ

\* ) ვაზუშირი: „საქართველოს ისტორია“ გვ. 218, შენიშვნა დივანებისას.

\*\*) გულაგი: „О Барсовой краже Руставели.“

ამ პოეტმა თვით ხალხის გულიდან ამოიღო შინაარსი თავის „პოემისაო“.\*)

6. გვარა-ფშაველა საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ბ. ხახანა-შვილის აზრს და ამბობს, რომ მხგავსება შოთას პოემასა და ხალხურ „ტარიელის ამბის“ შორის საკმაო არ არის, რომ ვთქვათ — პირველი შედეგინილიქნა უკანასკნელის შემწეობითაო. ხალხი ხშირად ცვლის და ასხვაფერებს სალიტერატურო ნაწარმოებს. ავტორს მოჰყავს მაგალითი თუ როგორ იცვლება ხევის ბერის პირში საქართველის სიტყვები. ვავა-ფშაველას სწამს, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი“ თვით შოთას ნაწარმოებია და ამ ქმნილებაში გამოხატულია პოეტის თანამედროვე ქორქა, ოქროს საუკუნე, „რომელიც იალბუზივით ქედ მოღერებული დგას მთელს საქართველოს ისტორიაში“ ო.\*\*)

7. ბლ. იასე ედიანი, ალ. ნანე შვალი და მთსე ჯანაშვალი რუსთაველის პოემას ხადიან ეროვნულ ნაწარმოებათ და მასში მხერენ საქართველოს ზნე-ჩვეულებას, პოლიტიკურ წყობილებას და ეროვნულ ელემენტის უცხო ელემენთან ბრძოლას. ამ მხრივ ამათი აზრი ძლიერ წააგავს დ. ბაქრაძის გამოკვლევას. მოსე ჯანაშვილს გაჰყავს პარალელი ვეფხვის ტყაოსანსა და ქართლის ცხოვრებას შორის და ამბობს, რომ ნესტან-დარეჯან თამარია და ფარსადან მისი მამა გიორგი III, ტარიელ დავით სოსლანია, თამარის მეორე ქმარი, ხეარაზმაშავ კი გიორგი რუსია, — თამარის პირველი ქმარი; ავთანდილ ამირ-სპარსალარი გამრეკელიაო და სხ. თამარს თავის სურვილის წინააღმდეგ მოჰყვრიან საქმროდ გიორგი რუსს, რუსეთის მეფის ანდრია ბოგოლიუბესკის შეილს. თითქმის ქორწინების, მეორე დღესვე მას გაჰყვანიან ჯარით ყარსს საომრად. თამარს და მის მომხრეთ არ სურთ ეს უცხო ელემენტი გიორგი რუსი, ვიღაც „ბარბაროზი, სკვითი დ ხაკანი“ და განდევნიან მას საქართველოდან. გიორგი რუსი ბრუნდება

\*) А. Хахановъ: „Груз. поэтъ ХІІ в. III. Руставели и его поэма „Барсова кожа“. ევრეთვე გაზ. „ივერია“ 1890 № 15.

\*\*) იბ. გაზ. „ივერია“ 1890 წ. № 39.

ბერძნის ჯარით; საქართველო - ღელავს, იყოფა ორ დასათ, ხდება ომი და შეტაკება, თამარ და დავით სოსლანი ორჯერ საბოლოოთ ამარცხებენ გიორგი რუსს და შემდეგ ქორწინ-დებიან. „ასრე იმარჯვებს ნაციონალური მიმართულება თამა-რის ცხოვრების მოთხრობითაც და ვეფხვის-ტყაოსნითაც. „ეგვ ამბათ არ ეგების, რომე სპარსენი გაგვიხსდენო“, არ, ჩვენის აზრით, ვეფხვის ტყაოსნის დედა-აზრი, — ბრძანებს პატივცემული ისტორიკი, — რომელიც დიდ ხელოვნურად მოუქარგავს უკვდავ მამული შვილს და იგავურად მიტომ გამოუთქვამს ეს აზრი და ინდოეთსა და არაბეთს იმიტომ გადუტანია ეს ამბავი, რომ ნამდვილის სახელების აღნიშვნით, ა) არ გამოაშეარავებულიყო ყრმობიდანვე გაჭრით გამიჯნურება ორთავე მნათობთა, რო-მელთათვის ესრეთი კამოაშეარავება საჩითიროცა და საწყე-ნიც იქნებოდა, (ნეტა ვიცოდეთ რისთვის?!); და ბ) არ შეუ-ადცხოვილიყო პიროვნება იმ კაცებისა, რომელთაც დავით სოსლანის გამეფება არა სწადდათ და რომელთაც აქვე უძლათ ბუნება კეკლუცთა ზედან ფრენითა. <sup>\*)</sup>(?).

შეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ ბ. მურავიოვის აზრიც.

8. მურავიოვი: „შოთა რომ წერდა ვეფხვის ტყაოსანს, ალტაცებული იყო ამ მიუწდომელ მფლობელის, (ე. ი. თამა-რის) სიყვარულით. მისი სასპარეზო შოთამ გადიტანა არა-ბეთს, რადგან ვერ გაპბედა პირდაპირ დაქასხელებინა ეს მეფე-კაცნი და ისინი დაგვიხატა მოგონილ სამეფოს მოგონილ მფ-ლობელების სახით. ძლიერი მეფე გიორგი კი, თამარის მამა, დახატა დიდებულ მეფე როსტევანად. „ვეფხვის ტყაოსანი“ შექმნილია საქართველოს შეურვალე ცის ზეგავლენა-შთაგონე-ბით და რუსთველის გულის სიყვარულით. მე თითონ ეიხი-ლე ის ადგილები, სადაც შოთას აუკვნესებია თავისი ქნარი, ის ადგილები და პალატნი დიდებულ დელოფლისა, სადაც თ. ნ. დადიანი მიკითხავდა შოთას პოემას, რომლის ზოგიერთი

<sup>\*)</sup> იხ. გან. „ქავკავ“, 1884 წ. № 248, „ივერია“, 1890 წ. № 14 და მ. ჯანაშვილი: „შოთა რუსთაველი“ 1896 წ. გვ. 68—93.

სახენი თვალშინ წარმომიდგენ მეორე დღეს დ. ხონში საერთ  
დღესასწაულზე.“ \*)

### IV

ზერე მოყვანილი აზრი ვეფხვის ტყაოსანზედ იყოფა სამ  
ჯგუფა:

1. პირველი აზრი ეკუთვნის დ. ჩუბინაშვილს, მ. ბრო-  
სეს, ვაჟა-ფშაველას და რაოდენობით მურავიოვს. ეს ავტო-  
რები ბრძანებენ, რომ ვეფხვის-ტყაოსანი ეროვნული პოემა  
და იგი დასწერა შოთამ თამარ მეფის და მისი დროის სადი-  
დებლათაო.

2. მეორე აზრი ალ. ხახანაშვილისაა. იგი ცდილობს და-  
გვიმტკიცოს, რომ თითქო შოთამ შეკრიბა ხალხში გავრცე-  
ლებული ლექსები და თქმულებანი ტარიელ-ავთანდილზე და  
მით შექმნა ეს უკვდავი პოემაო.

3. მესამე აზრი კი წარმოთქვეს პირველათ პლ. იოსე-  
ლიანმა და დიმ. ბაქრაძემ; გაიმეორეს იგი გულაკმა, ნანეიშვი-  
ლმა და ჯანაშვილმა. ამ უკანასკნელმა შეავსო ეს აზრი. ამ ავ-  
ტორების გამოკვლევით შოთას პოემის დედა აზრი არის და-  
ფუძნებული იმ დროის საქართველოს ისტორიაზედ. ესენი პოე-  
ბენ დიდ მზგავსებას რუსთაველის გმირებსა და გიორგი III-ის  
ოჯახ შორის და მზერენ თვით პოემაში საქართველოს პოლი-  
ტიკურ წყობილებას, ცხოვრებას და ნაციონალურ ბრძოლას.  
ამათის აზრით, ტარიელ და დავით-სოსლანი ერთი და იგივე  
პირია.

ჩვენ ვერ შევიწყნარებთ პირველსა და მეორე აზრს. ღრმათ  
რომ ჩავუკვირდეთ და გავარკვითთ, ვცნობთ, რომ პოემაში  
არ სჩანს არც თამარის და მისი დროის დიდება და არც, მით  
უმეტეს, ხალხური ლეგენდები და თქმულებანი. პოემაში ვერ-  
სად ვმხროთ ჩვენ თამარს ბრწყინვალე მეფეს, იალბუზივით ამა-

\*) მურავევ: „Грузія и Арменія“ 1848 წ. გვ. 216—215.

ლლებულს, საქართველოს მფარველს, კავკასიის ღვთაებას და მუსლიმის რისხესას. ჩვენ ვერ ვმხერთ აქ მის დიდებულ სარდლებს და უძლეველ მხედრობას, ვერ ვმხერთ მის ზენარ შეოსანთ და განათლებულ ერს. ერთი სიტყვით, პოემაში არ სჩანს თამარ თავის მეფეური შარავანდედით. მართალია, თამარ არის გამოყვნილი ვეფხვის ტყაოსანში, მაგრამ მას აქვს სულ სხვა როლი. თუ თამარ თინათინია, მას აკურთხებენ მეფედ, იძლევა უხვათ წყალობას, ჰეზავნის თავის მიჯნურს აფანდილს ტარიელის საძებრათ, ჰფიცაეს შენს მეტ კაცს არ წავყვე ცოლათო და ბოლოს მითხვდება კიდეც. აი რით იფარგლება თამარის როლი. იგი მეტად ვიშრო და უფერულია.

თუ თამარ ნესტანია, მით უმეტეს, აქ ხომ სულ ვერ ვმხერთ თამარს, როგორც დიდებულ მეფეს. აქ ჩვენ წინ მხოლოდ სიყვარულით შეპყრობილი შევნიერი ქალია, მეფის ასული, მას გაუგებენ ფარულ გრძნობას, სცემენ სასტიკად, მისცემენ ზანგებს და გადაკარგვენ. შემდეგ მას დაიკერენ ქაჯები და დაატყვევებენ ციხეში. ეს ნაზი, ციური არსება იტანჯება იქ და სტირის სამ-ოთხ წელს, მოსთქვამს თავის დასჯილ სიყვარულს და დაკარგულ მიჯნურს. ბოლოს გაულიმებს ბედი, ცნობს მის ამბავს მისი ტარიელ მეგობრების შემწეობით, მოვლენ გმირები, აიკლებენ ციხეს და გაანთავისუფლებენ შევნიერ ნესტანს. აი მთელი მოთხოვა! ნეტა სად სჩანს აქ თამარ-მეფის სიდიდე და მისი ბრწყინვალე ეპოქა?!

მით უმეტეს ეს პოემა არ არის არც ხალხური ლეგენდა, არც სიმბოლო და ალეგორია, რადგან წინასიტყვაობაში ნათლათ სჩანს, რომ თამარის ბრძანებით ანუ ნებართვით არის დაწერილი ეს პოემა და მის გმირებსაც მეტათ ახლო კავშირი აქვთ იმ დროის ისტორიული პირებთან.

შედარებით ბევრათ უფრო საფუძვლიანია და სერიოზულათ გამორკვეული მესამე აზრი. სჩანს, ამ აზრის მთქმელნი შესაფერათ ჩაპეკირვებიან როგორც პოემის შინაარსს, აგრეთვე გთორგი-თამარის ეპოქას. ხოლო მათ ვერ უპოვიათ პოემის მთავარი ღერძი, ვერ უცვნიათ თუ ვინაა მისი უუმთავრესი

გმირი ტარიელ — და დაბნეულან. აი, იმ უმთავრეს შეცდომიდან მომღინარებს შემდეგ მათი ლოგიკური შეცდომანი, აზრების დახლართვა და ბენდოვანობა.

მართალია შოთას პოემაში სჩანს საქართველოს პოლიტიკური წყობილება, ჩანს დიდი მზგავსება გიორგი III-ის ოჯახსა და პოემის გმირებ შორის, მაგრამ ამავე დროს პოემაში სჩანს აჯანყება და დინასტიური ბრძოლაც. ვინ ასტეხა ეს ბრძოლა? პატივცემულმა ავტორებმა ამაზე ნათლათ ვერაფერი გვითხრეს და დაიბნენ. თუ ტარიელ დავით სოსლანია, მაშვილა აფანდილ, რომელიც ირთავს თინათინს, ესე იგი თამარ მეფეს? მ. ჯანაშვილი ბრძანებს, რომ აფანდილ გამრეკელია; საიდან? აბა, როდის შეირთო მან ცოლად თამარ მეფე?! მასთან ნუ თუ შეილათ აყვანილი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავით სოსლანი იყო, როგორც პოემაში ტარიელია?! ნუ თუ დავით სოსლანმა მოახდინა აჯანყება საქართველოში და მოსთხოვა გიორგი მეფეს ტახტი ისე, როგორც ჩაიდინა ტარიელმა?! რატომ არ ჩაუკვირდნენ ამ გარემოებას უფრო ღრმად ჩვენი პატივცემული ავტორები?! აგრეთვე თუ ტარიელ დავით სოსლანია, ნეტა რისთვის მოთქამს რუსთველი ცრემლ შეუშრობლათ თავის საყვარელ გმირს?! ნეტა რა ატირებს პოემის დაწყებიდან ბოლომდე?! თუმცა ტარიელი აღწევს მიზანს, მაგრამ შოთა მაინც სულ მუდამ სტირის მას.

გარდა ამისა, თუ ტარიელ დავით სოსლანია, ნეტა რა საჭირო იყო ან ამ პოემის დაწერა ან თამარის ბრძანება და მისი შინაური ცხოვრების გამოაშკრავება?! ან რა რიგ დასწვავდა შოთა ამ პოემის დაწერით დავით-თამარის ორგულთ და დაამაგრებდა მათ ერთგულთ, როგორც იგი ამბობს პოემის ბოლოში?! ან რათ უნდა აეშფოთებია ამ პოემს იმ დროის დიდებულნი და მეტადრე სამღვდელოება?! ან რათ მოსთქვამს პოეტი თამარს „სისხლისა ცრემლ დანთხეული“?! თუ მართლა თამარს უყვარდა დავით და სურდა ქმრათ, რათ არ მითხოვდა პირველათვე?! ვინ უშლიდა?! რათ მითხოვდა გიორგი რუსს?! თუ კი მეორეთ გათხოვდა დავითზე, თავშივე შეეძლო ჩაედინა ეს საქმე!

იმ დროს თამარ იყო მეფე, დედ-მამა არჭავდა ცოცხალი, ის იყო ქვეყნის მძიმანებელი, მასთან მეტათ ბრძენი და გავლენიანი ქალი, ამიტომ ადვილათ შეეძლო მოყვანა სისრულეში თავის განძრახვა და პირველითვე მითხოვებოდა დავითს. მასთან ძევლს მწერლობაში და მატიანებებში არსად სჩანს, რომ დავით-სოსლანს სდომებოდეს თამარის შერთვა და ვისმეს წინააღმდეგობა გაეწიოს!

არა, აქ სხვა ამბავია... არც გარეგნობით, არც ხასიათით და არც ისტორიულ სვე-ბედით დავით-სოსლანი არ ჰქავს ტარიელს; პირიქით, ის ძლიერ წააგავს ავთანდილს და, ჩვენის აზრით, როგორც ქვემოთ დავამტკიცებთ, შოთას დავით სოსლანი ჰყავს გამოყვანილი ავთანდილათ, რომელიც ირთავს სამიოთხი წლის შემდეგ მეფე-თინათინს, ე. ი. თამარ მეფეს. მაშვინაა ტარიელ? ვინაა ფრიდონ? ერთი და იგივე პირებია ნესტან და თინათინ, როსტევან და ფარსადან თუ სხვა და სხვა? რა არის პოემის დედა-აზრი? აი, ამ საგანს გვსურს შევწიროთ ეს მცირე შრომა.

## 12

მაშვინ რას წარმოადგენს „ვეფხვის ტყაოსნის“ დედა-აზრი და სიუჟეტი? საიდანაა აღებული იგი? თარგმანია ეს პოემა თუ თვით-არსი? ყოველივე ამის გასარკვევათ ჩვენ გვაქვს სამი წყარო: პირველი და ყველაზედ უფრო სამნიშვნელო არის თვით ეს დიდებული პოემა, რომლის წინასიტყვაობაში და ბოლოში არის გატარებული ფრიად საგულისხმო აზრები; ეს აზრები-კი ნათელს ჰქონენ პოემის დედა-აზრს, სიუჟეტს და გვამხელენ მის საიდუმლოებას. მეორე წყაროა დავით აღმაშენებელის და თამარის დროის მატიანე; ქართლის ცხოვრება, სტეფანოზ ორბელიანის და გახუშტის ისტორია, ეგრეთვე სხვა ისტორიული მონოგრაფიები. მესამე კი ზეპირ გაღმოცემინი. დავიწყოთ პირველიდან ე. ი. განვიხილოთ „ვეფხვის ტყაოსნის“.

რას გვეუბნება პოემის წინასიტყვაობა? იგი გვამუნებს, რომ პოეტს დაუწერია ეს ნაწარმოები თამარის და დავით სოსლანის ბრძანებით, ანუ უკეთ ნებართვით, რომ ამ პოემის სიუჟეტით გამიჯნურებულა ე. ი. აფრთოვანებულა თვით ავტორი, რომ უმთავრესი გმირი ქალი პოემისა არის თვით თამარ. „მიბრძანეს მათდა საქებრათ თქმა ლექსებისა ტკბილისა“-ო ამბობს შოთა. პოეტიც აქებს თამარს მოთქმით და საშინელი ცრემლის დენით:

— „თაშარს გაქებდეთ შეფეხსა  
 სისხლასა ცრემლ-დათხეული,  
 ვსთქვენით ქებანი ვისნიშე  
 არ აქად გამორჩეული,  
 შეჭნად ვისმარე გიშრის ტბა  
 და გაჭმად მინა რხეული,  
 ვინცა ისმინთ, დაესვას  
 დახვარი გულსა ხეული“.

ნეტა რად სტირის, რად მოსთქვამს ასე უცნაურათ პოეტი თამარს? ნეტა რა სჭირდა სატირალი ამ ღიღებულ მეფეს, ამ ყველაფრით შემკულ ადამიანს? რად უწუსს ამ რიგათ შოთას გული თამარზე? ვითომ სიყვარულია ესა? ვითომ თავის მიჯნურობა ატირებს მგოლანს? მაგრამ ამის შესახებ კიდევ ვთქვით ზეით: შოთას რომ თამარჲყარებოდა, ასე აშეარათ და გაბედვით ვერ დამლერდა თავის გრძნობას-მეთქი. მასთან ამ ცრემლსა და გოდვას პირად სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს ცრემლი სულ სხვა ხასიათის ცრემლია. მაშა რა შეემთხვა თამარს ისე უცნაური, რომ ააშფოთა პოეტი?

შოთა აქებს თამარს, მაგრამ რომელ თამარს? ბრწყინვალე მეფე თამარს კი არა, რომელმაც განადიდა მთელი საქართველო, ააყვავა ქვეყანა, მოჰყინა ერს სიმძლავრე, განათლება და რომლის წინაშე თრთოდნენ სპარსეთის შაპი, ბალდადის ხალიფა და ანატოლიის სულთნები; დიახ, შოთამ არ დაგვი-

ხატა ის კოლხიდა - ივერიის შვენიერი ცისკარი, კავკასიის ლეთაება თამარ, რომლის საქებრად ააკრთეს ქნარი ჩახრუხაშ და შავთელმა, შოთამ არ დაგვიხატა არც თამარის გმირი სარდლები, უძლევი მხედრობა და ქართველის ლალი სული; არა, პოეტმა დაგვიხატა მხოლოდ ნესტან-დარეჯან, ესე იგი თამარ ბედ-შეგი, თამარ ზენარად შეეგარებული, თამარ ტანჯული და ქავეთის ე. ი. ქაბულევის ფიხეში დამწევდეული, თამარ გმობილი და უდინაშაულოთ გაქირდული. აა როგორი თამარის ქება და მისი შიროვნების აღდგენა უბრძანეს შოთას! გთხოვთ ამას მიაკციოთ შესაფერი ყურადღება.

მაგრამ გარდა თამარისა შოთას სატირალია და სამგლოვარო კიდევ მეორე უმთავრესი გმირი, რომელიც არის თვით სული და გული პოემისა და რომლის სახელს ატარებს ეს უკვდავი ნაწარმოები. ეს გმირია ტარიელი. ამის მწარე ხვედრი კიდევ უფრო უკლავს გულს ჩვენს პოეტს:

„მთ დავსხდეთ ტარიელისთვის,  
ცრემლი გვდის შეუშრობელი,  
მისებრი შართ დაბადებით  
გინცა უოუილა შობილი,  
დაგსჭე რესთველმან, გავდექსე,  
მისთვის გულ-ლახეარ სობილი,  
აქამდის ამბათ ნათქეში,  
აწ მარგალიტი წელილია.“

შოთა მოსთქვამს შეუშრობელი ცრემლით თავის საყვარელ გმირს; მისთვის გულ-ლახეარ სობილია იგი, და აპა ლექსაგს მას, რაც მომხდარა და თქმულა მასზედ ამბათ. ნეტა ვინაა ეს ტარიელ, ისტორიული პირია იგი თუ პოეტის ფანტაზია? ნამდვილი სახელია ეს თუ მოკონილი? ჯერ ეს ჩვენთვის საიდუმლოა. თვით პოემა ამაზედ არას გვეუბნება. აწ მხოლოდ ვტყობილობთ, რომ ტარიელ მეფის შვილია და ნათესავი ნესტანისა ე. ი. თამარის, რომელიც შეუყვარდა მას; ტარიელ ამირბარია, მხედვეობარი, შვენიერი თვალ-ტანადი და რაინდულ ყოფა-ქცევის

ჭაბუკი, მასთან ნესტანის, ე. ი. თამარის მამის მეგშენებელი შეიღებიდა და ცახტას მემკენიდრე. ვიცით, რომ ამ ახალგაზღამ მოჰკულა ნესტანის საქმრო, აუჯანყდა თავის გამზრდელ მეფეს, გამაგრდა ციხეში და მოინდომა გამეფება. შემდეგ მას ვმზრდო დიდხანს ველად გავარდნილს, სადაც იგი ეძებს დაკარგულ სატრფოს, ვმზერთ და თითქმის ვგრძნობთ მის მწარე ცრემლებს და ტანჯვა-მწუხარებას. მაგრამ ღმერთმა არ გასწირა იგი, ამოუჩნდა ორი თავდადებული მეგობარი, ისინი ტყობილობენ იმის სატრფოს ბინას, მიღიან ტარიელთან ერთად ქაჯეთს, იკლებენ ციხეს და ანთავისუფლებენ ნესტანს.

ეს თავისი გმირი, ეს ტარიელ ყველაზედ უფრო შეყვარებია შოთას, იგი არ ზოგავს თავის ზენაარ ჩანგის სიმებს, გრძნობას, მხატვრობას და გენიოსურ ნიკს, რომ რაც შეიძლება ნათლათ, მწვავეთ და ბნელი ფერადით დაგვისურათოს ამ ველად გავარდნილ მიჯნურის სულის კვეთება და წამებანი. პოეტის გულის სიმები სტირიან ამ უბედურ მიჯნურთან ერთად და გვატირებენ მკითხველს. და, აი, ეს ორი შეყვარებული გმირია პოეტის აღმაფრენის მიზეზი და სამიჯნურო საგანი. ამ ორ შეყვარებულს შეტრფის და გოდებს იგი, მათთვის ხელობს და ტირის მწარეთ მგოსანი.

## x

ნესტან იზრდება თავის მამიდა დავართან ისე, როგორც თამარ მამიდა რუსუდანთან. მისი მამა ფარსადან მეფეა შვიდი სამეფოსა, ისე როგორც თამარის მამა გიორგი III; ტარიელ უფროსია ნესტანზე; ისინი ბავშვობითვე იზრდებიან ერთად; შემდეგ კი შვიდი წლიდან ნესტანს აძლევენ მამიდა დავარს ასაზრდელათ. ასაკში მოსული ნესტან და ტარიელ ნახვენ ერთმანეთს და წამსვე ტრფალების ცეცხლი მოედება ორივეს. მათ შეუყვარდებათ ერთმანეთი. აქ პოეტი არ ზოგავს თავს, რომ დაგვიხტოს ამ ზენაარ გრძნობის ძალა და სიდიდე. ის აქ იჩენს შეუდარებელ ფიხოლოგიურ ნიკს და შემქნელ ძა-

ლას. პოეტს სურს დიდებულათ დახატოს თავის გმირები, მათი სიყვარული და მეგობრობა, ამიტომ გალობს იგი.

„აშენ ენა მინდა გამოთქმად  
გული და სეჭდვანება,  
ძალი მოშეც და შეწევნა  
შენგნით მაქას, მავრე გონება,  
მით შევეწიგნეთ ტარიელს  
ტურფადცა უნდა სენება,  
მათ სამთა გმირთა შნათობთა  
სჭირთ ერთმანეთის მოწება.“

და მართლაც იშვიათის ხელოვნებით ასურათებს იგი თავის გმირებს. მიუხედავათ ამისა, შოთა არ სჯერდება ამ დასურათებას და თავის წინასიტყვაობაში იგი გამოდის დამცველის როლში. აქ იგი ხდება ნესტანის, ე. ი. თამარის და ტარიელის ვექილად. იგი შიშობს, ვაი თუ ვერ გაიგონ თუ რაა ნამდვილი მიჯნურობა და ლვთაებრივი სიყვარულიო, ვაი თუ ვერ სცნონ ეს დიდი გრძნობა, ვაი თუ ჩირქი მოსცნონ ამ ორ შეყვარებულ გმირთ და მონათლონ არა საკადრისი სახელით, ამიტომ წინასიტყვაობაში ახლად მართავს იგი ჩანგა და დამღერის მხნედ:

— „მიჯნურთბა სწავა რაშე,  
არ სიძეისა დასადარი“-თ და სხ.

ამის შემდეგ რუსთაველი იხსენიებს თამარს, „ვის მორჩილებს ჯარი სპათა“, და ამზღავნებს თავის დაუძლურებას ამ მიჯნურთათვის; მაგრამ, თითქო გაახსენდა რაღაცო, უეცრივ შეჩერდება. პოეტი თითქო შფოთავს და წუხს, არ მიმიხვდნენ ამ საიდუმლოსაო, ამიტომ სცდილობს გადააფაროს მას ფარდა და დაუმალოს მყითხველის ცნობის-მოყვარეობას; ამ მიზნით უღერს შოთას ჩანგი:

— ესე ამბავი სპარსული  
ქართებად ნათარგმანები,

ეთ შარგალიტი თბოლი  
 სელის-ხელ საგოგმანები,  
 გრძელ და ლექსად გარდავთქვი  
 საქმე ვენ საჭაჭალები“.

აქედან სჩანს, რომ თითქო პოეტის ეს ამბავი ენახოს სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი და ლექსად გადელოს. \*) მაგრამ ეს მხოლოთ მეტად მცვირვალე წილაბია. ამით იგი ვერავის შეაცდენდა და მართლაც არც არავინ დაუჯერა, როგორც ვცნობთ შემდეგში. მასთან ამ ტაეპით სჩანს, რომ შოთას ჯერ მთელი პოემა დაუწერია და მერე წინასიტყვაობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც თუ პოემა უბრალო თარგმანია, მაშინ რაღათ იყო საჭირო წინასიტყვაობა, ან რა რიგათ იქნებოდა იგი თამარისთვის დაწერილი? და თუ ეს პოემა თვით არსია, შიგაც ნამდვილი ფაქტია აწერილი; მაშინ წინასიტყვაობას აქვს თავის არსებობის საბუთი. მთელი პოემის და წინასიტყვაობის სულიდან კი ვამჩნევთ, რომ თამარს გამეფეხბამდე შემთხვევია რაღაც საოცარი ამბავი; მას ზენაარათ შექმენებია ვიღაც გამოჩენილი კაცი, თავის ნათესავი, ამასთანავე მამა მასის ნაშვილევი და ტახტის მემკვიდრე. ესენი დაუშორებიათ ერთმანეთისთვის და თამარ გრუხოვებიათ ჯერ გორგი რუსზე და შემდეგ დაგით სოსალაზე. ამ პირველ სიყვარულს ძლიერ აუშფოთებია ყველანი, ვერ გაუგიათ იგი, შექმნილი მითქმა-მოთქმა, გაუხარებია ორგულნი და დაუჩაგრია ერთგულნი, თვით თამარ-დავითისთვის კი მოუცხია საშინელი ჩირქი. ამას ჩვენ ვტყობილობთ პოემის ბოლო ლექსიდან:

— „ქართველთა დეთის დავითის  
 ვის მზე მსახურებს სარებლად,  
 ესე მშენები გავლექსე  
 მე მათად საქამათებლად,

\*) მ. ჯანაშვილის აზრით, თარგმნა ნიშნავს გარე კვევას. ასე წინავდენ წინათ ამ სიტყვასთ, ამბობს იგი. იხ. მისი „წოთა რუსთველი.“

ეინ არის ადმისავდეთით  
დასაგდეთს ზართა მარტბლად,  
ორგულთა მათთა დამწველად  
ერთგულთა დამამაგრებლად“.  
დავითის ქნარი ვითა ვსთქვნე  
სიჩალეს, სიხაფეთანი,  
ესე ამბავს უცხონი,  
უცხოთა ხელმწიფეთანი,  
ბირველ ზნენი და საქმენი,  
ქებანი მათ მეფეთანი,  
ვჰოგე და ლექსად გარდაჭითქვენ,  
ამითა ვილაყუეთანი.“\*)

აქედან სჩანს, რომ ამ პოემის დაწერის დროს თამარ ყოფილა გათხოვილი მეორე ქმარზედ, ე. ი. დავითზე, რომელიც იყო ბაგრატოვანთ გვარის, ოსთა მთავრის შვილი და რუსულანის გაზრდილი.

როგორც ზეით ვთქვით, ამ პოემაში მოყვანილ ამბავს, ე. ი. ნამდვილ ფაქტს მეტათ უმოქმედნია და აუხმაურებია ყველანი, ამიტომ შოთას თამარის და დავითის ბძანებით ანუ ნებართვით დაუწერია ეს პოემა იმ მიზნით, რომ დაეხატა ყველასთვის სულ სხვა სურათი, აღქრა დავით-თამარზედ ახალი კამათი და მით დაეწვა მათი ორგულნი და გაემხნევებია ერთგულნი. ამავე დროს შოთა კვლავ ზიმართავს თავის პირვანდელ ხრის, კვლავ აფარებს სალაფარდას და გაიძახის: თუმც ეს უცხო მეფეების ამბავია, ვპოვე და გავლექსეო, მაგრამ მაინც ამიტყდნენ ამაზე და სალაყბოდ გავხდითო. აქედან კიდევ აშკარათ სჩანს, რომ უბრალო თარგმანი და უცხო მეფეთა ამბის გალექსვა, ვგონებ, არავის გააცხარებდა და ააშფოთებდა, აქ რომ სხვა რამე არ ყოფილიყო. მასთან სპარსულიდან თარგმანით პოეტი ვერ დასწვავდა დავით-თამარის ორგულთ და ვერ გაამხნე-

\*) კურსივი ჩვენია.

ვებდა ერთგულთ. რაც შეეხება შოთას სიყვარულს თამარისზა-  
ლმი, ეს კიდევ უფრო ნაკლებ სჩანს ამ სტრიქონების შემდეგ.  
თავის პირად სიყვარულის გალობით იგი კიდევ უფრო ნაკლებ  
დასწვავდა თამარის ორგულთ და ნაკლებ გაახარებდა მის ერთ-  
გულთ. რაც შეეხება რუსთველის მიჯნურობას, ანუ უკეთ მის  
გულის გამიჯნურებას, რასაც იგი იხსენიებს წინასიტყვაობაში,  
ვიტყვით, რომ პოეტს სულ სხვა რიგათ ესმის თავის ტრფობა  
და მიჯნურობა. ეს მიჯნურობა მისი მერანი, მისი პოეტური  
აღმაფრენა და არა ქალის სიყვარული და „კეკლუცთა ზედან  
ფრენა“. აი როგორ ახასიათებს მგლისანი თავის მიჯნურობას:

— „გთქეა მიჯნურობა ჰირველი  
და ტოში გეართა ზენათა,  
ძელად სათქმელი, საჭირო  
გამოსაგები ენათა;  
იგია საქმე საზეო,  
მომცემი აღმაფრენათა.

— მიჯნურნი შმაგსა გვიქინ  
არაბულითა ენითა,  
მით რთხე შმაგლის მისისა  
გერ მისდომისა წერნითა;  
ზოგთა აქეს სადოთა სიახლე,  
დაშვერებას აღმაფრენითა,  
კვლავ ზოგთა ქე-უც ბუნება  
ქმედულთა ზედან ფრენითა.“\*)

ს. ქვარიანი.

(დასასრულო იქნება)

\*) კურსივი ჩვენია.

# ორიოდე სიტყვა

## სეანურ ენის შესახვები

„ამბობენ, რომ სვანური ენა დამახინჯებული ქართულიაო, მაგრამ საკვირველია, რომ სვანებს არ ესმით ერთი სიტყვაც-კი ქართულად; ლაპარაკობენ ცოტანი უშგულში, ლაპარაკობენ ქართულად თავადები, ლაპარაკობენ დიაკვნები და ცკლესიის მნათები, ლაპარაკობენ ესაულები სვანეთის ბოქაულისა; მსურს გავიგო — კიდევ ვინ ლაპარაკობს, ან ვის ესმის ქართული სვანეთში?“ სწერს ბ-ნ სტოიანოვი თავის მოგზაურობის ოღწერაში, სწერს, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. ნეტავ ვიცოდეთ, სად გამოსცადა სვანები ბ-ნმა სტოიანოვმა (გიმნაზიის მოწაფეებსავით) ქართულის ცოდნა-ლაპარაკში? თუ სვანეთში მოგზაურობის დროს შეიტყო, არ მესმის — რა ნაირად; იმას ჰქონდა საქმე მხოლოდ თავადებსა და რამდენსამე გლეხთან და არა ყველასთან და თავადები ხომ ლაპარაკობენ ქართულად, ბ. სტოიანოვ? თუნდაც რომ ჰქონდა, სვანი მაინც სვანურს გააგონებდა მას და ქართულს, თუ კი არ დასჭირდებოდა, რათ ეტყოდა მას? მით უფრო, რომ თითონ ბ. სტოიანოვი არ ესაუბრებოდა ქართულად. მაშ რა ნაირად გაიგო ბ. სტოიანოვმა, რომ სვანებმა ქართული ლაპარაკის ინჩიც არ იციან? მობრძანდი, ბ. ჰედაგოგო, დაჲყევით ს. უშგულიდან, გაიარეთ კალა, გადალახეთ იფრი-წვირმი, შედით მულახ-მუზალში, ჩაჲყევით ს. მესტიას, ლენჯერს, ლატალს და ნახავთ, რომ ამ სოფლებში, რომელთაც საერთო სახელი თავისუფა-

ლი სვანეთი ჰქვიან, ქართული თითქმის ყველამ იცის და წინათაც იცოდა. უცოდინარს თუ ნახავთ, ღრმათ მოხუცებულებს, რომელნიც არსად არ წასულან. ზოგვან იმისთანა მოსაწონ ქართულს გაიგონებთ, რომ გესიამოვნებათ. მაგრამ. ბ-სტოიანვი ჩვენ რათ დაგვიჯერებს, როდესაც პატიცემულს დ. ბაქრაძეს არ უჯერებს?

„ბ. ბაქრაძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ თავისუფალ სვანეთის (ზემო) საუბარში ქართული ელემენტი სპარბობს, ხოლო ქვემოსაში—მეგრული,—სურს, რომ ვერწმუნოთ მისს სიტყვებს, რომლებსაც ათიოდე სვანური სიტყვებითაც ვერ გვიმტკიცებს. ეს მე მაცნობა ერთმა დაკვირვებულმა და თავის სამშობლოს კარგათ მოცდნე სვანმაო.—ეს სრულებით არაფერს არ ამტკიცებს“—ამბობს ბ. სტოიანვი. რათ არა სჯერა ბ. სტოიანვის უ. ბაქრაძის სიტყვებიც, გვიკირს, როდესაც, ამ უკანასკნელს, როგორც ქართულის მცოდნეს და მასზედ უფრორე განსწავლულს, შეეძლო უკეთესად გაეგო ყოველივე და უტყუარი ცნობები შეეკრიბა? არცა სტყულია ბ. ბაქრაძე, როდესაც ზემოხსენებულს სიტყვებს ამბობდა. მართლაც თავისუფალს (ებე ხევ) სვანეთში საუბარს უმეტეს ნაწილად ქართული დაღი და ხასიათი (ელემენტი) აზის, ხოლო სადადე-შეელიანო სვანეთში (ჩვაბე ხევ)—მეგრული. აქ გასაკვირველიც არა არის-რა: ზედა ხევს ხშირი კავშირი აქვს რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთთან, ხოლო ქვედა ხევს—სამეგრელოსთან. აი, ამ გარემოებამ იქონია გავლენა სვანურს კილოზედ და სხვა-და-სხვა გვარი ელფერი დასდო. მაგრამ ბ. სტოიანვი, ალბად, უინიანია, თორემ სხვებსაც რათ არ უჯერებს, მაგალითად მისს მეგვარტომებს? იგი არ ერწმუნება არც ბ. ბ. ბარტოლომეის, არც რადდეს, არც ლოდაბერიძეს, არც მაქს მიულლერს, არც ნადეჯდინს და ამბობს: „ბ. ნადეჯდინი საზოგადო ხმით და უ. უ. ბაქრაძის, ლოლაბერიძის და მაქს მიულლერის გავლენის ძალით ჰყიქრობს, რომ სვანური ენა ერთი ძირისა ქართულთან და ამბობს, რომ მეორე აზრის მეთაურნი ვერავითარს საფუძველს ვერ გვაძლე-

ვენო. პირველი აზრის დამცველებმა-კი რა საფუძველი მოგვ-  
ცხს?“

საფუძველს იძლევიან, მაგრამ ბ. სტოიანოვს ან არ უნდა  
დაიჯეროს, ან იმდენად სამწუხაროა მისთვის ეს დაჯერება—  
დამტკიცება, რომ მაინც თავისას გაიძახის. არა, შეიძლება ესეც  
არ არის მიზეზი და უვიცობა—ენის უკოდინარობაა?

ბ. სტოიანოვმა დაიწყო სვანერი ენის შესწავლა, რო-  
გორც თვითონ ამბობს, 1871 წლიდან. იმოგზაურა სვანეთ-  
ში, ასწერა მათი ყოფა-ცხოვრება, გამოიკვლია მათი ენა და,  
ნუ იტყვით, შთამომავლობაც... თურმე სვანები—მუდახლები  
იგივე მადლობას ესახება!\*) ბოლოს გამოვიდა რაღაც დომხალი,  
არეული, ჩარეული და ცხრა რჯულა...

მართლადაც, საიდან უნდა მიხვდეს კაცი სვანური ენის  
მსგავსებას ქართულთან; როდესაც ბ. სტოიანოვი სიტყვებს  
სულ ასხვაფერებს და რაღაც სხვა ენასა ჰქმნის!.. მაგალითად,  
ბ. სტოიანოვი სწერს: (ცხ. მათ. დრა იში, მ'ხტ. ი პლ. ჩა-  
კაზა ვ. ხ, ით. პ. ცტ. 18) „ლვაში კვიცრა ჩოვ ხამურცხა...  
(უნდა იყოს: ღვაში ო კვიცრა ჩუვ ხომურცხა) და სთარგმნის  
ასე: ამოაქვს (ქვევიდგან) ჯიხვები, როდესაც რომ ნამდვილი  
თარგმანი ასეა: ჯიხვი და არჩევი დაამარცხა (დაუმარცხებია),  
რასაც ადვილიად გაიგებს კაცი, რომ ქართული სიტყვებია.  
მეორე მაგალითი: „ფოყასოვ ჯირკიდ ვოი ხიმომა“—სწერს  
ბ. სტოიანოვი და უნდა იყოს: „ფოყას ჯირკიდ ოი ხანგარი“  
(გვერდზედ გეკიდა ხანგარი). ყველა მიხვდება, რომ აქ ქართუ-  
ლი სიტყვებია: გეკიდა, ხანგარი—და ბ. სტოიანოვის ნაწერში  
კი ვერა-რას გაიგებთ. სიტყვების ახსნაში (ლექსიკონი) იმდენი  
შეცდომა აქვს, რომ ვერაფერს ვერ გაუგებთ: სადაც „უნდა,  
იქ რუსულად ზოდასა სა სწერს, სადაც „ჭ“ იქ „ჩ“-ს, სადაც „ლ“ იქ  
„ჩ“-ს და ასე ამ გვარად თავისებურს ანბანსა ჰქმნის.\*\*)

\*) ხაზ-გასმული ჩვენია.

\*\*) შეიძლება ჰვონია ბ. სტოიანოვს, რომ ეს ასოები სხვა ენაშიაც  
არ არის?

ასე ამახინჯებს ბ. სტოიანოვი სიტყვებს, წინადადებებს, ლექსებს და თან ამბობს: „ჩემ მიერ შეკრებილს მასალას მე კმაყოფილებით წინა დაუდებ გამოსარკვევად იმ საკითხისა, თუ რომელს ოჯახს ენებისას ეკუთხის სვანური ენა.“

რასაკეირველია, ბ. სტოიანოვი დიდის კმაყოფილებით გაიმეტებს იშისთანა მასალას, რომელიც ადამიანს, სწორ გზაზედ დაყენების მაგიერ, დააბნევს, თავბრუს დაახვევს და ვერავითარ უტყუარს აზრზედ ვერ მიიყვანს!

„მართალია, უშგულულ ლექსებში ბევრი ქართული სიტყვებია და თითქმის მთელი ქართული ლექსებიცაა, რაც აიხსნება ქართული ელემენტით უშგულის საზოგადოებაში. კიდევ უნდა შეენიშნოთ, რომ თითქმის ყველა სიტყვები, რომლებიც კულტურის საგნებს აღნიშნავენ,—ქართული ძირისაა, რაც სრულებით გასაგები და მოსალოდნელია“. ეს სიტყვებიც ბ. სტოიანოვს ეკუთვნის.

დარწმუნებული ვარ, რომ ბ. სტოიანოვი ამ სიტყვების თქმის დროს სრულებით არ შეჰქითხებია თავის თავს: ვიცი კი ქართული, სვანური, მეგრული ენები (თუ კილო?), რომ ამისთანა გამბედავი და მაღალ-მნიშვნელოვანი აზრი წარმოვსთქვაო?!

და ამათი ცოდნა კი საჭიროა სვანური კილოკავის წარმოდგომის ასახსნელად. არა, არ შეჰქითხებია, თორემ ამასაც არ იტყოდა, რადგან სვანური სიტყვების თითქმის  $\frac{2}{3}$  სულ ქართული სიტყვებია, ხოლო დანარჩენი  $\frac{1}{3}$ —ზოგი მოჩმასული, ზოგი მოგონილი, ზოგი ნასესხები და ზოგი რა. ამის თქმას გვაძელვინებს ჩვენ საკუთარი დაკვირვება და ცოდნა სვანურის ენისა (რა გვენალვლება—დაცუძახოთ ენა) და მასთან ქართულისაც. მაგალითის გულისათვის ავიღოთ სვანური ენისაგან რამოდენიმე სიტყვა და ვნახოთ, არის მსგავსება თუ არა?

୧.

ଅଦ୍ଵାର—ଅଦ୍ଵାରି。  
ଅଦ୍ରୀଗ—ଅଦ୍ରୀଗି。  
ଅଗଳାର—ଅଗଳାରି。  
ଅମ୍ବେଲ୍ଲୁ—ଅମିଲ ଦ୍ୱାରାଥେଲ୍ଲ.  
ଅମ୍ବଗାର—ଅମ୍ବଗାରି。  
ଅମ୍ବିଶ୍ଵମ—ଅମ୍ବିଶ୍ଵମା, ଅମ୍ବଲ୍ଲେନା。  
ଅମିଶିଟାନ—ଅମିଶିଟାନା.

ଅନ୍ଧଗିଲ—ଅନ୍ଧଗିଲି.  
ଅନ୍ତି—ଅନ୍ତିଶ.  
ଅମ୍ବନ୍ଦୀଗ—ଅମ୍ବନ୍ଦୀଗି.  
ଅମ୍ବାଙ—ଅମ୍ବାଙ୍ଗି.  
ଅନ୍ତିଷ୍ଠିତ—ଅନ୍ତିଷ୍ଠିତି.  
ଅମିଶିଟାନ—ଅମିଶିଟାନା, ମନମ୍ବିଶିଟାନିଙ୍ଗ.  
ଅନ୍ତପୁର—ଗାଂପୁରା, ଗାଂପୁର୍ଣ୍ଣା.

୨.

ବାଗ—ବାଗା.  
ବାଲ—ବାଲି.  
ବାଦା—ବାଦା (ମାମା).  
ବାଦାଗ—ବାଦାଗି.  
ବାଲଦ୍ଵୁମ—ବାଲଦ୍ଵୁମି.  
ବାଢି. ମଲ୍ଲଦ୍ଵେଲି (ତାଢି).  
ବାରଦ୍ଵେଲିଫ—ବାରଦ୍ଵେଲି.  
ବେତ୍ତିଶ—ବେତ୍ତିଶି.

ବାଲରାଗ—ବାଲରାଗି.  
ବ୍ୟଶ—ବ୍ୟଶି.  
ବୋଗ—ବୋଗିରି, ବୋଲି.  
ବ୍ଲୋଗ—ବ୍ଲୋଗ (ବି).  
ବାଗବରା—ବାଗବରି (କ୍ରେଜା).  
ବାତ—ବାତି.  
ବ୍ୟବ୍ସିର—ବ୍ୟବ୍ସିରି (ପ୍ରାଚୀନିକା).

୩.

ଗାତ—କାତି.  
ଗାର—ଗାରି.  
ଗମ—ଗମି.  
ଗଣ୍ଠାବ୍ରାନ୍ତ—ମଗ୍ନାବ୍ରାନ୍ତ.  
ଗୁର୍ବେପ୍ରାର—ଗୁର୍ବେପ୍ରାରି.  
ଗ୍ରେପ—ଗ୍ରେପି.  
ଗାମିଲ—ମାଗରାଲ (ଗାମିଲ).  
ଗାଲ—ଗାଲ୍ଯ (ଚାଲି).  
ଗିଗିଥ—ଗିଗିଥ (ଫିକିଟିଂ).

ଗାରପାଥ—ଗାରଦାପ୍ରେମା — ଫ୍ରିପି  
(ଶ୍ରେଣିକାରୀ ଜିନ୍ନେଲ ଗାରପାଥ)  
ବାନ୍ଧିମାଳ—ସାନ୍ଧିମାଳ କ୍ରେଲି  
ଫ୍ରିପି (ଗାରଦାପ୍ରେମା) ଚାମିତ.  
ଗାମ—ଗ୍ରେମି.  
ଗାଲନ୍ଦ—ଗାଲନ୍ଦି.  
ଗାପି—ଗାପିଶ(ଲି).  
ଗୁଲିହେନିଶ—ଗୁଲିହେନିଶି.  
ଗାକ—କାକା.

୧.

ଦାଦ—ୟାନା (ଫାଦା).  
 ଦାଵ—ମଦ୍ୟାବ.  
 ଦାଇୟ—ରୂପି.  
 ଦାରଦାଳ—ଦାରଦାଳ.  
 ଦମ୍ଭଦ୍ୟ—ଦେଲା  
 ଦିଲାଦ—ଦିଲାଦ୍ୟା (ଫିଲାଦ ଦାମ-  
     ଦାର୍ଯ୍ୟଦ୍ୟାଲ ଲେଖଦାତ, ଦି-  
     ଲାଦ ଲାମାରିବା, ଦିଲାଦ  
     ଦାରଦାଳ—ଦିଲାଦ୍ୟା ଦାମ-  
     ଦାର୍ଯ୍ୟଦ୍ୟାଲ ଲେଖଦାତିବ, ଦି-

ଦ୍ୟାଦ ଲୁଗତିଲି ମିଳନଦ୍ୟାଲ୍ସା,  
 ଦିଲାଦ୍ୟା ଦାରଦାଳ୍ସା).  
 ଦର୍ଶକ—ଦର୍ଶକ.  
 ଦୁଇଦୁଇ—ଦୁଇଦୁଇ (ଦୁଇଦୁ-  
 ଦେଇଦୁଇ—ଦେଇଦୁଇ.  
 ଦେପ—ପା.  
 ଦାମଦ୍ୟ—ଦାତିବ.  
 ଦାନା—ଦାନା.  
 ଦିଲ—ଦିଲ.  
 ଦେଖାନ—ଦେଖାନ.

୨.

ଜିମ୍ବାଇ—ଜିମ୍ବା.

ଜର୍ବ୍ୟ—ଜର୍ବ୍ୟା.

୩.

ଜାର—ଜାରି.  
 ଜାତିଥ—ଜାତିଥାମି.  
 ଜେଳନ—ନାନିଙ.  
 ଜେବା—ଜାଗବା—ସିଦିନଦ୍ୱାରୀ.

ଜେର୍ଗ—ନ୍ଯାଗର୍ଗ (ବିରିବ).  
 ଜେରଦ—ନାରଦ.  
 ଜିଦ—ଜାଗ, ଜାଗବା.

୪.

ଜ୍ଵାରାକ—ଜ୍ଵାରାକ.  
 ଜୀନା—ଜ୍ଵାରି (ଶେଶାକ୍ରେଦ୍ୟାଲି).  
 ଜାରାଲ—ଜାରାଲ.  
 ଜାର୍ଗିଲ—ମିଳାର୍ଗ୍ୟାଲ.  
 ଜ୍ଵେଗନ—ଜ୍ଵେଗନ.  
 ଜ୍ଵେଲାଶ—ଜ୍ଵେଲାଶ.  
 ଜୀବି—ଜୀବି.  
 ଜାର—ଜାରି (ବିରିବିଲି ଦର୍ଶକ).

ଜାଦ—ଜାଦି, ନାକ୍ଷଲ୍ୟାନିନ୍ଦା (ଜି-  
 ଦ୍ୟ ସାରାପ୍ରେତ ଦାମଦାଳ୍ୟ  
 ଜ୍ଵେଲି, ଅନ ସବ୍ରା).  
 ଜାରାଶ—ଜାରାଶ.  
 ଜାଗ—ଜାଗ (ହିବାତଜାଗ୍ରେ ଲାଶ-  
     ଗାର ନିଶିଶି ନମ ବିପ୍ରବ୍ୟମିଦ  
     —ଗାବାଶାବ୍ୟତ ଲାଶ୍ବାରି ଲା  
     ସିଦିଲି ନ୍ଯ ମନୋପ୍ରାପିତ).

୩.

ତାଙ୍ଗିଲୁଫାଲ—ତାଙ୍ଗିଲୁଫାଲି。  
ତାଙ୍ଗ—ତାଙ୍ଗାଲି.  
ତାଙ୍ଗର—ତାଙ୍ଗରି, ଫୁଲି.  
ତାଙ୍ଗେ—ର୍କ୍ଷଣେ.  
ତାଙ୍ଗେଜ—ତାଙ୍ଗେଜ.  
ତାଙ୍ଗେନ୍ଦ୍ର—ତାଙ୍ଗେନ୍ଦ୍ର.  
ତାଙ୍ଗିତ — ତାଙ୍ଗିତ୍ୟ, — ତାଙ୍ଗିତିତ,  
      ତାଙ୍ଗିତିତ୍ୟ.  
ତାଙ୍ଗିନ୍ଦ—ତାଙ୍ଗିନ୍ଦ.  
ତାଙ୍ଗିଲିଲ—ତାଙ୍ଗିଲିଲ.  
ତାଙ୍ଗିମ—ତାଙ୍ଗିମ, ତାଙ୍ଗ. (କୁଣ୍ଡ-  
      ରୁକ୍ଷିଳି—ସାଗାନିବାରି...)

ତାଲ—ତାଲି.  
ତାରିନ୍ଦିନ୍ଦ୍ର—ମତାରାନ୍ଦିନ୍ଦ୍ର-  
      ରାତି.  
ତାଙ୍ଗ—ତାଙ୍ଗ.  
ତାଙ୍ଗିତାନ—ତାଙ୍ଗିତାନ.  
ତାଙ୍ଗିମ—ତାଙ୍ଗିମ.  
ତାଙ୍ଗିଲାଙ୍ଘ—ତାଙ୍ଗିଲାଙ୍ଘ (ତାଙ୍ଗ-  
      ଲାଙ୍ଘ ବାଦା ମୁଲାଙ୍ଗିଲି,  
      ମୁଲାଙ୍ଗିଲି ବାଲିକିଲି ମୁଖ-  
      ବୋଙ୍ଗ—ତାଙ୍ଗିଲାଙ୍ଘ ଗୁମିଲି  
      ମୁଲାଙ୍ଗିଲି, ମୁଲାଙ୍ଗିଲି ଲା  
      ବାଲିକିଲି ମାତ୍ରିକୁଳିଲି).

୦.

ରଙ୍ଗରା—ରଙ୍ଗନା.  
ରଙ୍ଗଦ—ରଙ୍ଗଦା.

ରେସି—ରେସି.

୧.

ରାଲତାଳ—ରାଲତାଳ.  
ରାମରାଇ—ରାମରାଇ.  
ରାମାନ—ରାମାନି (ଶାରିଷ୍ଯାଙ୍ଗ)  
      ଚୁପା; (ରାମାନିଶ ବେଳିମିଦ  
      ଶିମିନିଲ — ରାମାନିନିତ  
      ମନ୍ତ୍ରମେତ (ରାମିଲିଷ୍ୟୁଗ୍ରିତ)  
      ଶିମିନିଲି).  
ରାମାର—ରାମାରି.  
ରାମାଥ—ରାମାଥିଲି.  
ରାମାଦ—ରାମାଦି.

ରିଥର୍ଦେନ—ରିଥର୍ଦେନ.  
ରାଜ—ରାଜନ (ଭାରିବାଲି ରାଜି)  
ରାତକ—ରାତକା.  
ରାଲ୍ବ—ରାଲ୍ବ.  
ରାନ୍ଧିବ—ରାନ୍ଧିବ.  
ରାଥ—ରାଥ.  
ରାତ୍ରିନ—ରାତ୍ରିନ.  
ରାମିନ—ରାମିନ.  
ରାମିଥାକ—ରାମିଥାକ.  
ରାମିତିଲ—ରାମିତିଲ—ରାମିତିଲ.

მ.

ლადელ—დღე.  
 ლაზმი—საზომავი.  
 ლარტყ—სარტყელი.  
 ლახვრა—ხერელი-ფანჯარა.  
 ლაცნირ—სავარცხალი.  
 ლაშგარ—ლაშერი.  
 ლიბლითე—ბედითი (კიდევ  
     შეურაცხყოფილი)  
 ლიმჯე—აჯა, (კიდევ უვედ-  
     რება).  
 ლიგანბულე—გაწმილება.  
 ლიდე—დაგვა (კიდევ გაქ-  
     რობა). (კვამი დაგა—  
     კვამლის დაქრობა, რომე-  
     ლიც უდრის ოჯახის ამო-  
     წყვეტის).  
 ლილროვალ—შოლორება.  
 ლიტუს—ნატუსალი, დანამ-  
     წეარი.  
 ლიშლიგალ—შლეგი (ხეტი-  
     ალი).

ა.

მადილ—მადლი.  
 მარან—მარანი.  
 მერე—მური-ლრუბელი.  
 მეზბელ—მეზობელი.  
 მეცქვილ—მოციქული.  
 მი—მე.  
 მიუ—მზე.  
 მინდვერ—მინდორი.  
 მოახლ—მოახლე.  
 მომსახვირ—მომსახურე.

ლიტყვბე—შეტყუბება.  
 ლიკრე—კარის გაღება (სახა-  
     რებაში—ირკელეს).  
 ლითალ—გაყრა (სახარებაში  
     განველთის).  
 ლიხნი—შემოშეება, მონახვა.  
 ლინი — მოწვევა, მოწესვა  
     (მოძღვარ ჯანის—მოძ-  
     ღვარი გიწერს).  
 ლიღუზე—აღგზნება.  
 ლითხელი—ქებნა (სათხევე-  
     ლობა; სოფელისად ლა-  
     თხელითე—სოფელი წა-  
     ვიდა სათხევლობად).  
 ლარტამ—მტილი.  
 ლიტეხ—მოტეხვა, დაბრუნე-  
     ბა.  
 ლოც—ლოცვა.  
 ლუდგარ—მკვდარი.  
 ლუჯე—რძე.

მუქაფ—მუქაფა, სამაგიერო.  
 მიქემთარინგზელ — მიხეილ  
     მთავარანგელოზი.  
 მუშკიდ—მჭედელი (ნაშკი-  
     დურა).  
 მეხ—მეხი.  
 მახრობელ—მახარობელი.  
 მახე ლვაჟ—ახალი ვაჟი, ყმა-  
     წვილი.  
 მილოვან—მილიონი.

## ଅନୁଷ୍ଠାନିକ ସଂପ୍ରଦୟ

ମାତା—ମାତା.

ମୃପ୍ଯସ୍ଥି— ଦାଉପାତ୍ରିୟେବ୍ୟେଲ୍ଲି  
(ମୋଧ୍ୟବାସିନ୍ଦ୍ରାନ—ରାଜ୍ୟାନ  
ଦ୍ୱେଲାଇ ପ୍ରାୟେଲା ମୋଧ୍ୟବା-  
ସି ଦାଉପାତ୍ରିୟେବ୍ୟେଲାଇ ଶ୍ରେ-  
ଗିଲୋଳା ସନ୍ତୋଷ ସାତଲାହି).  
ମାର୍ତ୍ତିଷ୍ଵିନ—ମାର୍ତ୍ତିଷ୍ଵନି.

ମେନ୍ଦ୍ର—ମେନ୍ଦ୍ର, ମରାରିଗ୍ରେ (ସବାନ୍ତ୍ର-  
ରାଜ କିଲେଇ ବିଶାପ ସା-  
ଜେନ୍ଦ୍ରିୟ ମର୍ମଲା ଏହାଲ୍-  
ଗବା ଶାମତରିବନ୍ଦିତ).

ମୃତ୍ୟିମ—ମୃତ୍ୟି, ମର୍ତ୍ତିର୍ଯ୍ୟ.  
ମାଲ—ମର୍ମଲା.  
ମାକ୍ଷିକ—ମାକ୍ଷିକି.

## ୬.

ନାଦିର—ନାଦିରି.

ନାତ୍ସାଙ୍ଗ—ନାତ୍ସାଙ୍ଗ.

ନେବ୍ରି—ବାଗ୍ରେ-ଶ୍ରେଷ୍ଠିଲା.

ନେତ୍ର—ନେତ୍ରି (ଲାଗିରି).

ନିଶାନ—ନିଶାନି.

ନିଶ୍ଚାରତ—ନିଶ୍ଚାରତି.

ନିନ—ନିନା.

ନାମିଶ୍ଵ—ନାମିଶ୍ଵି (ଯରିବି ଶ୍ରେଦ୍ଧି  
ନାମିଶ୍ଵ ଦ୍ଵୀରି-ଲାଇ—ନା-  
ଗିଯିବିଲେ ଶ୍ରେଦ୍ଧବାହେଦ ନା-  
ମିଶ୍ଵି ଦ୍ଵୀରିବା).

ନେଶ୍ଵ୍ୟ—ନେଶ୍ଵି.

ନେକପା—ନେକାବି (ମୃଷ୍ଟିକାନ୍ତ ନେକ-

ତା ମେନ୍ଦ୍ରିଯୁସିଥିଲେ ଶେଖାରେ ଏ  
ରାଜା ନାତ୍ସାଙ୍ଗିଲାଇ—ସବାନ୍ତ୍ର  
ନିଜାବି ରାଜୁଲା ମର୍ମଗବ୍ରେ  
(ରାଜିଲା) ଲା ଅମିତିରମ ନା-  
ତ୍ସାଙ୍ଗିବ ଅରିବାନ).

ନାବ—ନେବା.

ନାକ—ଶାକ୍ୟ.

ନାର—ନାରି (ନାର ମାତ୍ର—ନାରି  
ମାତ୍ରିବେ).

ନାଶାଙ୍ଗ—ନାମିଶ୍ଵେବାରି.

ନାଶାହ—ନାଶାହି.

ନାବାନ—ଜ୍ଯିତି (ଶାରିଲା ନାବାନ  
ଅମ୍ରେବଲନ୍ଦନ).

## ୭.

ନାରଗ୍ବିଲ—ନାରଗୁଲି.

ନାମ୍ବିତ୍ତ—ନାମ୍ବିତ୍ତ.

ନାମ୍ବିର—ନାମ୍ବିର.

ନାମ୍ବିର—ନାମ୍ବିରି.

ନାମ୍ବିଲ—ନାମ୍ବିଲି.

ନାନ୍ଦିଶ୍ଵତ—ନାନ୍ଦିଶ୍ଵତ.

ନାନ୍ଦି—ନାନ୍ଦିନ୍ଦ୍ରିଯ୍ୟ (ନାନ୍ଦିନ ଲେଖ୍ବି-  
ନାନ୍ଦିଶ୍ଵତ).

ନାନ୍ଦା,—ନାନ୍ଦା, ନାନ୍ଦାଲ୍ୟ.

## ୮.

ନାନ୍ଦି—ନାନ୍ଦିନ୍ଦ୍ରିଯ୍ୟ,

ନାନ୍ଦାକାନ୍ଦା—ନାନ୍ଦାକାନ୍ଦା.

ନାନ୍ଦିନ୍ଦି—ନାନ୍ଦିନ୍ଦି.

ନାନ୍ଦିଲ—ନାନ୍ଦିଲି.

პერ—ქაფი (სახარებაში—პეროვდა).

პეროინ; ხან ახნიდა იპერვა—  
ხარი ხნავდა და პერო-

ოდა (პირიდგან ქაფი  
მოსდიოდა).

პასხივ—პასუხი.  
პილწ—პილწი.

6.

რივენ—ის ადგილი, სადაც  
წყალი მძლავრად მიექა-  
ნება, ტალღებს ისვრის  
—აქედგან რიონი.

როკაპ—როკაპი, როსკიპი.  
როგვ—ცერცვი (როგოსლეჩ-  
ხუმში ეძახიან ნიგვზის  
ნორჩ კაკალს).

7.

სააზრ—აზრი, მოსაზრება.  
საღარ—საღარი (ცხენი).

სადილ—სადილი.

საკმეველ—საკმეველი.

სემი—სამი.

სამეთხვ—სამოთხე.

სამყარ—სამყარო.

საყდარ—საყდარი.

სარჩლობ—მისარჩლება.

სარჩელ—საჩივარი-სარჩელი.

სვინა—სვინა.

სკვერ—გაწეაპული რიგ-რიგ-  
ზედ (სკორე).

სტამინ—კოკა—სტამინი სახა-  
რებაში.

საუდ—სევდა.

საფტინ—შაბათი, საბატონო.

სოფელ—სოფელი.

სვეტ—სვეტი.

სურუ—სრული, ნამეტანი.  
სკამ—სკამი.

სამსახურ—სამსახური.

სალტ—სალტე.

საკვირველ—საკვირველი.

სასტიკ—სასტიკი.

სადაგ—სადაგი.

სარაჯ—თაფლი—სარაჯი.

სგალიხზნე—შეხიზვნა (ქირ-  
თველარდ სგალაიხზნეს  
მუყვესგიშალ სომხარ,  
მარე მუქაფდ ჩოთლალ  
ტეხ—ქართველებმა შე-  
იხიზნეს მოყვასებივით  
(დაუბატიუებლად) სომ-  
ხები, მაგრამ სამაგიო-  
როდ (მუქაფად) ულა-  
ლატეს).

୩.

ତାଥାଗ—ତାଥାଗି.  
ତାନ—ତାନି.  
ତଥିଥାହିନୀ—ତଥିଥାହିନୀ.  
ତାର୍ଯ୍ୟସ୍ତ—ତାର୍ଯ୍ୟସ୍ତ.  
ତ୍ୟେତ୍ତ—ତ୍ୟେତ୍ତ, କ୍ଷେଣି.  
ତଥତ—ତଥତ.

ତୁକିପଦ— ମତୁକିପଦ, ମାର୍ତ୍ତଲା.  
ତାଶ—ତାଶି.  
ତ୍ୱେବଦି—ତ୍ୱେବିଲି (ତ୍ୱେବ).  
ତ୍ୱେମିଦ—ତଥା.  
ତାତ୍ତ୍ଵେଲ—ତାତ୍ତ୍ଵେଲି:  
ତାଲକ୍ଷେତ୍ର—ତାଲକ୍ଷେତ୍ର.

୪.

ଶ୍ଵେତାଙ୍କ—ଶ୍ଵେତାଙ୍କ.  
ଶ୍ଵରମାତ୍ର—ଶ୍ଵରମାତ୍ର.

ଶ୍ଵେତାଙ୍କ—ଶ୍ଵେତାଙ୍କ.  
ଶ୍ଵେତାଙ୍କ—ଶ୍ଵେତାଙ୍କ, ମନମାତ୍ର-  
ଲାଭ.

୫.

ତ୍ୱାତ୍ୟାଙ୍କ—ତ୍ୱାତ୍ୟାଙ୍କ.  
ତ୍ୱେକ୍—ତ୍ୱେକିଲି.  
ତ୍ୱିର୍ତ୍ତ—ତ୍ୱିର୍ତ୍ତ.  
ତ୍ୱାଶ—ତ୍ୱାଶି.  
ତ୍ୱାଶ—ତ୍ୱାଶି.  
ତ୍ୱରିକ୍ଷ—ତ୍ୱରିକ୍ଷ.  
ତ୍ୱାକ୍ଷନ—ତ୍ୱାକ୍ଷନ — ଜ୍ଵାମି (ବିନା-  
କି—ସାକ୍ଷାର୍ଯ୍ୟାତ୍ମି).  
(ତ୍ୱାକ୍ଷନିଶ୍ଵାସାଳିପ ଲ୍ୟୁଗ—  
ବିନାକ୍ଷା (ଶିଗାନ); ଚିନ୍ତାଲି  
ଶର୍ଦ୍ଦିଶ).

ତ୍ୱାରିଶମାଗ—ତ୍ୱାରିଶମାଗି.  
ତ୍ୱେର—ତ୍ୱେର.  
ତ୍ୱିଶିର—ତ୍ୱିଶିର, ମାଗରାମ ଏହା-  
କେ ଲାଭନ୍ୟୁଲି. (ତ୍ୱିଶିର-  
ରି—ପ୍ରେଲି ତ୍ୱ୍ୟ).  
ତ୍ୱରିକ୍ଷେପ—ତ୍ୱରିକ୍ଷେପ.  
ତ୍ୱାରିଶାଗ—ତ୍ୱାରିଶାଗି. (ଶବାଲାଗ୍ରେ-  
ଟ୍ର୍ୟୁବ୍‌ରେ, ମାର୍କ୍ ତ୍ୱାରିଶାଗି  
ମାଲମା ଲାଗିବାଲ୍—ଶେଗ୍‌ଗ୍ରେ-  
ଟ୍ର୍ୟୁବ୍‌ରେ (ଶେଗ୍‌ଗ୍ରେଇରିଟ୍‌ରେ),  
ମାଗରାମ ତ୍ୱାରିଶାଗି ଏହା  
ମାଗିବିଲା (ମାଗିବିଲା).  
ତ୍ୱିନାଲ—ତ୍ୱିନାଲ.

୬.

କ୍ଷାତାଙ୍କ—କ୍ଷାତାମି.  
କ୍ଷାଦାଗ—କ୍ଷାଦାଗ.

କ୍ଷାଜ—କ୍ଷାଜି.  
କ୍ଷେପାନା—କ୍ଷେପାନା.

ქვერწილ—ქორწილი.  
ქორ—ქორი, სახლი.  
ქაბაბ—ქაბაბი, პური სატი-  
რალში.  
ქუფ—საქუფთე (ხის დაწნუ-  
ლი კოდის) მწიმებ.  
ქალღარდ—ქალღარდი.  
ქარგან—ქარავანი.  
ქოშ—ქოში.

ქვიშე—ქვიშა-სილა.  
ქრისტე—ქრისტე.  
ქადაე—წაილო (მიქადება—  
ტირთვა)  
ქვაბ—ქვაბი.  
ქვიშაქვ—ქურქი.  
ქედმაღალ—ქედმაღალი (სა-  
ქონლის).

## ლ.

ღართ—ღართი, ნაბაღი.

ღერბეთ—ღმერთი. (ღერბეთ  
ანხალ საპყარ კოჯხანქა  
ი ოხჩერხა მიქელ-თარინ-  
გზელ; თვითონ ღეცე  
კამრაი ოხნიკვა—ღმერ-  
თი მოვიდა (მოუხდა)

სამყარო კოჯოდგან და  
გაუჩენია მიხეილ-მთავარ  
ანგელოზი; თითონ ცის  
კამარა მოუღუნია (მო-  
ნუკვა).

ღერ—ღერი.  
ღარ—ღარი.  
ღარიბ—ღარიბი.

## ჭ.

ყაჭ—ყაჭი.  
ყია—ყია, კისერი.  
ყირყინჯ—ყანყრატო.  
ყირიმ—ყირიმი.

ყაძრ—ყავარი.  
ყანჩე—ჩანჩი,  
ყაფლან—ხაფანგი.

ჩარბ—ჩარბი.  
ჩვექ—ჩოქი.  
ჩიეე—სიძე.  
ჩქარდ—ჩქარა (დ).  
ჩუბავ—ქვეთ (ჩბუნვა—პირქვე  
დამხობა).

ჩინჩეილ—ჩეილ-ჩეილი, ბავ-  
ში.  
ჩელტ—ჩელტი (მოწნული  
წკნელისაგან).  
ჩხურუშტ—ჩხართვი.

c.

ପାରୀଏଲ—ପାରୀଏଲି.  
ପ୍ରୋଫ୍ର—ପ୍ରୋଫ୍ରା, ପ୍ରୁଫ୍ରିଲା.  
ପ୍ରୋଫ୍ର—ପ୍ରୋଫ୍ରା.  
ପ୍ରେସର—ହେସର.  
ପ୍ରେସେଲ—ପ୍ରେସେଲି.

ପ୍ରାଣ—ପାଣି, ପ୍ରାଣ.  
ପ୍ରିଲ—ପିଲି.  
ପ୍ରେରିଲା—ପ୍ରେରିଲା.  
ପ୍ରେରିଲା—ପ୍ରେରିଲା, ତେମେଲା.  
ପ୍ରିପ୍ର—ପିପ୍ର, କାଠି.

d.

ଦିନାର—ଦିଲା (ଥିନାର୍ଗ).  
ଦେଵାଳ—ଦେଵାଳି.  
ଦିର—ଦିରି.

ଦଳ୍ପିତ—ଦଳ୍ପିତ.  
ଦୂର—ଦୂରି.

e.

ଢାଳ—ଢାଳା, (ହିନ୍ଦିଜି).  
ଢ୍ୟନାରଳ—ଢ୍ୟନାରା (ତ).  
ଢ୍ୟଲୋନ—ଢ୍ୟମିନଳା (ଢ୍ୟଲୋନି)—  
ରାଘ୍ୟାନ ବିନଦ୍ୟରନି ଢ୍ୟାଳା-  
ଶି ଦାନାମଦିତ ନିଢିମିନଳ୍ଯେ-  
ଦମଦନ୍ତି).  
ଢିନଢିଲ—ଢିନଢିଲା.  
ଢିତରା—ଢିତ୍ୟାଲା.  
ଢାର—ଢାରି.  
ଢିଲ—(ଢିଲାର) — ସିଦିନଦ୍ୟ-  
ର୍ଯ୍ୟ—ଢିଲାରାନି.

ଢିନଦ—ଢିନଦି. (ଢିନଦି ଏତ-  
ଜ୍ଵିଲିନଦିଶ ଜାରିତବ୍ୟାଳାରଙ୍ଗ  
ସମ୍ବାର ବାନ୍ଧା ଅନ୍ତିମ କ୍ରେ-  
ତିଲ ଗ୍ରେ, ବ୍ୟେଦାଶି ଶାନ୍ତି-  
ବାନ ଲାମାରଗ୍ରେଲିଙ୍ଗ—ଢିନ-  
ଦାଦ ଏତବ୍ୟାଳାନଦିଶ ଜା-  
ରିତବ୍ୟାଲେବଦିଶ ବିନଦ୍ୟବ୍ୟାଳା-  
ଶାନ ମନିନାଥେଶ (ମନିଲେଶ)  
କ୍ରେତିଲି ଗ୍ରୁଲି, ରାମଜ-  
ଲିପ (ମନିଲିପ) ଶେଇ.  
ପ୍ରାଣ ଏତବ୍ୟାଳେବଦାଦ).

f.

ଫାଲାନ—ଫାଲା (ଫ୍ରେଡଗାନ ମଦି-  
ନାର୍ଯ୍ୟ ଗଦାଶବନ)  
ଫିର—ଫିରି.  
ଫିରାଲ—ଫିରାବ୍ୟୁଲି.

ଫ୍ରୁନ୍ଟର—ପ୍ରୁଲିନ୍ଟରି-ବାଗିଶି.  
ଫାଗ—ଫାଗି.  
ଫିଲିଥ—ଫିଲିଥ.  
ଫେର—ଫେରି.

ბ.

ხაბაზ—ხაბაზი.  
ხალხ—ხალხი.  
ხალთა—ხალთა.  
ხან—ხანი, დრო.  
ხატ—ხატი.  
ხვაი—ხვაი (ბევრი).  
ხეფს—ხეფსი.  
ხილ—ხილი.  
ხანჯარ—ხანჯალი.  
ხორევ—ხორო.  
ხარჯ—ხარჯი.  
ხადილ —ხადილი (მოძღვარ,

ლადი სოფელს ხადილ  
ხარ ი ჯანსიხ—მოძღვა-  
რო, დღეს სოფელს ხა-  
დილი აქვს და გიშესენ  
(გპატიულბენ).

ხარბ—ხარბი. (ქართველარს  
ჯვინალდ სხვაი ხეხარ-  
ბიელდა, მარე ათხე  
ნაი ლეხარბიელდ—ქარ-  
თველებს ძველად ბევრი  
ეხარბიელობდა, მარა  
ეხლა ჩვენ ვეხარბეით).

კ.

კან—ხარი.  
კელწიფე — ხელწიფე (კელ-  
წიფს ხვაი ქონაბ ხულვე  
ი მადლიანლი—ხელწი-  
ფეს ბევრი ქონება აქვს

და მადლიანია).

კელვან—ხელოვანი, ხელო-  
სანი.

კესმანდ—მანდილი.

კორცმეტ—ხორცმეტი.

ეს სიტყვები, როგორც მიხედება მყითხველი, ყველა ქარ-  
თულია, მაგრამ არი კიდევ იმისთანა სიტყვები (აქაც ჩვენ მაგა-  
ლითისათვის მხოლოდ რამდენიმე გამოკრიფეთ), რომელ-  
თაც პირველს გაგონებაზედ ვერ შეატყობთ მსგავსებას ქარ-  
თულს სიტყვებთან, მაგრამ ძირი-კი ნამდვილი ქართული სიტ-  
ყვებისაა.

ბლ. მღვდ. ი. მარგანი.

-----